

ზუსრა მაცაბერიძე

კორუფციასთან ბრძოლის
კრიმინოლოგიური და
სისხლისსამართლებრივი
ღონისძიებები



ბანბი

2009

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება კორუფციასთან
ბრძოლის, ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასაჭრელი
საკითხის სრულყოფის გზების ძიებას. აღნიშნული
პრობლემა ძირითადად განხილულია კრიმინოლოგიურ და
სისხლისსამართლებრივ ასპექტში.

განკუთვნილია კორუფციის პრობლემით
დაინტერესებული მკითხველისათვის და ცხადია,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და
დოქტორანტებისათვის.

რედაქტორი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი ვია ხუროშვილი

რეცენზენტი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი ნონა თოდუა

© გამომცემლობა – ბაკმი

© ზუსრა მაცაბერიძე – „კორუფციასთან ბრძოლის
კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები“
(პირველი გამოცემა)

ISBN 978-99940-27-81-1

სამართავლო, თბილისი

2009 წელი

შესავალი

კორუფცია დასაბამიდან კაცობრიობის თანამდები სენია. დღეს ამ კრიმინალურ ფენომენს სოციალური განვითარების თანამგზავრადაც მიიჩნევენ, რომელმაც ერთიანად მოიცვა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დემოკრატიულიც და ტოტალიტარულიც, ეკონომიკურად ძლიერი და ნაკლებად განვითარებული, სამრეწველო და აგრარული, დიდი თუ პატარა სახელმწიფოები. რაც უფრო პროგრესისაკენ მიიღტვის საზოგადოება, მით უფრო მძლავრდება სოციალური კატაკლიზმების მორევი, ეკონომიკური კატასწროფები, რაც ისევ და ისევ ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის კორუფციას.

კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, მთელ მსოფლიოში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რომელსაც ფართოდ აქვს გადგმული ფესვები საზოგადოებრივ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფეროში. აღნიშნული მოვლენა მნიშვნელობან საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.

გლობალური ცვლილებების ეპოქაში კორუფციის მასშტაბების ზრდამ და მსოფლიოში მიმდინარე აქტიურმა ინტეგრაციულმა პროცესებმა, ეს უკანასკნელი, ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულად გარდაქმნა, რამაც კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის წარმოების თვალსაზრისით, მიზანშეწონილი გახადა მთელ რიგ სახელმწიფოთა ძალთა გაერთიანება აღნიშნულ სფეროში.

იმავდროულად, კორუფცია, ნაციონალურ ფენომენადაც უნდა განვიხილოთ, რომლის გამოვლინების ფორ-

მები ერის მენტალობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. აღნიშნული კი გარკვეულ წილად, თავის გამოხატულებას პოულობს საკანონმდებლო დონეზეც.

კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მძიმე კრიმინალური მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მოქალაქეთა სამართლებრივ შეგნებაზე, არამედ მათი ცხოვრების საერთო წესზეც. იგი სახიფათოა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმათა წარმატებითი განხორციელებისათვისაც. ამასთან, ამ მიმართულებით ნებისმიერი კვლევა, იმ სოციალური დაკვეთის შესრულების მცდელობაა, რომელიც, ერთის მხრივ, აღნიშნული ფენომენის საყოველთაო გააზრებას, და მეორის მხრივ, კორუფციის ყველაზე მძიმე გამოვლინების ფორმათა ნეიტრალიზაციისათვის ეფექტურ საშუალებათა გამოძებნას ემსახურება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში კორუფციის გავრცელებას ხელი შეუწყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ მმართველობის სფეროში დაშვებულმა მნიშვნელოვანმა შეცდომებმა, რამაც თავის მხრივ, გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო და სხვა სამსახურების ფუნქციონირების სუსტ ეკონომიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებში, პირადი კეთილდღეობის მიზნით ყველაფრის დაშვებულობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში, სამართლებრივ ნიჰილიზმსა და ცინიზმში.

ქვეყანაში არსებული ვითარება; ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, ფასების გამუდმებული ზრდა, უმუშევრობა – მოქალაქეთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კორუფციის ნეგატიური ზემოქმედებისგან საზოგადოების დაცვის მიზნით ახალი გზების ძიება.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ორმაგი ძალისხმევა გვმართებს საჭირო მიზნის მისაღწევად. კორუფციასთან ბრძოლა და მისი ეფექტური პროფილაქტიკა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა ყოველმხრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეისათვის არსებულ სამართლებრივ ფონზე, ბევრი არსებითი პრობლემაა, რაც გარკვეულწილად დაძლეულ უნდა იქნას ორგანიზაციული და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებათა სრულყოფის გზით. კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ისეთი ორგანიზაციული ხასიათის მიმართულებებს, როგორიცაა: 1). ღონისძიებები, რომლებიც ართულებენ დანაშაულის ჩადენის პირობებს, 2). ღონისძიებები, რომლებიც ზრდიან დანაშაულის ჩადენის რისკებს, 3). ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ დანაშაულის შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობებს და სხვა.

დღეისათვის ცხადია, რომ კორუფციის შინაარსი, სახელმწიფო მოხელეთა მხოლოდ „მოსყიდვა-გამყიდველობით“ არ ამოიწურება, რომ იგი სამსახურებრივი სტატუსის ექსპლუატაციის სხვა განსხვავებულ ფორმებსაც მოიცავს. ლობიზმი, ფავორიტიზმი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე კომერციულ სტრუქტურათა ინვენსტირება, სახელმწიფო ქონების სააქციო საზოგადოებებში „გადაქაჩვა“, დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან კავშირებით სარგებლობა და ა.შ. — კორუფციის შენიღბული ფორმებია. უნდა აღინიშნოს, რომ კორუფცია, წარსულშიც ავლენდა თავს, მაგრამ წარმოდგენილი იყო არა როგორც საკუთრივ

„კორუფცია“, არამედ, უფრო გამარტივებულ ფორმებში, დღეისათვის კი ჩვენთვის თითქოსდა კარგად ნაცნობმა ფენომენმა, ტრანსფორმირების საფუძველზე სრულიად ახალი პრობლემური ასპექტები წარმოქმნა, რამაც თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენა პრობლემათა ახლებური გააზრება და მათი გადაჭრის გონივრული გზების ძიება.

კორუფციასთან ბრძოლის სისხლისსამარლებრივი და კრიმინოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებათა განახლებული ფორმებისა და მეთოდების შემუშავების აუცილებლობა, ვფიქრობთ, აქტუალურს ხდის ნაშრომს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია კორუფციული დანაშაულობის ძირითად თავისებურებათა და ტენდენციათა გამოვლინება, მისი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის პირობებთან მიმართებაში სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულობის კვლევა და ყოველივე ამის საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება კორუფციული დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებათა სრულყოფისაკენ.

შესაბამისი ამოცანიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია კორუფციული დანაშაულობის საერთო მდგომარეობა, მისი თავიდან აცილების გართულებული პრაქტიკა, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება კორუფციასთან ბრძოლის სფეროში. ამასთან, სამართალწარმოებითი საქმიანობის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია გარკვეული მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები.

ნაშრომი ეფუძნება სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სხვა დარგთა სფეროში მოღვაწე მეცნიერთა გამოკვლევებს.

ამასთან, ნაშრომი წარმოადგენს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი მონოგრაფიის შექმნის მცდელობას, რომელიც საკუთრივ კორუფციისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ანალიზის ფონზე, კორუფციასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ღონისძიებათა სრულყოფის საკითხებს ეთმობა. აღნიშნული შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კვლევის განსაკუთრებული და დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც უშუალოდ შემხებლობაშია პრაქტიკულ ამოცანათა გადაჭრასთან.

ზუსრა მაცაბერიძე

სამართლის დოქტორი

§1. კორუფციის ინსტიტუციონალური ცნება

კორუფციასთან ბრძოლის პრობლემებისადმი ჩვენს ინტერესს, უპირველეს ყოვლისა მისი მნიშვნელოვანი საშიშროება განაპირობებს, რომელიც თავის მხრივ, ხელს უშლის საზოგადოების ყოველგვარ მცდელობას – პროგრესის გზით იაროს.

როგორც გამოკვლევები ცხადყოს, საქართველომ ბოლო ორი წლის განმავლობაში (2006-2007) შეძლო თავი დაეღწია უკიდურესად კორუმპირებულად აღიარებული ქვეყნების რიცხვიდან. „Transparency international“ – „საერთაშორისო გამჭვირვალობამ, (რომელიც წარმოადგენს ერთადერთ არაკომერციულ და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას და იღწვის მთავრობათა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად კორუფციის აღმოსაფხვრელად, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე) გამოაქვეყნა საერთაშორისო კვლევის, „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) 2007 წლის შედეგები.¹ აღნიშნული კვლევა ახდენს ქვეყანათა

1 CPI- წარმოადგენს კომპლექსურ კვლევას, რომელიც ეყრდნობა ბიზნესმენტა და ანალიტიკოსთა გამოკითხვის შედეგებს. იგი ფოკუსირებას ახდენს სახელმწიფო სექტორში არსებულ კორუფციულ შემთხვევებზე და განსაზღვრავს კორუფციას, როგორც საჯარო თანამდებობის გამოყენებას პირადი მიზნებისთვის. CPI-2007 ეყრდნობა 6 სხვადასხვა გამოკვლევას, რომელიც ჩაატარდა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. შემავსებელი ანალიზიდან გამომდინარე, ყველა მონაცემი განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ კორუფციის ზოგად დონეს, მის სიხშირესა და მასშტაბურობას, როგორც სახელმწიფო, ისე პოლიტიკურ სექტორში.

რანგირებას კორუფციის იმ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რომელთაც უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენები და ანალიტიკოსები აღიქვამენ კორუფციას, ქვეყნის სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სექტორში. 2007 წლის მონაცემებით საქართველოს 3.4 ქულა აქვს შესაძლო 10 ქულიდან და 79-ე ადგილს იკავებს გამოკითხულ 180 ქვეყანათა შორის. 2006 წელთან შედარებით, როცა იგივე კვლევის შედეგად საქართველოს 2.8 ქულა მიენიჭა, 2007 წელს მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2003 წელს ის 1.8 იყო. ვინაიდან საქართველოსთვის მინიჭებული ქულა 3.0-ს გადასცდა, მიიჩნევა, რომ საქართველომ თავი დააღწია იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც კორუფცია უპირველესი და დაუძლეველი პრობლემაა. მაგრამ აღნიშნული, დამშვიდების საშუალებას მაინც არ გვაძლევს, ვინაიდან კორუფციის დონე ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალი რჩება. მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილებები იმისი მაჩვენებელია, რომ პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში წინსვლა შესაძლებელია, თუმცა კორუფციის დასამარცხებლად ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო. მკვლევართა აზრით, მთავრობის მიერ ჩატარებული რამდენიმე ცნობილი ანტიკორუფციული ღონისძიებით, კერძოდ თანამდებობის პირთა დაკავებით და ცალკეულ სამინისტროებში მიმდინარე ინსტიტუციონალური ცვლილებით, კორუფციას ვერ აღმოვფხვრით. იმისათვის რომ სახელმწიფოს ანტიკორუფციული კომპანიის შედეგები მდგრადობას ინარჩუნებდეს, დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა განისაზღვროს ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა და შეიქმნას ძლიერი ინსტიტუტები.

ეკონომისტთა შეფასებით, ზარალის მასშტაბები, რომელსაც კორუფციისგან ყოველწლიურად განიცდის სა-

ქართველო, მნიშვნელოვნად დიდია, რაც მათი აზრით, ეკონომიკური დისბალანსის შედეგია.

ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგი, გ. შნაიდერი მართებულად შენიშნავს, რომ დანაშაულობა აქვეითებს ცხოვრების ხარისხს და ამასთანავე, ზრდის მის ღირებულებას.¹ მეცნიერის აზრით, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) ხარჯები. პირდაპირი ზიანი შესაძლოა გამოიხატოს მსხვილ საწარმოთა შორის, ფასებისა და ბაზრის გადანაწილებასთან დაკავშირებით არალეგალურ შეთანხმებაში, რაც უცილობრივ, იწვევს სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდასა და ინფლაციას. ხოლო არაპირდაპირი ზიანი შეიძლება წარმოიქმნას, კერძო პირთა და სახელმწიფოს მხრიდან, დანაშაულობაზე რეაგირების რეაქციის შედეგად. ასე მაგალითად, როდესაც ადგილი აქვს სამართალდამცავი ორგანოებისათვის: პოლიციისთვის, სასამართლოებისთვის, სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებებისთვის დამატებით ასიგებათა გაცემას, ამ შემთხვევაში არასაჭიროებისამებრ გაღებული ხარჯები დიდ ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. დანაშაულობის ზრდასთან მიმართებაში, საზოგადოებას, შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლია განსაზღვროს, თუ რა სახის დანაშაულობის აღმოსაფხვრელად სურს თანხების გაღება და ამასთან, რა რისკი შეუძლია გაწიოს.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება დანაშაულობის კომპლექსური კვლევა, მათ შორის მისი ისეთი გამოვლინებისაც, როგორცაა კორუფცია.

კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და

1 იხ. Шнайдер Г.И. Криминология. Пер.с нем./ М: Прогресс-Универс, 1994. გვ. 106.

მძიმე კრიმინალური მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მოქალაქეთა სამართლებრივ შეგნებაზე, არამედ მათი ცხოვრების საერთო წესზეც. იგი საზიფათოა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად. ამასთან, ამ მიმართულებით ნებისმიერი კვლევა, იმ სოციალური დაკვეთის შესრულების მცდელობაა, რომელიც, ერთის მხრივ, აღნიშნული ფენომენის საყოველთაო გააზრებას, და მეორეს მხრივ, კორუფციის ყველაზე მძიმე გამოვლინების ფორმათა ნეიტრალიზაციისთვის ეფექტურ საშუალებათა გამოძებნას ემსახურება.

მიმაჩნია, რომ კორუფციის სრულფასოვანი გამოკვლევა, სახელმწიფო და სოციალური მართვის მექანიზმებთან მისი თანაფარდობის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამგვარი მიდგომა იქნება უფრო მისაღები, ვინაიდან იგი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ გასაანალიზებელი მოვლენის ინსტიტუციონალური დეტერმინანტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით საჭიროა მივმართოთ საზოგადოებრივ განვითარების სოციალურ ფორმათა გენეზისს. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდნენ და დღესაც არსებობენ საზოგადოებები, რომელთაც ჩვენთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტიტუტები არ გააჩნიათ. როგორც წესი, ასეთ საზოგადოებებს კაცობრიობის სოციალური განვითარების საწყის ეტაპს, ან თანამედროვე საზოგადოების ისეთ ჯგუფებს განაკუთვნიებენ, რომელთაც ანთროპოლოგები „პრიმიტიულ“, „ტრადიციულ“ ანდა „აგრაფიკულს“ უწოდებენ.

სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ლ. სანისტებანი, რომ ნებისმიერი საზოგადოება, მარტივი თუ რთული, ამა

თუ იმ საქმიანობის კოლექტიური ორგანიზების ფორმით ერთიანდება, თუმცა საამისოდ ყველა მათგანს არ შეუქმნია განსაკუთრებული, სპეციალური ინსტიტუტები.¹

საზოგადოებრივი მეცნიერებები კოლექტიური საქმიანობის ორგანიზების ორ ძირითად ფორმას გამოყოფენ. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ საზოგადოებას, სახელმწიფო აპარატის გარეშე და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ საზოგადოებას.

აღნიშნულთაგან პირველს არ გააჩნია საკუთარი ტერიტორია, მისი წევრები ძირითადად მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ამ საზოგადოებას ქმნიან, ერთმანეთთან სისხლითი ნათესაობით არიან დაკავშირებულნი. რაც შეეხება მათ ეკონომიკურ საქმიანობას, იგი უპირველეს ყოვლისა, არსებობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. საზოგადოების შრომისუნარიანი წევრები იღვწვიან, როგორც საკუთარი მოთხოვნილებების, ასევე იმ ჯგუფის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად, რომლის უშუალო წევრებსაც ისინი წარმოადგენენ. ძალაუფლება, ჯგუფში განუსაზღვრელია.² ჩვეულება აწესებს ქცევის ნორმებს და მათი დარღვევისათვის სანქციებს. ლი-

1 იხ. Санистеван Л.С. Основы политической науки / Пер. с испанского –М: Владан. 1992. გვ. 9

2 ტ. პარსონის მიხედვით, ძალაუფლება-სოციალური სისტემის განსაკუთრებულ ინტეგრაციულ თვისებას წარმოადგენს, რომელსაც ამავე საზოგადოების მიერ აღიარებული მიზნის მისაღწევად, საზოგადოებრივი რესურსების მობილიზაციის უნარი გააჩნია. ძალაუფლებას, კომუნიკაციურ ასპექტში განიხილავენ: ხ.არენდტი, ი.ბერმასი, მ.ფუკო, პ.ბურდე და სხვანი. მათ მიერ ეს უკანასკნელი აღქმულია, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვეული მექანიზმი, რომლის რეალიზება განსაზღვრულ, ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე ხდება

დერობა საზოგადოების ერთი წევრიდან, მეორეზე გადადის, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, კოლექტიური მოთხოვნისგან განსხვავდება. ტრადიციის ძალით, რომელიც წმინდათაწმინდათა მიჩნეული, ჯგუფებში ძალაუფლებას, გარკვეული საიდუმლოებებისა და ტრადიციების მცოდნე უხუცესები ახორციელებენ. ისინი საკუთარ ძალაუფლებას ისეთი კოლექტიური ინსტიტუტების მეშვეობით არეგულირებენ, როგორცაა უხუცესთა საბჭოები. საზოგადოების წევრთა ინტეგრაცია ნათესაური კავშირის საფუძველზე ხორციელდება, რასაც თავის მხრივ, ოჯახურ კლანთა წარმოშობამდე მივყავართ. ¹

სახელმწიფო აპარატის გარეშე არსებული საზოგადოების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მმართველ და მართულ სოციუმის წევრთა შორის მკაფიო ზღვარის არარსებობა. მართალია, ამგვარი ტიპის საზოგადოებისთვის ლიდერობის ინსტიტუტი უცხო არ არის, მაგრამ აღნიშნული ფუნქციის განხორციელების მისია, საზოგადოების ერთი წევრიდან მეორეზე გადადის. მოცემულ საზოგადოებაში არ გამოიყოფა ვიწრო ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ძალადობის გამოყენების გზით, ხელისუფლების მონოპოლიზებასა და საზოგადოების დანარჩენ წევრთა ქცევაზე კონტროლს განახორციელებს. ამასთან, ვერ ვხვდებით ნაცნობ სურათს იმასთან დაკავშირებით, რომ ორგანიზებული უმცირესობა უზარმაზარი სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, მეტნაკლებად დეზორგანიზებულ უმრავლესობაზე, მონოპოლიზებულ პოლიტიკურ ძალა-

1 იხ. Сапистеван Л.С. მითითებული ნაშრომი. გვ. 10

უფლებას განახორციელებდა.¹

ზემოაღნიშნული ტიპის საზოგადოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში ვხვდებით წევრთა დაყოფას შემდეგი იერარქიით; პირველი, პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი პირთა ჯგუფი და მეორე, ადამიანთა ერთობა, რომელიც ამ ძალაუფლებას ექვემდებარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ შორის ჩამოყალიბებულია მმართველობითი – დაქვემდებარებული ხასიათის ურთიერთობები. ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოებაში აქტიურად ჩაბმულ და საწარმოო პროცესზე ზედამხედველობითი ფუნქციით აღჭურვილ პირთა შორის, აშკარა სხვაობა შეინიშნება. რაც შეეხება პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ამ ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია იერარქიულ ადმინისტრაციულ აპარატს დაფუძნებული, სახელმწიფო ძალაუფლების განმახორციელებელი ცენტრალიზებული ჯგუფის არსებობა, რომელიც თავის საქმიანობას, ლეგიტიმაციის სხვადასხვა პრინციპებზე დაფუძნებულ იურიდიულ ნორმათა ბაზაზე ახორციელებს.²

1 უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება, მაგ. ფრანგულიდან – *Lepouviour*, არა მხოლოდ ძალაუფლებას ნიშნავს, არამედ, ცენტრალური მთავრობის სინონიმიცაა; ინგლისურად *the power*, ძალაუფლების გარდა, მთელი სახელმწიფოს, (რომელშიც იგულისხმება სახელმწიფოებრივი ძალაუფლება) აღმნიშვნელი ტერმინია; გერმანულად *die Gewalt*- ძალაუფლებას, სიძლიერისა და ძალდომრეობის მნიშვნელობაც გააჩნია. რუსულიდან, „*Власть*“, სახელმწიფო ორგანოთა ძალაუფლებრივი უფლებამოსილების განმსაზღვრელია. და ბოლოს, ქართულად - „ძალაუფლება“, „ძალის“, გამოყენების „უფლების“, ანუ- ბატონობის სინონიმი.

2 იხ. Сагистеван Л.С. შრომათა კრებული. გვ. 10

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში, პოლიტიკური ელიტა, საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენს. ეს კი იმისი მაჩვენებელია, რომ ძალაუფლების რეალიზება, უკლებრივ ყველა პოლიტიკურ სისტემათა ფარგლებში — ეს არის ფუნქცია, რომლის განხორციელების უფლება, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის მიუწვდომელია. აღნიშნული თვალსაზრისით, ყოველი პოლიტიკური სისტემა „ოლიგარქიულია,, (ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაგინდ დემოკრატიული არ უნდა იყოს სახელმწიფო, მისი ინსტიტუტები უმცირესობათა მეშვეობით იმართებიან. გასაგებია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობის ინტერესთა წარმოდგენას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც უმცირესობად, „ოლიგარქიად,, რჩება. ¹

საკუთარი ძალაუფლების რეალიზაციისათვის ელიტა, მოსახლეობის თანხმობას საჭიროებს, რისთვისაც იგი მიმართავს ისეთ მეთოდებს როგორცაა: დაშინების, დარწმუნების და სხვა. მაშასადამე, პოლიტიკური სისტემები მხოლოდ ელიტის ნებას კი არ ეფუძნებიან, არამედ იმ პირთა თანხმობასაც საჭიროებენ, რომლებიც ელიტის შემადგენლობაში არ შედიან. ამიტომაც, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში, მმართველობა და დაქვემდებარებულობა ურთიერთ განმაპირობებელი ასპექტებია. მაშასადამე, მხოლოდ ელიტა როდი ახვევს თავს საზოგადოებას თავის პოლიტიკურ ნებას, არამედ თვითონ მასებიც გამოხატავენ ამისათვის სათანადო თანხმობას და გარკვეულ ნორმათა სახით ლებულობენ

1 იხ. Санистанов Л.С. შრომათა კრებული. გვ. 14

მას. ამასთან, ცხადია, ზუსტად უნდა იქნას გაგებული ამგვარ შეთანხმებათა შინაარსი, ვინაიდან, ზოგჯერ ეს უკანასკნელი, შეიძლება ისეთ მიზეზთა ძალით იყოს განაპირობებული, რომ მხურვალე მხარდაჭერას არ გამოხატავდეს.¹

პოლიტიკური მიმომხილველები ხშირად მსჯელობენ სამოქალაქო საზოგადოების მართვის ხარისხზე. ალექს დე ტოკვილი აშშ-ში დემოკრატიის სიძლიერეს, საერთო მიზნის ქვეშ გაერთიანებულ მოქალაქეთა სხვადასხვა ასოციაციათა რიცხოვრივ ზრდასა და მათ სიძლიერეს მიაწერდა.² მართვის სისტემების საზოგადოებრივ აქტიურობაზე დამოკიდებულობის საკითხთა კვლევამ აჩვენა, რომ იქ, სადაც მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „საკუთარი მთავრობებისგან იმავე ცხოვრების სტანდარტებით ცხოვრებასა და იმ საერთო წესებისადმი ნებაყოფლობით მორჩილებას მოელიან, რომლებიც არსებულმა საზოგადოებამ თავისთვის დაადგინა.“

საკუთარი ხალხის წინაშე მთავრობათა ანგარიშგების პრინციპის უზრუნველყოფის საქმეში საზოგადოების როლის ამაღლება ხელს შეუწყობს ძალაუფლების დემოკრატიზაციას, მის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. ავტოკრატიულ ხელისუფლებათა აბსოლიტურად ჩაკეტილი სტრუქტურა, ბევრ ქვეყანაში ამუხრუჭებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. იგი შესაძლებლობას აძლევს ჩინოვნიკებს, საკუთარი

1 იხ. Санистеван Л.С. შრომათა კრებული. გვ. 14-15

2 იხ. Alexis de Toguevili. Democrace in Americ. london: routlege and kegan Paul, 1967. გვ. 513-514

საქმიანობა ანგარიშგების, კონტროლისა და საჯაროობის არარსებობის ატმოსფეროში განახორციელონ. ყოფილ საბჭოთა კავშირში 100-ზე მეტი საერთო ნაციონალური და რამოდენიმე ასეულ ათასობით ლოკალური ორგანიზაცია არსებობდა, რომლებიც, საერთო რაოდენობით, 30 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებდა. მიუხედავად ორგანიზაციათა სიმრავლისა და მათი შთაბეჭდავი წარმომადგენლობისა, სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფერო, კომუნისტური პარტიის მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამგვარად, მოსახლეობის ფართო ფენების სახელმწიფო საქმეთა მართვაში მონაწილეობის ილუზია იქმნებოდა. სინამდვილეში ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი აქტიურობის მხოლოდ ისეთ ფორმათა წახალისებას, რომლებიც პარტიული ოლიგარქიის ინტერესების შეესაბამისად მოქმედებდნენ. ცხადია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პერიოდულად ადგილი ჰქონდა ხალხის ელემენტარულ ინტერესთა და პარტიული ოლიგარქიის ინტერესთა თანხვედრას.¹

ძალაუფლების მექანიზმის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევს ცნობილი სოციოლოგის, ე. დიურკეიმის შეხედულება, რომლის თანახმად, სოციალური იძულების სპეციფიკურობას, მოლეკულური მოწყობის განსაზღვრული სიხისტე კი არა, არამედ პრესტიჟი განაპირობებს, რომლის შინაარსსაც გარკვეული წარმოდგენები ქმნიან. ზოგჯერ შეძენილი ან მემკვიდრეობით მიღებული ჩვევები, იგივე თვისებების მატარებლებად გვევლინებიან, რომლებიც ფიზიკური

1 Основы брьбы с коррупцией (Системы общегосударственной этики поведения) науч. ред. С.В. Максимов и др –М.Спарк. 2000. გვ 73

ფაქტორებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი ჩვენზე ბატონობენ, თავს გვახვევენ გარკვეულ ჩვევებსა და წარმოდგენებს, მაგრამ ბატონობენ შიგნიდან, ვინაიდან მთელი არსებით თითოეულ ჩვენთაგანში თანაარსებობენ. ხოლო რაც შეეხება, ფიზიკურ ფაქტორებს, პირიქით, გარედან ზემოქმედებენ ჩვენზე. ამიტომ ზეგავლენა რომელსაც განვიცდით, როგორც ერთის, ისე მეორის მხრიდან სრულიად განსხვავებულია.¹

როდესაც მასები პოლიტიკური ელიტის ნებას თანხმდებიან, (რა მოტივითაც არ უნდა იყოს ეს შეთანხმება განპირობებული) ფაქტობრივად, ამ ნების შინაარსსაც ითავისებენ. მათი ქცევა, ფორმალურად უცხო ნებითაა განსაზღვრული, მიუხედავად იმისა ეთანხმებიან თუ არა ამ უკანასკნელის მიზნებს. პოლიტიკურ სისტემათა კრიზისის შემთხვევაში, მასების მხრიდან ელიტა მზარდ წინააღმდეგობებს აწყდება, რაც შესაძლოა ისეთ ფორმებში გამოიხატოს, როგორიცაა: აჯანყება, ხელისუფლების დამხობა, რადიკალური კრიტიკა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და სხვა.²

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯ.ბიუკენენი³ შენიშნავს, რომ რეალისტისთვის სავსებით გასაგებია სახელმწიფოს, როგორც უფლებათა რეალიზაციის უზრუნველყოფი კოლექტიური ორგანოს სახით არსებობის აუცილებლობა.

1 იხ. Дюркгейм Э. Социология, предмет, метод, предназначение. /Пер. с фр-М. Канон, 1995. გვ. 19.

2 იქვე. გვ. 21

3 Бьюкенен Д. Конституция экономической политики по Расчет согласия. Границы свободы М Таурс Алфа. 1997. გვ 227

სახელმწიფო ორგანოს მინიმალური პროცედურული მოთხოვნილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილი აქვს ადამიანთა შორის მკვეთრ განსხვავებულობას, თანაბარი უნდა იყოს ყველას მიმართ, ვინც საზოგადოების წევრად, ინდივიდად იწოდება. „კანონის წინაშე თანასწორობა,, „კანონის უზენაესობა,, „მართავენ კანონები და არა ადამიანები,, და სხვა. ეს მხოლოდ ნაწილია ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრაზებისა, რომლებიც ინდივიდუალიზმზე დამყარებულ საზოგადოებრივი მოწყობის ფუნდამენტალურ ნორმებს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ.¹ უფლებათა რეალიზაციის უზრუნველყოფი ორგანოს შექმნის აუცილებლობა, იმ ინტერესთა კომფლიქტიდან გამომდინარეობს, რომელიც ინდივიდთა შორის არსებობს. ხოლო რაც შეეხება, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს როლს, იგი ამა თუ იმ საქმიანობის

1 ისტორია კოლექტიური ძალაუფლების შეზღუდვის ორ სხვადასხვა ხერხს იცნობს პირველი ინდივიდუალურ უფლებებში, საზოგადოებრივი ჩარევის შეზღუდვისათვის იქმნებოდა სხვადასხვა ინსტიტუციონალური მექანიზმები. ასე მაგალითად, რომის რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორ ან მეტ პირზე გადანაწილების მცდელობას ანუ, ერთიდაიგივე თანამდებობაზე ინიშნებოდა ერთდროულად რამდენიმე პირი. შუასაუკუნეების ეპოქაში, დეცენტრალიზებული ფეოდალური თავადაზნაურობა ჯერ ცენტრალიზებულ ეკლესიას დაუპირისპირდა, ხოლო მოგვიანებით, ფორმირების პროცესში მყოფ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. მონტესკიე აქტიურად განიხილავდა სახელმწიფო ძალაუფლების გონივრული გადანაწილების საპროცედურო საკითხებს. შვეიცარია, მაგალითად, მრავალი საუკუნის მანძილზე ეფექტურად იყენებდა ფედერალური მოწყობის ფორმას. მეორე - ფართოდ გავრცელდა მითი - „კანონის უზენაესობის,, შესახებ, რომელიც მართავდა არა უბრალო ადამიანთა, არამედ, თვით მეფეთა ქმედებებსაც. ცნობილია აღნიშნული მითის ისეთი ფორმები, როგორცაა: მოსეს სჯული, მორმონთა წიგნი, ლმერთის მიერ ნაბოძები „კანონები,, და სხვა.

სფეროში ინდივიდუალურ უფლებათა უზრუნველყოფასა და მათ დაცვაში უნდა გამოიხატოს.

თუ კოლექტიურ ორგანიზაციას (სახელმწიფოს), შესწევს უნარი, უზრუნველყოს ინდივიდუალურ უფლებათა დაცვა, მაშინ როგორღა აღვკვეთოთ მისივე ქმედება აუცილებლობის ჩარჩოებიდან შესაძლო გადახვევის შემთხვევაში? ანდა რა „უფლებები,, გააჩნია თავად სახელმწიფოს? დასმულ კითხვებზე მკვლევარი პასუხობს: „უფლებათა დამცავ ინსტიტუტთა იერარქიის შენება სადღაც უნდა დასრულდეს. ადვილი წარმოსადგენია კოლექტიური ორგანიზაცია, რომელიც ადამიანთა „უკანონო,, ხელყოფისაგან, პიროვნებისა და საკუთრების დაცვის ფუნქციას ახორციელებს, მაგრამ გაცილებით რთულია გამოინახოს საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც, ინდივიდები, კოლექტიურ ორგანიზაციათა „უკანონო,, ქმედებებისგან, საკუთარი უფლებების დაცვას შეძლებდნენ. როგორ შევბოჭოთ ლევიათანი? ეს პრობლემა კარგა ხანია აღელვებს ფილოსოფოსებსა და პოლიტიკოსებს, მაგრამ პასუხი კითხვაზე: როგორ დაუახლოვდეთ იდეალს, ან როგორ მოვახდინოთ მისი პრაქტიკაში რეალიზება – დღემდე არ არის გაცემული.

სოციალურ სისტემათა მოწყობის კონცეფტუალიზაციის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ისეთი იდეალური მოდელის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ბიუროკრატიული ზედმეტობისგან, და რაღა თქმა უნდა, მათ შორის კორუფციისაგანაც, მრავალმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ შემოგვთავაზა და დღესაც გვთავაზობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აღმშე-

ნებლობის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოდელებს.

ასე მაგალითად, გასული საუკუნის 20-იან წლებში, წარმოიშვა და მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვა, ტექნოლოგიურმა თეორიამ. აღნიშნული თეორიის თანახმად, საზოგადოებას სპეციალისტები – მმართველები, მენეჯერები უნდა მართავდნენ, რომელთაც ექნებათ უნარი განსაზღვრონ საზოგადოების მოთხოვნილებები, დასახონ მისი ოპტიმალური განვითარების გზები, მოიზიდონ საჭირო თანხები და სხვა საშუალებები.

პლურალისტური დემოკრატიის თეორია, მსგავსად ტექნოლოგიური თეორიისა, მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: გამოძინარე იქედან, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არსებითად შეწყვიტა არსებობა კლასებმა, შესაბამისად, ძალაუფლებამაც დაკარგა კლასობრივი ხასიათი. სახელმწიფო საზოგადოების სოციალურ გაერთიანებათა ერთობას წარმოადგენს, რომელიც ისეთი ნიშნების საფუძველზე ყალიბდება, როგორიცაა: ასაკი, პროფესია, ინტერესთა სფერო და სხვა. შემდგომ ამისა, ისინი ქმნიან სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფო ორგანოებზე და ამგვარად, წარმართავენ სახელმწიფო პოლიტიკას.

არაერთი ცნობილი თეორია იქნა შემუშავებული და ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსის შესახებ, რომელთაგანაც, ერთ-ერთს სწორედ, კონვერგენციის თეორია, იგივე ისტორიულ-

მატერიალისტური სახელმწიფოს კონცეფცია წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სოციალური სახელმწიფოს თეორიამ,¹ რომლის თანახმადაც, სოციალური სახელმწიფოს არსი, სახელმწიფოს ზეკლასობრიობაში, მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების თანაბარ უზრუნველყოფაში და მათ კეთილდღეობაში მდგომარეობს.

აღნიშნულ თეორიათა თანახმად, თანამედროვე სოციალური სამართლებრივი-სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი განვითარების სრულიად ახალ ეტაპს წარმოადგენს. „კლასიკური ლიბერალიზმის,, ეპოქის სამართლებრივი სახელმწიფო – ინდივიდუალიზმის, ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეოლოგიას ეფუძნებოდა. რომლის ერთადერთ ფუნქციას – წესრიგის დაცვა წარმოადგენდა. სახელმწიფოთა თანდათანობით სოციალიზაციის პროცესს, შედეგად მოჰყვა ახალ კონცეფციათა განმტკიცება, რომელთა შესაბამისად, სახელმწიფოს ძირითადი პროგრამული მიზანი, ყველა მოქალაქისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა გახდა. სოციალური სახელმწიფო ვალდებულია, ყველა პირობა შექმნას ადამიანთა თვითგანვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, საჭიროა გამოირიცხოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც სოციალურ მუქთახორობას კვებავს.

1 აღნიშნულ თეორიას სხვაგვარად, „სახელმწიფოს საყოველთაო კეთილდღეობის,, თეორიას უწოდებენ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოიშვა და მანამდე არსებულ კონცეპციათა ანტიპოდად იქცა. მოცემული თეორიის თანახმად, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც საქმე სამართალდარღვევას ეხება.

მას შემდგომ, როდესაც უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული წარმოდგენები სოციალურ სახელმწიფოთა არსის შესახებ, თანდათან განმტკიცება იწყო კონცეფციამ იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს მთლიანად საზოგადოების არსებობის პასუხისმგებლობა. სადღეისოდ, სწორედ, ამგვარი სახელმწიფოებრივი ფილოსოფია გააჩნიათ სოციალური საბაზრო მეურნეობის მქონე მთელ რიგ ევროპის ქვეყნებს.¹

სოციალური საბაზრო მეურნეობის შექმნა, სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. იგი მოწოდებულია, ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე, თვითრეგულირებად ბაზარსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში გარკვეული ბალანსი დაამყაროს, განსაზღვროს სამეურნეო თავისუფლებისა და სახელმწიფო-სოციალური გარანტიების მოცულობები.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ქმნის რა, სამართლებრივ არეალს, აყალიბებს ქცევის წესებს და განსაზღვრავს მათი რეალიზაციის მექანიზმს. ამასთან, ახორციელებს კონტროლს სოციალურ საბაზრო ეკონომიკურ საქმიანობაზე და მის მყარ განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ყოველმხრივ უსაფრთხო განვითარებას, ზრუნავს მშრომელთა სოციალურ დაცვაზე, შემოსავლების სამართლიანი განაწილების პოლიტიკის გატარებაზე, მოქალაქეთა სოციალურ სოლიდარობაზე, რომელიც მიმართულია ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და თავისუფალი განვითარე-

¹ იხ. Экономическая безопасность. Производство- Финанси – Банки. Под-ред. В.К. Сенчагова –М. ЗАО Финстатин-форм.1998. გვ. 475

ბისაქენ.¹

აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში დამკვიდრებით, მაღალეფექტური ეკონომიკისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის სტანდარტების წყალობით, ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ შეძლო ამ თეორიის სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცება.

საქართველო, მსგავსად სხვა ევროპული ქვეყნებისა, სოციალური სახელმწიფოს აღმშენებლობის გზას დაადგა. კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, ჩვენმა ქვეყანამ აღიარა რა, სოციალური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები, მათ შორის, სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობის სფეროში სახელმწიფო ჩაურევლობის პრინციპი, მან ამით, ფაქტიურად, გამოტოვა ადრეული ლიბერალიზმის ეტაპი, რომლის გადალახვას დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა საუკუნეზე მეტი მოანდომა. ერთი რამ ცხადია, ქართული სახელმწიფო კონსტიტუციურად კი გახდა სოციალური, მაგრამ არ აღმოაჩნდა საკმარისი უნარი იმისათვის, რომ მეტი ეფექტური ღონისძიებები გაეტარებინა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების წინსვლის საქმეში.

საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს ახსნას და ამასთან, გამართლება მოუძებნოს სახელმწიფოს ისეთ პოლიტიკას, რომელსაც საზოგადოება, სოციალურ უთანასწორობამდე მიჰყავს და მას უმდიდრეს და ლატაკ ფენებად ყოფს. მითუფრო, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვში ისეთი ადანიანები აღმოჩნდნენ, რომლებმაც

1 იქვე. გვ. 475

თავის დროზე, თითქმის აუნახლაურებელი შრომის ფასად ის მატერიალური და სულიერი დოვლათი შექმნა, რომელიც ამჯერად სხვის ხელში აღმოჩნდა.

დღეს ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ქვეყანაში კორუფციის გავრცელებას ხელი შეუწყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ მმართველობის სფეროში დაშვებულმა მნიშვნელოვანმა შეცდომებმა, რამაც თავის მხრივ, გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო და სხვა სამსახურების ფუნქციონირების სუსტ ეკონომიურ და ორგანიზაციულ საფუძველში, პირადი კეთილდღეობის მიზნით ყველაფრის დაშვებულობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში, სამართლებრივ ნიჰილიზმსა და ცინიზმში. ამგვარად, ჩინოვნიკი არა სახელმწიფოს, არამედ უშუალოდ იმ ხელმძღვანელს ემსახურება, რომლის „გუნდის,, მორჩილი წევრიც ხდება.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მსგავსი ფსიქოლოგიის გავრცელებამ და მასზე ორიენტირებულმა ქცევამ, რეფორმათა პერიოდის საქართველოში აშკარად შეაფერხა ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლა. ზემოაღნიშნულ ურთიერთობათა ძალით, დაჩქარებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, ადამიანები სრულიად დაუცველნი და მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ. ჩინოვნიკებმა კი, რათა უზრუნველყოთ საკუთარი კეთილდღეობა და „ღირსეული,, ადგილი დაემკვიდრებინათ მომავალ საზოგადოებაში, ყოველგვარ საშუალებებს მიმართეს.

ცხადია, სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა, ბევრად იქნება დამოკიდებული სოციალური სამართლიანობის განსაზღვრულ დონეზე, ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებასა და სახელმწიფოებრიობის

განმტკიცებაზე.

შეუძლებელია ობიექტივიზმის პოზიციაზე დარჩე, როდესაც ამა თუ იმ სოციალურ ფაქტს, მოვლენასა თუ შემთხვევას ერთმნიშვნელოვნად, მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი ნიშნით აფასებ. როგორც ჩანს, ნებისმიერ ჰუმანიტარულ სფეროში, ერთსადაიმაცე საკითხთან მიმართებაში ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებათა თანაარსებობა, უფრო წესად იქცა და არა გამონაკლისად.

ჰუმანიტარული მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, რომლებიც შეხედულებათა პოლარიზაციას ვერ ეგუებიან, ერთი საგნის ირგვლივ არსებულ მრავლობით შეხედულებათა მიმართ უფრო ლოიალურნი არიან. სწორედ ეს თვისება წარმოადგენს მათ დამახსიათებელ სეგმენტს.

ვცდილობთ რა, გავაანალიზოთ სენტენცია – „ჭეშმარიტება სადღაც შუაშია,, ეს „სადღაც,, სწორედ, იმ შემოქმედებითი იმპულსის წარმომშობია, რომელიც გვაიძულებს ვეძიოთ ჭეშმარიტება, რომლის ზუსტი კორდინატებიც, სამწუხაროდ არ გაგვაჩნია.

კორუფციული მოვლენის კვლევის ასპექტში, მნიშვნელოვნად მიმჩნია კონცეპტუალურ დონეზე იქნას შესწავლილი და გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ – თუ როგორ და რა პოზიციიდან შევძლოთ ერთი და იმავე პრობლემის მნიშვნელოვან მხარეთა შეკავშირება. ასე მაგალითად, როგორიცაა; კორუფციაში დადანაშაულებულ პირთა მიმართ საზოგადოებრივი რეაქციის, ერთის მხრივ ჰუმანური და მეორეს მხრივ პრაგმატული ასპექტები.

აქვე აღბათ ყურადღება უნდა შევანეროთ სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელ იმ ზედაპირულ წინა-

დადებათა მიმართ, რომლებსაც დიდი ხნის მანძილზე, განუწყვეტლივ გვთავაზობდნენ და დღესაც გვთავაზობენ სავადასხვა სფეროს წარმომადგენლები. აღნიშნული შემოთავაზებები ხელს უწყობდნენ ექსპანსიის ზრდას და არა პირიქით, მის შეჩერებას, უსასრულო რეგრესს წარმოშობენ ე.წ. „საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრიორიტეტთან,, მიმართებაში. არსებულ პრობლემათა დარეგულირება, სახელმწიფოს მოვალეობაა. ის „ვინც არეგულირებს,, და წარუმატებლობას განიცდის, თავად უნდა „დავარეგულიროთ,,¹ თუმცა, იმ ორი ჯგუფის პრობლემათა რეესტრში: „ვინ არის დამნაშავე?,, და „რა მოვიმოქმედოდ მის წინააღმდეგ?,, მთელი ამ მრავალფეროვანი სამყაროს „ჩატევა,, ფაქტიურად შეუძლებელია. აღნიშნულ კონტექსტში, საჭიროდ მივიჩნევ, გასაანალიზებელი მოვლენის დეტალურ დონეზე შეფასებას და ყოველივე ამის საფუძველზე, მნიშვნელოვან საკორექციო მხარეთა განსაზღვრას, იქნება ეს სამართლებრივი, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, აღმზრდელობითი, ეკონომიკური თუ სხვა მხარეები.

არამართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ კორუფცია ყველგან და ყოველთვის ერთნაირად ვრცელდება, რომ მისი წარმომშობი მიზეზები და შედეგები ყველგან იდენტურია. ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ მენტალიტეტს, სამართლებრივ, რელიგიურ და ეთნიკურ ტრადიციებს, რომლებიც, ცხადია, ერთმანეთის სარკისებურ ანარეკლს

1 ფ. ზაიკმა დეტალურად გაანალიზა ეს თეზისი. იხ. Studies in philosophy, Politics, and Economics. London: Routledge and Kegan pau, 1967, ასევე იხ. Law Legislation, and Liberty. Vol. 1, Rule and order.

არასოდეს წარმოადგენენ.

კორუფციულ გამოვლინებათა მომეტებულ საშიშროებას, მისი ორსახოვანი ბუნება განაპირობებს, რაც ერთის მხრივ, სახელმწიფო ფუნქციათა განმახორციელებელ პირთა მხრიდან, უკანონო უპირატესობის მიღების მიზნით, ოფიციალური სტატუსით სარგებლობაში გამოიხატება („გამყიდველობაში“), ხოლო მეორის მხრივ, დაინტერესებულ პირთა მხრიდან, სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვაში მდგომარეობს. კორუფციის აღმოფხვრისა და მისი ნეიტრალიზაციის მეტნაკლებად ეფექტური მოდელის ძიების თვალსაზრისით, აღნიშნულ მხარეთა ერთმანეთისაგან გათიშვა და მითუმეტეს, მათი ურთიერთდაპირისპირება, ვფიქრობ, მიზანშეუწონელია. ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ ამგვარ წინააღმდეგობრივ ერთობაში, მოცემულ მხარეთაგან, მოხელეთა „გამყიდველობა,, ღომინირებს.

კორუფციის შინაარსი გამოხატულებას პოულობს, ისეთი სახის ქმედებათა ერთობლიობაში, როგორცაა: ანგარების მიზნით ქონების, გარკვეული შეღავათების ან სხვა რაიმე უპირატესობის უკანონო მიღება, იმ პირთა მხრიდან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სახელმწიფო ან სხვა მასთან დაკავშირებული ფუნქციები.

კორუფციის გამოვლინების ფორმებს უნდა განვაკუთვნოთ სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთა მიერ ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დარღვევა. ასე მაგალითად; ეთიკურ ნორმათა დარღვევას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით ან

სხვანორმატიული აქტით, მაგრამ უარყოფით ზეგავლენას ახდენს სამსახურის ავტორიტეტზე. (სისტემატური დასწრება ბანკეტებზე, უფასო ან შეღავათიანი მომსახურებით სარგებლობა და სხვა.) ეთიკურ ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებით, საკმაოდ მართებულად მსჯელობს ა. კახნიაშვილი. იგი ამგვარი სახის დარღვევებს, წვრილმან გადაცდომებად მოიხსენიებს. ეს უკანასკნელნი, ავტორის აზრით, კორუფციული ბუნებისანი კი არიან (ვინაიდან გამორჩენა—ანგარებას ემყარებიან), მაგრამ საზოგადოებისათვის უმნიშვნელო ზიანის მოტანის გამო, მათთან „ბრძოლა“, მორალური სანქციებით — გაკიცხვის ფორმით უნდა წარმოებდეს.¹

კვლევის ფარგლებში, არანაკლებ ინტერესს იწვევს კორუფციის მექანიზმი, რომელიც გამოიხატება: 1). ორმხრივ გარიგებაში, ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო ან სხვა სამსახურში მყოფი პირი არალეგალურად „ჰყიდის“, თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან მომსახურებას, დაფუძნებულს თანამდებობრივ ავტორიტეტზე. ხოლო „მყიდველს“, შესაძლებლობა ეძლევა, სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურის, საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოყენების, კერძოდ; უსაფუძვლო გამდიდრების, გარკვეული პრივილეგიების დაკანონების, იურიდიული პასუხისმგებლობისაგან და სხვა სახის სოციალური კონტროლისაგან თავის არიდების და ა.შ. 2). მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის, „ჯილდოს“, სახით რაიმე სიკეთის გამოძალვაში. 3). მოსამსახურეთა აქტიურ მოსყიდვაში, ამასთან, არც თუ ისე იშვიათად, ძლიერი ფსიქიკური ზემოქმედების გზით.

1 იხ. ა. კახნიაშვილი. როგორ ვებრძოლოთ კორუფციას. თბ. 2002 გვ. 86

ძალაუფლების სოციალური კოროზიის პროცესში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ, როგორ მიმდინარეობს ამ ძალაუფლების ნგრევა, „გაჩანაგება,,. პრინციპულად მნიშვნელოვანი უფრო სხვა რამაა, კერძოდ ის, რომ: ძალაუფლება, აღარაა სახელმწიფოებრივი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით). ეს უკანასკნელი კარგავს თავის პირველად დანიშნულებას, არ გააჩნია საკუთარ მოქალაქეთა დაცვის უნარი და მხოლოდ და მხოლოდ, მათი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის საშიშროების მატარებლად გარდაიქმნება.

კორუფციის ესკალაცია, მისი ხარისხობრივი მახასიათებლების ზრდა კანონზომიერი მოვლენაა ისეთ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისთვის, სადაც: პირველი ყველაფრის საზომი ფული და სხვა მატერიალური ფასეულობებია, რომლებიც განსაზღვრავენ ყოფიერების ისეთ მხარეებს, როგორიცაა: ქორწინება, განათლება, სოციალური სტატუსი, კარიერა და სხვა. სადაც სულიერება დევალირებას განიცდის, ადმიანის ღირსება მისი პირადი მდგომარეობით ისაზღვრება. ამასთან, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა გზითაა მოპოვებული ქონება. მეორე – მიზნის მიღწევის ნებისმიერი საშუალება, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრებას ითვალისწინებს, ნებადართულად ცხადდება. პრაქტიკულად მოშლილია ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელი ყველა ცივილური, სოციალური რეგულატორი: სამართლებრივი, მორალური, რელიგიური, საზოგადოებრივი აზრი და სხვა. მესამე – ვერ ხერხდება ცხოვრებისეული მინიმალური სტანდარტების მოთხოვნების ჩარჩოებში უზრუნველყოფა. (უმუშევრობა, უსახლკარობა, ლტოლვილთა და სხვა იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა). ადგილი აქვს

კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან რეალიათა (კრიმინალური და კრიმინოგენული სიტუაციები). კანონთან შეუსაბამობის ფაქტებს.

აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვავს იბენტამი, რომლის თანახმად, რაც უფრო განსაკუთრებულია დანაშაულის ჩამდენი პირის მდგომარეობა, მით უფრო ნაკლებ შემაშფოთებელია მის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც პირადი ან საზოგადოების ნდობის დაკარგვას, ძალაუფლებისა და ნდობის ბოროტად გამოყენებას მოიცავს, და რაც უფრო ნაკლებია მსგავსი სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა, მით უფრო შეზღუდულია დანაშაულთა ფარგლები. მნიშვნელოვან გამონაკლისებს წარმოადგენენ ისეთი შემთხვევები, როდესაც ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილ ინდივიდუმს, თავისი ძალაუფლების განვრცობის შესაძლებლობა ეძლევა მნიშვნელოვან პირთა წრეზე. მსგავს შემთხვევაში, მისი ამგვარი განსაკუთრებული მდგომარეობა, ნაცვლად საშიშროების შემცირებისა, პირიქით, ხელს უწყობს მის ზრდას. ასე მაგალითად, როდესაც მოსამართლის მიზანია, გაძარცვოს, იბატონოს, სამხედრო პირისა კი – მოიპაროს, შეავიწროვოს, სისხლი ღვაროს, ამასთან, თუ წარმოქმნილი საშიშროება, მათივე ძალაუფლების მასშტაბების პროპორციულია, შესაძლოა მათმა ქმედებამ ის საშინელი შედეგიც კი გადაფაროს, რაც ყველაზე მძიმე ყაჩაღურ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია.¹

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ კორუფცია

1 იხ. Бентам И. Введение в основания нравственности и законодательства-М: Российская политическая энциклопедия, 2000. გვ. 203

განსაკუთრებით საშიშია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. როდესაც ადგილი აქვს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მოსყიდვის ფაქტს, ეს იმისი მაუწყებელია, რომ თანამდებობის პირი არა სახელმწიფოს ან იმ ორგანიზაციის ინტერესს ემსახურება სადაც ეს უკანასკნელი მსახურობს, არამედ მას, ვინც მეტს უხდის.

სახელმწიფო აპარატის ორგანიზებული დანაშაულებრივი გზით გამოყენების მექანიზმი, უპირატესად, კორუფციას უკავშირდება. იგი სახელმწიფო უფლებამოსილების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასვლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჰეგელი წერდა: „სახელმწიფო ხელისუფლების ის ნაწილი, რომელიც ცალკეულმა ინდივიდებმა თავისთვის მოიპოვეს, საზოგადო ძალაუფლებისათვის დაკარგულია,“¹ მეტიც, შესაბამისი ინდივიდები და კრიმინალური ფორმირებები, მათ მიერ მოპოვებულ ძალაუფლების ნაწილზე დაყრდნობით, სახელმწიფოზე, სამოქალაქო ინსტიტუტებსა და მათ ღირებულებებზე ილაშქრებენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია თავისი ავტორიტეტითა და კანონის ძალით, წინ აღუდგეს კრიმინალთა თარეშს და აღკვეთოს ყოველგვარი უკანონობა. ამასთან, დაარწმუნოს საკუთარი მოქალაქეები მის ღრმა ინტერესსა და მზადყოფნაში დანაშაულობასთან უკომპრომისო, გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებაში. ამგვარი ძალისხმევის რეალურ შედეგს, კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, საზოგადოებრივრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონის, მოსახლეობის მაქსიმალური დაცვის შესაძლებლობა უნდა წარმოადგენდეს.

1 იხ. Гегель. გვ. 184

კორუფციის პრობლემატიკაზე მსჯელობისას, ჩვენი თანამედროვე ნ. კრისტი¹ აღნიშნავს: იმისათვის, რომ ხელისუფლება კონტროლს დაუქვემდებაროთ, საჭიროა ძალაუფლების მქონე პირთათვის, გარკვეულწილად „თავმოყვარეობის შელახვა“, რაც თავის მხრივ, რამოდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. აღნიშნულიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: მათ ვინც ძალაუფლებით სარგებლობს, კვალიფიკაციასა და სტატუსში რეალურად ათანაბრებენ მათთან, ვისზეც ვრცელდება ეს ძალაუფლება.

აღნიშნულის ბრწყინვალე ილუსტრირებას წარმოადგენს, თვით ამ ავტორის მიერ აღწერილი ვითარება, რომელიც ადგილობრივ პოლიციის ორგანოებს ეხება. გაუცხოების გადალახვისკენ სწრაფვამ, წერს კრისტი, როგორსაც ბევრ საქალაქო რაიონში აქვს ადგილი, სხვა სოციალური სამსახურებისა და ჯანდაცვის სფეროს მსგავსად, პოლიციის სამსახურის დეცენტრალიზაციის მცდელობამდე მიგვიყვანა. აქ კვლავ ქანქარის იგივეობრივ მოძრაობას ვაწყდებით, ვინაიდან, ჯერ პოლიციის მუნიციპალური სისტემა მოშალეს, დახურეს მრავალი პატარა საპოლიციო უბანი, ახლა კი, მათი ხელახალი აღდგენის პროცესი იწყება. პოლიციის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, ვერ ახდენს იმ ძველი კონსტებლის² კომპენსირებას, რომლებიც ჩემს რაიონში მსახურობდნენ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე ბავშვი ვიყავი. დღეს თითქოს რაიმე ახალს ვიგონებდეთ, ეს ხომ კონტროლიორებზე

1 იხ. Кристи Н. Пределы наказания-М. Прогресс, 1985

2 ინგ.- constable, ფრანგ.-connetable, ინგლისში, აშშ-ში, კანადაში დაბალი ჩინის პოლიციელს ნიშნავს. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. 2002წ. გვ. 86.

კონტროლის განხორციელების მცდელობაა. პოლიცია შეუძლებელია ბიუროკრატიული საშუალებებით გააკონტროლო. თუ მას რაიმეს გაკეთება სურს, მისი საქმიანობა ნაკლებ კვალს ტოვებს ქალაქში, რაც ფაქტიურად, ზევიდან კონტროლს შეუძლებელს ხდის. აღნიშნულის ალტერნატივას, ქვემოდან, მოსახლეობის მხრიდან კონტროლი წარმოადგენს. იმისათვის კი, რომ ამ სახის კონტროლი ეფექტური იყოს, პოლიცია, მართლაც ადგილობრივად უნდა გადაიქცეს,¹ ლიტერატურაში, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, სხვა კრიტიკული დამოკიდებულებაც არსებობს, რომელთა შორის ცნობილია ს.კოენისა და ტ.მატისენის შეხედულებები.² ავტორთა აზრით, ციხეთა ლიკვიდირება, მთელი საზოგადოების ციხის მსგავს დაწესებულებად გადაქცევის გზით, შეუძლებელია. კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ერთობისადმი დაუქვემდებარებელ პერსონალთა მიერ ხორციელდება, იოლად შეიძლება იქცეს მისივე წევრების მხრიდან, აბსოლიტურად გაუკონტროლებელ სამეთვალყურო სისტემად. იმისათვის რომ, თავიდან იქნას აცილებული ამგვარი უკუღმართი შედეგი, დეცენტრალიზებული ხელისუფლების იდეა, ჩინოვნიკთა იმ გარემოსადმი დამოკიდებულებას უნდა ითვალისწინებდეს, სადაც ეს უკანასკნელნი მსახურობენ.³

სამართლებრივი წესრიგის სიმტკიცე, მოქალაქეთა

1 Н Кристи. Пределы наказания-М. Прогресс, 1985

2 ავტორთა კრიტიკას საფუძვლად უდევს, მ. ფუკოს მიერ ჩამოყალიბებული (1975 წ) დისციპლინარული საზოგადოების კონცეფცია.

3 იქვე გვ.117

მხრიდან კანონზე და არა მის შემფარდებელ პირებზე დამოკიდებულებას მოითხოვს, მაშინ, როდესაც ადამიანებს, საკუთარი ღირსების ფასად მოსამართლეთა და ადმინისტრატორთა პირად შეხედულებებთან უხდებათ შეგუება, სჯობს უსულო ნორმებზე იყვნენ უფრო დამოკიდებულნი, ვიდრე გულითად ადამიანზე. მსგავს ვითარებად შეიძლება შეფასდეს შემთხვევა, როდესაც სასამართლო ან ადმინისტრაცია დასაშვებად მიაჩნევს, იმოქმედონ არა კანონის ზუსტი აზრობრივი შესაბამისობიდან გამომდინარე, არამედ მხედველობაში მიიღონ მისი გამოყენების კონკრეტული პირობები. მართალია, მძიმეა შეეგუო რეალობას, როდესაც მიზანშეწონილობა და სამართლიანობა შენს წინააღმდეგაა, მაგრამ კანონის სიზუსტის არსი, სწორედ ამ ყველაფრის უკან დგას.¹

ქართულ მენტალობის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს უმრავლესობის მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა იმ ჭეშმარიტებისადმი, რომ „სჯობს დამოკიდებული იყო უსულო ნორმებზე, ვიდრე სულიერ (გულითად) ადამიანზე. მაშასადამე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპული ნორმოკრატია და ქართული პერსონოკრატია, წინააღმდეგობრივ კულტურათა გამომხატველი ცნებებია.

გ. შერშენევიჩი, ეყრდნობა რა, სამართლებრივი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების სრულიად განსაზღვრულ დასავლურ კონცეფციას, მიიჩნევს, რომ სამართლიანობა კანონმდებლობის, და არა სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის საფუძველში უნდა იდოს. მნიშვნელოვანია ავტორის დას-

1 იხ. Шершеневич Г.Ф. Применение права. // Хропанюк В.Н. Теория государства и право. Хрестоматия. Под. ред. Радько Т.Н.- М, Изд-во `Интерстиль` 1998. გვ. 678

კვნა იმის შესახებ, რომ კანონიერების პრინციპი, მოსამართლეში და ადმინისტრატორში ისეთი ზნეობრივი ძალის არსებობას გულისხმობს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს წინ აღუდგეს მისთვის აუცილებელი მიმართულებიდან გადახრას. და რომ, ...ვერც ნათესავთა და ნაცნობთა თხოვნა, ვერც პირადი სიმპატიები განსასჯელისა თუ ბრალდებულის მიმართ, ვერც სამსახურებრივი და მატერიალური გამორჩენა, პოპულარობის ცდუნება, ხელმძღვანელთა ნდობის დაკარგვის რისკი ვერ აიძულებს მას კანონისაგან ზურგის შექცევას. ეს თვისებები, მხოლოდ კანონიერებისა და სამართლიანობის ატმოსფეროში ყალიბდება. ამგვარი ფსიქიკის მქონე ადამიანები, მიუხედავად მათი გარეგნული უსულგულობისა, განუსაზღვრელი საზოგადოებრივი ღირებულების მატარებლები არიან, ეს არის ფსიქოლოგია საზოგადო მოღვაწისა, რომელთაც უნარი შესწევთ, პირად ინტერესებსა და გრძნობებზე მაღლა კანონის მოთხოვნა დააყენონ...“¹

— ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ თითქოს კორუმპირებული ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას არ აწარმოებს. რეალობაში ამგვარი ბრძოლა ხორციელდება, მაგრამ უპირატესად, ოლიგარქიული მოდელის ჩარჩოებში. ამასთან, პასუხისმგებლობის რეალიზაცია, კლანური, „ჩემი—სხვისის“, პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს. იქედან გამომდინარე, რომ ძალაუფლება „გუნდური“, პრინციპითაა გადანაწილებული, ხელისუფალნი ყველა ღონეს მიმართავენ, რათა პასუხისმგებლობისაგან იხსნან საკუთარი გუნდის წევრები „თავისიანები“. სამაგიეროდ, „სხვებთან“, მიმართებაში ცდილობენ შეაგროვონ მათ

1 იხ. Шершеневич Г.Ф. Применение права. // Хропанюк В.Н. Теория государства и право. Хрестоматия. Под. ред. Радько Т.Н.- М, Изд-во `Интерстиль`1998.. გვ. 678

მიმართ მაკომპრომატირებელი მასალები და მისცენ მათ კანონიერი მსვლელობა.

ოლიგარქიულ მოდელში, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება ფულს, რომლის მეშვეობითაც ბევრი საკითხი გვარდება. მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებშიც. სწორედ ამით აიხსნება მოცემული მოდელის კრიმინალური მოდიფიკაცია. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ორგანიზებული ჯგუფის წევრებიც კი ახერხებენ ქრთამის მეშვეობით პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევთ, კვლავ განაგრძონ კრიმინალური ბიზნეს – საქმიანობა.

იქედან გამომდინარე, რომ ოლიგარქიული კლანები მხარს არ უჭერენ უკუკავშირებს მოსახლეობასთან და სხვა მმართველობით სტრუქტურებთან (მათ შორის სამართალდამცავ სფეროშიც), კორუფციასთან ბრძოლა ინსტრუმენტულ ხასიათს იძენს და განიხილება, როგორც იარაღი, კლანთაშორის ბრძოლაში ძალაუფლების მოპოვებისა. კონტროლის არარსებობა ხელისუფლების ქვემდგომ სტრუქტურებში, ფართო მასშტაბის კორუფციას წარმოშობს.

ძალაუფლების კრიმინალიზაციის შემდეგ პირობას, მისი წარმომადგენლებისთვის კანონის ძალით მინიჭებული იმუნიტეტით, მათი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შესაძლებლობა წარმოადგენს, რაც სოლიდარულია პრინციპისა: „რაც უფრო დიდია ძალაუფლებრივი უფლებამოსილება, მით უფრო ნაკლებია პასუხისმგებლობა,,.

განვიხილავთ რა, კორუფციას, როგორც სოციალურ მოვლენას, წარმოშობილს, ხელისუფლების სისტემისა და საზოგადოებრივი ურთიერთქმედების გადაკვეთაზე, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ურთიერთობაში, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს.

თავის მხრივ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სოციალურ – ფსიქოლოგიურ მოვლენას, რომელიც ფართო პირთა წრის კრიტიკიათა მსგავსებაში გამოიხატება. იგი ხელს უწყობს სოციუმში დომინირებული საერთო აზრის ფორმირებას, რომლის საფუძველზეც წარმოქმნილი წნეხი, საკმაოდ საგრძნობია. საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა დაფარულ ან დეკლარირებულ ხასიათს ატარებდეს. იგი უპირველეს ყოვლისა, ემოციურ ფაქტორებს ეფუძნება, რასაც „ლაპარაკობენ,, რასაც „ფიქრობენ,, და რისიც „სჯერათ,, სწორედ ამიტომაც, რომ ძირითადად იგი დაფარულ, ანონიმურ ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება მეტწილად, მოცემულ გარემოებებზეა დამოკიდებული და ყალიბდება არა ლოგიკური ანალიზის ან ემპირიულად დადასტურებული ფაქტების საფუძველზე, არამედ, ხშირად, მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ზეგავლენით. და ბოლოს, იგი ზედმიწევნითი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია, რომელიც არც თუ ისე იშვიათად, ინტერპრეტაციულ შეცდომებსაც არ გამორიცხავს. საზოგადოებრივი აზრი მეტწილ შემთხვევებში არაერთგვაროვანია. მის წიაღში შესაძლოა, განსხვავებულ პოზიციათა გამომხატველი, მრავალი დინებები თანაარსებობდნენ.

რაც შეეხება ცენზურას, იგი ხელისუფლების მხრიდან კონტრ-ელიტის შეზღუდვაში გამოიხატება, რომელიც ცდილობს გაავრცელოს ინფორმაცია ისეთი ფაქტების შესახებ, რამაც შესაძლოა, არასასიკეთო ზეგავლენა იქონიოს საზოგადოების ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაზე. სამთავრობო დაწესებულებათა წარმომადგენლები, მსგავს შემთხვევებში ყურადღებით ეცნობიან შესაბამის ფაქტებს და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, სპეციალური ბრძანების

საფუძველზე კრძალავენ. ცენზურის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს – თვითცენზურა, რომლის დროსაც ინფორმაციის გავრცელება არ ხდება არა რაიმე სპეციალური აკრძალვის არსებობის გამო, არამედ იქედან გამომდინარე რომ, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს მმართველი ელიტის უკმაყოფილება, თვითონ საინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელები კრძალავენ მას.

ანტიდემოკრატიულ რეჟიმებში საჯაროობის არარსებობამ, მოქალაქეებს მცდარი წარმოდგენა ჩამოუყალიბა იმის შესახებ, რომ დემოკრატია თავისი არსით, კორუფციისთვისაა იმთავითვე განწირული. მსგავსი შეხედულებების არსებობის პირობებში, დემოკრატიის ლიდერები ვალდებულნი არიან ყველა ღონეს მიმართონ იმისათვის, რომ დემოკრატიული რეჟიმები უფრო გამჭვირვალენი, ხოლო ხელისუფლებები უფრო ერთგული დამცველნი გახადონ საჯაროობის პრინციპებისა.¹

როგორც ჩანს, ყოველივე ზემოაღნიშნული, მთელი მოცულობით თავსდება ჩვენს მიერ გასაანალიზებელი მოვლენის ქვემოთ მოყვანილ ინსტიტუციონალურ ცნებაში: კორუფცია – ეს არის სოციალური მოვლენა, რომლისათვისაც დამახასიათებელია სახელმწიფო და სხვა მოსამსახურეთა მხრიდან „მოსყიდვა-გამყიდველობა“, რომლის საფუძველზეც პირადი, ვიწრო ჯგუფური, კორპორაციული ინტერესების შესაბამისად, ადგილი აქვს ოფიციალური სამსახურეობრივი უფლებამოსილების, მასთან დაკავშირებული ავტორიტეტისა და შესაძლებლობათა ანგარებითი მიზნით გამოყენებას.

1 Основы брьбы с коррупцией (Системы обшегосударственной этики поведения) науч. ред. С.В. Максимов и др –М.Спарк. 2000. გვ.8

§ 2 კორუფციის ფენომენის ბენეფიცი. (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კორუფცია, სოციალური მოწყობის ყველა მოდელისათვისაა დამახასიათებელი, რომლისათვისაც ნიშანდობლივია, საზოგადოების, მისი ცალკეული ინსტიტუტების წარმომადგენელ პირთა მხრიდან ხელისუფლებრივი უფლებამოსილების დელეგირება ან ამგვარ შესაძლებლობათა უზურპაცია.

კორუფცია, დასაბამიდან, კაცობრიობის თანმდევი სენია. დღეს ამ კრიმინალურ ფენომენს, სოციალური განვითარების თანამგზავრადაც კი მიიჩნევენ. მის ისტორიულად გარდაუვალ, მუდმივ ხასიათს, თვით ამ ტერმინის (ლათ. „*corumpere*“) ეტიმოლოგიაც ადასტურებს. კერძოდ, მთელი რიგი სპეციალური წყაროები, რომლებიც აღნიშნული მოვლენის კვლევებს ეძღვნება, იმაზე მოწმობენ, რომ ტერმინი – „*corumpere*“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ასე მაგალითად, იგი განიმარტებოდა როგორც: კუჭის დაზიანება ცუდი საკვებით, დახურულ ჭურჭელში წყლის გაფუჭება, დოვლათის დანიავება, ზნეობრივი, სულიერი დაცემა, შესაძლებლობების ხელიდან გაშვება, წყაროს დაშრობა, თავისუფლების მოსპობა, ქალის მოტყუება, ახალგაზრდობის გარყვნა, აზრის დამახინჯება, შედეგის ფალსიფიკაცია, ღირსების შელახვა და სხვა. რაც შეეხება ტერმინს – „კორუმპირებულობა“, მასში იგულისხმებოდა; ვინმეს, და არა აუცილებლად თანამდებობის პირთა მოსყიდვა ფულით ან სხვა ძვირფასი ძღვენით.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ტერ-

მინი „corumpere“ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის საბერძნეთში იძენს თავის სოციალურ მნიშვნელობას და განიმარტება, როგორც: ზნეობრივი დაცემა, წესრიგის მოშლა. დაახლოებით იმავე პერიოდში იმკვიდრებს იგი მოსყიდვის მნიშვნელობასაც. ტერმინის წარმოშობის უფრო დეტალური ანალიზის თანახმად, კორუფციის თავდაპირველი სოციალური გაგება ორ თანამონაწილეს გულისხმობდა. (წინსართ – „cor“ - ის ერთ-ერთ მნიშვნელობას, ერთობა, თანამონაწილეობა წარმოადგენს). ლინგვისტური ანალიზი ცხადყოფს, რომ სიტყვა „კორუფცია“, ორი ფუძიდან წარმოდგება. „cor“ ნიშნავს გულს, სულს, გონებას და ა.შ. ხოლო, „raption“ – გაფუჭებას, ნგრევას, გარყვნას, ზნეობრივ დაცემას. ოდნავ მოგვიანებით, ძველ რომში კორუფციის უფრო სპეციალური მნიშვნელობითი გაგება – მოსამართლეთა მომსყიდველობა მკვიდრდება.¹ აღნიშნულმა ტერმინმა თანამედროვე მნიშვნელობა, XV-XVII საუკუნეებში ევროპაში მიმდინარე ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის პერიოდში შეიძინა. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული იგი აღიქმება, როგორც ჩინოვნიკთა (სახელმწიფო თანამდებობის პირთა), საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსყიდვა – გამყიდველობა.²

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ევრო-

1 Темпов Е. И. Коррупция. Происхождение современного понятия. // Актуальные проблемы теории и практики борьбы с организованной преступностью в росии. Матерялы научно- практической конференции. Вып.3-М: МИ МВД РФ, 1994. გვ 14-15

2 Политология. Энциклопедически словарь –М. Московский комерческий университет, 1993 გვ. 147.

პაში, კორუფციის ცნება, საეკლესიო, კანონიკურ მნიშვნელობასაც იძენს, რომლის თანახმად იგი ეშმაკისეულ ცდუნებად განიხილება. ტერმინი – „*corruptibilitas*“, ადამიანთა გახრწნას, ნგრევას ნიშნავდა და არა ქრთამის აღებისა თუ მისი მიცემის უნარს. კათოლიციზმის ღვთისმეტყველებაში, კორუფცია ცოდვის გამოვლინებად ითვლებოდა. იოანე მოციქული ცოდვას უკანონობასთან აიგივებდა. მეგკვიდრობითი ცოდვილიანობა კი, ყველა ცოდვის საწყის მიზეზად განიხილებოდა. (წმინდა ავგუსტინე, თომა აკვინელი).

დროთა განმავლობაში ტერმინში „კორუფცია“, სამართლებრივი პრინციპის მნიშვნელობითაც იმკვიდრებს თავს. ასე მაგალითად, „*corruptio optimiest pessima*“ – საუკეთესოს გახრწნა ყველაზე უარესია. არგუმენტთა ყველაზე ცუდ სახეს, ჯანსაღ პირობათაგან, მცდარი დასკვნის გამოტანა წარმოადგენს. გაიუსი ხშირად გამოხატავდა თავის აზრს იმის შესახებ, რომ პირთა შეთანხმებამ, ან ერთ-ერთის უმოქმედობამ, მეორის უფლებები არ უნდა დაარღვიოს. (*alteri jus corrumpi*)¹

მოგვიანებით კორუფციის შინაარსობრივი დატვირთვის აქცენტი, მის კრიმინოლოგიურ და სისხლის-სამართლებრივ მხარეებზე გადადის. თომას ჰობსი,² თავის „ლევიათანში“, წერდა; „ადამიანები, რომლებიც საკუთარი სიმდიდრით იკვებნიან, თამამად ჩადიან დანაშაულს იმის იმედით, რომ სასჯელისაგან თავის დაღწევას, სახელმწიფო იუსტიციათა კორუმპირებულობის მეშ-

1 იხ. Бартошек М. Римское право. Понятие, Термины, определения. М.1989. გვ. 93

2 იხ. Гоббс. Т. Левиафан или материя, форма и власть государства церковного и гражданского. М. 1936. გვ.229

ვეობით შეძლებენ. მსგავს კატეგორიას აკუთვნებს ავტორი იმ პირებსაც, რომლებსაც ბევრი გავლენიანი ნათესავი და მეგობარი ჰყავთ. ჰობსისეული განმარტებით, კორუფცია ყველა დროში, ეს არის ყოველგვარი ცდუნებიდან გამომავალი ფესვი, რომელიც კანონის უგულვებელყოფით იკვებება. მაშასადამე, XVII საუკუნის შუა წლებში გამოტანილი დასკვნა, როგორც ვხედავთ, XXI საუკუნის დასაწყისშიც აქტუალური აღმოჩნდა.

კორუფციის თანამედროვე გაგება ჩამოყალიბებას იწყებს ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა და ამჟამად არსებულ სამართლებრივ სისტემათა ჩამოყალიბებასთან ერთად. კორუფციის თანამედროვე გააზრების მნიშვნელოვანი იმპულსები იგრძნობა ნ.მაკიაველის შრომებშიც.¹ იგი აღნიშნულ კრიმინალურ ფენომენს, ავადმყოფობას აღარებს, რომლის ამოცნობაც დასაწყისში ძნელია, მკურნალობა კი, ადვილი. მაგრამ თუ მას უკვე ფესვები შორს აქვს გადგმული, მაშინ ამოსაცნობად ადვილია, მაგრამ სამკურნალოდ ძნელი. ასევეა კორუფციაც, თუ მას დროულად, ჩანასახშივე გამოვააშკარავებთ, მისი აღმოფხვრა ძნელი არ იქნება. მაგრამ, თუ იგი მომძლავრებული, უკვე ყველასთვის შესამჩნევი პროცესია, არავითარი წამალი აღარ უშველის.

თვალს თუ გადავაავლებთ მსოფლო ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ კორუფცია უძველესი დროიდან მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ანტიკური ხანის სახელმწიფოს, ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონების თანახმად, მექრთამე მოსამართლეებს დაკავებული თანამდებობებიდან ათავისუფლებდნენ, რომლებიც ველარასოდეს ჯდებოდნენ მოსამართლეთა სავარძელში. ძველ რომში, მართალია, სისხლის სამართალი, სამოქალაქო

1 იხ. Muchiaveillin. Opere. Milano. პრგ. 137, 139

სამართალთან შედარებით, ნაკლებად იყო განვითარებული, მაგრამ მექრთამეობას სასტიკად ებრძოდნენ. კერძოდ, მექრთამე მოსამართლეებს სიკვდილით სჯიდნენ. ისტორია კორუფციასთან ბრძოლის ისეთ სასტიკ მაგალითსაც იცნობს, როდესაც სპარსეთის მეფის კამბიზის ბრძანებით, მექრთამე მოსამართლეს ტყავი გაადრეს და მოსამართლის სავარძელს გადააკრეს.

კორუფციული ტრადიციების ამსახველ მაგალითებს სახელმწიფო აპარატის ფორმირების პროცესშიც ვაწყდებით. ისტორია ადასტურებს, რომ ადრეულ სახელმწიფოებში მოხელეთათვის ფულადი სახის ანაზღაურების არარსებობის პირობებში, ეს უკანასკნელნი, საკუთარ ყოფას სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით უზრუნველყოფდნენ. კერძოდ, სახელმწიფო მოხელეს შეეძლო ნატურით, პროდუქტისა თუ სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების სახით მიეღო სათანადო ანაზღაურება ანდა მას შესრულებული სამუშაოსათვის მიწა და გლეხები გადაცემოდა. რაც შეეხება გადასახადების ამკრებთ, მათ მიერ გაწეული შრომა, მოკრებილი გადასახადებიდან შესაბამისი წილის გამოყოფით ნაზღაურდებოდა. მაშასადამე, მოხელეთა შემოსავლები, სამსახურეობრივი ფუნქციის განხორციელებისას, მათადმი დაქვემდებარებული ურთიერთობიდან გამომდინარე ფორმირდებოდა. მოხელის შესვლა პიროვნებასთან ურთიერთობაში, აუცილებლად სასყიდელს მოითხოვდა. აღნიშნული მექანიზმი, ყოველთვის ტრადიციის ძალით როდი იყო განპირობებული, ზოგჯერ იგი დამოკიდებული იყო მთხოვნელის ქონებრივ სტატუსზე, საქმის მნიშვნელობის ხარისხზე და სხვა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ სახის ურთიერთობები, გარკვეულ ანაზღაურებად ხასიათს ატარებდა. პირი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელს ნებისმიერ საქმეზე, ჩი-

ვილით ან თხოვნით მიმართავდა, ყოველთვის „ძღვენი“ მიდიოდა მასთან, რაც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანად ზრდიდა მოხელის შემოსავლებს. რაც უფრო დიდი იყო ინტერესი მთხოვნელის მხრიდან „საქმის სასიკეთოდ დაგვირგვინებაზე“, და რაც უფრო მეტად იყო მისი გადაწყვეტა დამოკიდებული მოხელეთა შეხედულებებზე, მით უფრო პროპორციულად იზრდებოდა „ძღვენის“ ხარისხი და ოდენობა. ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც ურთიერთობის მონაწილე ორივე მხარეს დანაშაულებრივი ქმედებისაკენ უბიძგებდა, ასწლევულობის განმავლობაში მიმდინარეობდა და სამწუხაროდ დღესაც არსებობს. მექრთამეობის შეუქცევადი ზრდა, თანდათანობით, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემად იქცა. ხელისუფლება იძულებული გახდა ბრძოლა გამოეცხადებინა ამ უკანასკნელისთვის. მმართველი, რომელიც მექრთამეობის „პარპაშს“ უშვებდა, საფრთხეს უქმნიდა თავის ძალაუფლებას. ამდენად, რეპრესიული პოლიტიკა საშუალებას იძლეოდა დროებით მაინც შეემცილებინა კორუფციის დონე რეგიონში. მმართველის შეცვლასთან დაკავშირებით, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

აღსანიშნავია, რომ ძველ დროში, „ქრთამი,“ მხოლოდ დანაშაულის გამომხატველ ტერმინს როდი წარმოადგენდა. იგი კანონიერი საჩუქარის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

სულხან-საბა ორბელიანი „ქრთამს“ განმარტავდა, როგორც „საცოდავ ძღვენს“.¹ „საცოდავი“ ამ შემთხვევაში დანაშაულებრივს ანუ „ცოდვის“ ჩადენისათვის გამიზნულ ძღვენს გულისხმობდა. ე.ი. მექრთამედ ჩაითვლებოდა ის, ვინც უკანონობას ჩაიდენდა, სამართალს გაამრუდებდა, საამისოდ კი, უკანონო გასამრჯელოს – ქრთამს აიღებდა.

1 ს.ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. 2. 1993 გამ. მერიდიანი.

ქრთამის აღება მექრთამისთვის სარგებლის მიღებას, ანუ სარგებლიანობის მოპოვებას ნიშნავდა. ქრთამი, მაშასადამე სარგებელია, მაგრამ სარგებელი, რომელსაც პირი იღებდა, სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „საცოდავიც“ შეიძლება ყოფილიყო და კანონიერიც. უკანონო, უწესო საქმისთვის, ანდა პირის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისა თუ შეუსრულებლობისთვის აღებულ ქრთამს, სულხან-საბა ორბელიანი „საცოდავ ძღვენს“ უწოდებს, ხოლო სამართლიან საქმიდან მიღებულ სარგებელს – „უცოდველ ძღვენს“.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნში 90-ე მუხლში ტერმინი „ქრთამი“ განისაზღვრება, როგორც სისხლის-სამართლებრივი კატეგორია, სადაც სასტიკად არის გაკიცხული ის მექრთამე მოსამართლე, რომელიც ქრთამს აიღებდა და საქმეს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გადაწყვეტავდა. მექრთამედ ცნობილ მოსამართლეებს სამართლის წიგნის თანახმად, მღუღარე წყლით სავსე ქვაბიდან გავარვარებული რკინის ამოელებას აიძულებდნენ. ეს იყო სასჯელი, რომლის შიშითაც მოსამართლეებს თავისი ღირსება და პატიოსნება უნდა დაეცვათ. აქვე ხაზი უნდა გაესვას „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ქრთამს მხოლოდ დანაშაულებრივი კატეგორიის მნიშვნელობით როდი მოიხსენიებს, ამასთან, იგი განიხილება, როგორც გასამრჯელო, საზღაური შესრულებული სამუშაოსთვის, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ XVIII-XIV საუკუნეებში ტერმინი „ქრთამი“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა და ის არ მოიცავდა მხოლოდ უკანონო ქმედებისათვის აღებულ „საცოდავ ძღვენს“.

„ქრთამი“, როგორც სისხლისამართლებრივი კატეგო-

რია, დაკანონებული ფრაგმენტების სახით, ჩვენამდე მოღწეულ ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც გვხვდება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ტერმინი „ქრთამი“, ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული საჩუქრის, ძღვენის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

ფეოდალურ საზოგადოებაში, რანგით დაბალი პირის მიერ მასზე მაღლა მდგომ პირისათვის ძღვენის, საჩუქრის მირთმევა საძრახის საქმედ არ ითვლებოდა. გამომდინარე აქედან, ქართული სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებში, ხშირად ქრთამი კანონიერი გასამრჯელოს მნიშვნელობითაც გვხვდება.

არნოლდ ჩიქობავა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულში, ქრთამს სამგვარი მნიშვნელობით განმარტავს:

„ქრთამი“ — თანამდებობის პირისათვის მოსასყიდათ მირთმეული ფული ან ძღვენი.

ძველად საჩუქარი რაიმე კანონიერი გასამრჯელოს ან რაიმე სამსახურის გაწევისთვის.

ძველად საპატარძლოსათვის ფულად მისაცემი თანხა მზითევთან ერთად.

ტერმინი „ქრთამი“ კანონიერი გასამრჯელოს მნიშვნელობითაა წარმოდგენილი მე-14 საუკუნის სამართლის ძეგლში — „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“. ქრთამს უწოდებდნენ აგრეთვე, თანამდებობაზე დასანიშნად აღებულ გასამრჯელოსაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა თავად სთავაზობდნენ სამსახურს, თუ თვითონ ითხოვდა პირი. ორივე შემთხვევაში, დაკმაყოფილებული პირი დამნიშვნელის სასარგებლოდ კანონიერი ძღვენის სახით, გადასახადს-ქრთამს იხდიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ქრთამის“ ცნება ჩვენს ენაში,

დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც დანაშაულებრივი ქმედების გამომხატველი ტერმინი, ასევე როგორც, კანონიერი ძღვენი, საჩუქარი, კანონიერი საზღაური რაიმე საქმის მოსაგვარებლად.

მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში, ვახტანგ VI-ის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის სამეფოსათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მალე მთელ საქართველოში გავრცელდა და „საქართველოს სამართლად“ იქცა. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ქრთამის აღება და ამით საქმის გაკეთება დანაშაულად არის გამოცხადებული. ავტორს მექრთამეობა ღვთის წინაშე ჩადენილ უდიდეს ცოდვად მიაჩნია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად სხვა სამართლის ძეგლებისა, ტერმინი „ქრთამი“ აქაც მარტოოდენ დანაშაულის მნიშვნელობით არ გვხვდება. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც სამართლის წიგნი იქმნებოდა, ტერმინი „ქრთამი“ საყოფაცხოვრებო და ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში უკვე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. მით უფრო, რომ სწორედ ბექა-აღბუდას სამართლის წიგნი გახდა ვახტანგ მეექვსისა და მის მიერ შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიისათვის ერთერთი ძირითადი სახელმძღვანელო წყარო.

მაშასადამე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, რომელიც, როგორც ავლნიშნეთ, სახელმძღვანელო კოდექსს წარმოადგენდა ქართლის სამეფოს სამართალწარმოებაში და რომლის მოქმედების არეალი მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა, მექრთამეობა სისხლისამართლებრივი კატეგორიის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენდა, რომლის შენდობაც დაუშვებელი იყო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინი „ქრთამი“, ხშირად არადანაშაულებრივი შინაარსითაც

გამოიყენებოდა.

„ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებში” ქრთამი და მექრთამეობა დანაშაულად არის გამოცხადებული და „ქრთამის ქმედებისთვის” მოსამართლეების მიერ სადაო საქმეთა გადაწყვეტა საძრახისად არის მიჩნეული.

რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდებას”, მართალია აქ არაფერია ნათქვამი მოსამართლეთა მიერ ქრთამის აღებაზე და ამით საქმის გადაწყვეტაზე, მაგრამ უდაოა, მექრთამეობა აღნიშნული ძეგლის მიხედვით მიუღებელი მოქმედებაა.

თუ თვალს გადავაკვლავთ ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიას, კორუფციის ადეკვატურ გამოხატულებას აღნიშნულ სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით. საკორპორაციო, მეტადრე, სამონასტრო წესდებათა სამართალი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ ნორმებზე. იმ დანაშაულთა შორის, რომელიც თანამდებობის პირებს შეიძლება დაჰბრალდებოდეთ წმინდა სარწმუნოებრივის, მწვალებლობის, გარდა რომელიც საეკლესიო სამართლის სფეროს ეხებოდა, იხსენიება: „ორგულობა”, „ლალატი”... „მოხუეჭაი მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებათაი”... „აღებაი ქრთამისაი” და სხვა.¹

„...ქრთამად ითვლებოდა ყოველგვარი „სასყიდელი”, რომელიც-კი თანამდებობის პირის მიერ „ვისგან”-მე „აიღებოდის” ისეთი მოვალეობის ასასრულებლად, რომლისთვისაც წესიერად ასრულების დროს არავითარი სასყიდელი არ უნდა ყოფილიყო გამოღებული...”²

1 იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, ტ. მე-7. გვ 244

2 იქვე, გვ. 245

მე-10 საუკუნის ბოლოს, გამოჩენილი ქართველი მწიგნობრის, ექვთიმე ათონელის მიერ, შედგენილ იქნა კანონიკური კრებული „მცირე სჯულის კანონის“ სახელწოდებით. რომლის მიხედვითაც სხვა დანაშაულთა შორის ერთერთ შეუწყნარებელ ქმედებად, სწორედ, მექრთამეობა სახელდება.

საეკლესიო პირთა ქრთამით დანიშვნის საკითხს ეხება ასევე, 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიღებული „ძეგლისწერა“. აღნიშნული საეკლესიო სამართლის ძეგლის მიხედვით, კატეგორიულად აიკრძალა ყოველგვარი ქრთამისა და საფასურის სანაცვლოდ საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნა. „ძეგლისწერით“ ეკლესია-მონასტრებს ჩამოცილებულ იქნენ მექრთამე, ანგარებიანი მსახურნი და ვინც გაფრთხილების მიუხედავად, გაბედავდა და თანამდებობაზე დასანიშნი პირისაგან ქრთამს აიღებდა, ეკლესიიდან იქნებოდა გაძევებული და სამუდამოდ ჩამოერთმეოდა საეკლესიო საქმის წარმოების უფლება.

რაც შეეხება „კათალიკოსთა სამართლის“ წიგნს, იგი XVI საუკუნეშია შექმნილი. სამართლის წიგნი პირველსავე მუხლში საუბრობს ქრთამზე, როგორც დანაშაულზე და მექრთამე მოსამართლეს მძიმე სასჯელით — შეჩვენებით ემუქრება.

სისხლისამართლებრივ ასპექტში, კორუფციის ამსახველი ნორმები წარმოდგენილია რევოლუციამდელ რუსეთის სამართალშიც, კერძოდ, 1845 წლის ძეგლისდებაში. აღნიშნული დოკუმენტი მექრთამეობის ორ მთავარ სახეს გამოჰყოფს: „МЗДОИМСТВО„ და „ЛИХОИМСТВО„ მექრთამეობის ორივე ფორმისთვის დამახასიათებელია თანამდებობის პირთათვის ფულის ან სხვა რაიმე სახის ქონების, საჩუქრის სახით გადაცემა. თუ თანამდებობის პირი, მისი სამსახურებრივი საქ-

მიანობიდან გამომდინარე, გასამრჯელოს აიღებდა ქმედებისთვის, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მექრთამეობის პირველ სახეს („МЗДОИМСТВО,-ს), ხოლო თუ მისი ქმედება სცილდებოდა სამსახურეობრივი უფლება-მოსილების ფარგლებს და კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იძენდა, მაშინ სახეზე იყო მექრთამეობის მეორე სახე („ЛИХОИМСТВО,,)।¹

საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობებში, (რსფსრ-ის 1922, 1926, 1960 წლების და საქართველოს 1960 წ. სსკ-ბი) მექრთამეობის მსგავს დიფერენციაციას ვერ ვხვდებით. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავდნენ მექრთამეობის გამომხატველ ზოგად ნორმებს, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებდნენ აღნიშნული ქმედების ნებისმიერი სახით განხორციელებისათვის, იმისდა მიუხედავად თუ როგორ განახორციელა თანამდებობის პირმა თავისი კორუფციული მიზნები სამსახურეობრივი უფლებამოსილების დარღვევით თუ უფლებამოსილების ფარგლებში.

მაშასადამე, როგორც უკვე აღინიშნა, კორუფცია ყველა დროში ავლენდა თავს, მაგრამ შედარებით მარტივ ფორმებში გამოხატული. დღეისათვის დანაშაულებრივი ურთიერთქმედების მექანიზმის გართულებასთან ერთად, ბუნებრივია სახე იცვალა კორუფციული დანაშაულობის საერთო სისტემამაც და ამ უკანასკნელმა, გამოვლინების მარტივი ფორმებიდან რთულ ფორმებში გადაინაცვლა.

1 Уложение о наказаниях уголовных и исправительных 1885. Издано И.С. Таганцевым-С-Петербург: Типография М. Меркушева. 1913.გვ 497

§.3. კორუფციულ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ანალიზი და სისტემატიკა.

კორუფციის ზოგადი ცნება და კორუფციულ დანაშაულთა ცნება იდენტურ კატეგორიებს არ განეკუთვნება, რამდენადაც, კორუფციული დანაშაული, კორუფციის ფენომენის საერთო სისტემის მხოლოდ ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესის თვალსაზრისით ყველა სხვა დანარჩენისაგან უფრო საშიშია.¹

კორუფციული სამართალდარღვევა, განსხვავებით მსგავსი ხასიათის ეთიკური გადაცდომისაგან, სამართლის ნორმით იკრძალება, რომელიც გარკვეულ იურიდიულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კორუფციული სამართალდარღვევის სამ ძირითად სახეს გამოჰყოფენ ესენია:

- სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტები;
ადმინისტრაციული გადაცდომები;
- დანაშაული.

შესაძლებელია ვიმსჯელოთ კორუფციის სხვა სახის კლასიფიკაციაზეც. ასე მაგალითად: მასშტაბის მიხედვით გამოიყოფა „მაღალი“ და „დაბალი“ ღონის კორუფცია. ამასთან, როდესაც დაბალია კორუფციის მასშტაბი, მასთან ბრძოლა შედარებით იოლია, მაგრამ თუ იგი მასიურ სახეს იძენს, მის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ სირთულეებთანაა

¹ აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს კორუფციის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართა უმეტესი ნაწილი. მაგალითად იხ. Максимов С. В. Коррупционная преступность в России: правовая оценка, источники развития, меры борьбы / Проблемы борьбы с коррупцией. Сборник статей – М. ЮриИнформ, 1999

დაკავშირებული. ხასიათის მიხედვით არსებობს მსხვილი (ელიტარული) და წვრილმანი (მასობრივი) კორუფცია. მსხვილი კორუფცია, მისი სუბიექტების მაღალი სოციალური მდგომარეობით გამოირჩევა და როგორც წესი, ადგილი აქვს სახელმწიფო მმართველობის მაღალ ეშელონებში. ამგვარი ტიპის ქმედებები ძალზე რთულ და კონფიდენციალურ პირობებში წარმოებს, ვინაიდან იგი მეტ ფულად თანხებთან და დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ელიტარული კორუფციის პირობებში, ადგილი აქვს თანამდებობის პირთა შორის ურთიერთ დაქვემდებარულობისა და ერთმანეთისადმი ნდობის ფაქტორის ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ოლიგარქიული კლანების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება წვრილმან ანუ საყოფაცხოვრებო კორუფციას, იგი ძირითადად დაბალი ანაზღაურების მქონე მოსამსახურეთა მხრიდან ხორციელდება, რომელთაც ქრთამის სახით მიღებული შემოსავლები საოჯახო-ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ეხმარებათ.

წვრილმანი კორუფცია, რომელსაც ხშირად ადმინისტრაციულ ან ბიუროკრატიულ კორუფციადაც მოიხსენიებენ, წარმოადგენს ყოველდღიურ კორუფციას, რომელსაც ადგილი აქვს იქ სადაც ბიუროკრაციას პირდაპირი შეხება აქვს საზოგადოებასთან. მას სხვაგვარად „გადარჩენის კორუფციასაც“, უწოდებენ.¹ მიუხედავად იმისა, რომ წვრილმანი კორუფცია, ელიტარული კორუფციისაგან განსხვავებით, გაცილებით მცირე თანხების ბრუნვით ხასიათდება, იმ პირთათვის, რომლებიც ჩართულნი არიან ამ ტიპის კორუფციაში, საბოლოო ჯამში ეს თანხები მცირე არ არის. წვრილმანი კორუფცია არაპოპულარულად აზარალებს

1 იხ. ანტი-კორუფციული ლექსიკონი. თბ. 2002. გვ. 23

საზოგადოების ყველაზე გაჭირვებულ ფენებს. აღნიშნული ტიპის კორუფციის „მიზიდველობა“, იმაში მდგომარეობს, რომ მასში მონაწილე მხარეები, მინიმალური რისკის პირობებში, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას ახდენენ.

ტერმინი „პოლიტიკური კორუფცია“, უახლეს ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. ერთ შემთხვაში იგი აღიქმება „მსხვილ“, ანუ მაღალი რანგის კორუფციის სინონიმად და განიმარტება როგორც პოლიტიკურ ლიდერთა მიერ მათთვის მინიჭებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, სხვა შემთხვევაში კი იგი მხოლოდ საარჩევნო და სხვა პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის დროს წარმოებულ კორუფციულ ქმედებებს ასახავს. ორივე შემთხვევაში, კორუფცია არა მხოლოდ რესურსების არასწორ განაწილებას ეხება, არამედ რყვნის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს.¹

გამოვლენის სიზშირის მიხედვით განასხვავებენ: სპორადულ (ერთჯერად) და სისტემურ კორუფციას.

სპორადული (ერთჯერადი) კორუფცია, სისტემატური კორუფციის საპირისპირო მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კორუფციას რეგულარული ხასიათი არა აქვს და შედარებით ნაკლებ საფრთხეს უქმნის მმართველობის მექანიზმსა და თავად ეკონომიკას, მას შეუძლია მოახდინოს დემორალიზაცია და ხელი შეუშალოს რესურსების ეკონომიკას.

კორუფციის ყველაზე საშიშ ფორმას წარმოადგენს სისტემური კორუფცია, რომელსაც ძირითადად ადგილი აქვს განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც ქვეყნის

1 იხ. ანტი-კორუფციული ლექსიკონი. თბ. 2002, გვ. 33

ეკონომიკური განვითარების დონე, ძალიან დაბალია. სისტემური კორუფციის არსი მდგომარეობს კორუფციის გამოვლინებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე და ყველა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, ძალოვანი სტრუქტურები, განათლება, კულტურა და სხვა.)

კორუფციულ დანაშაულთა შინაარსობრივი გაანალიზება, ვფიქრობ, შეუძლებელია კორუფციის ინსტიტუციონალური ნიშნების გააზრების გარეშე. ასეთ ნიშნებს კი, შეიძლება განვაკუთვნოთ განსაზღვრული ინდიკატორები. აღნიშნული ტერმინი „სოციალური ინდიკატორი“ პირველად, ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში, ამერიკელი სოციოლოგის რ. ბაუერის მიერ იქნა შემოტანილი, რომელმაც, 1966 წელს გამოაქვეყნა აღნიშნული სახელწოდების ნაშრომი.¹ ავტორის აზრით, სოციალურ ინდიკატორთა სისტემის შემუშავება შესაძლებლობას მოგვცემს „შევაფასოთ, თუ სად ვიმყოფებით და რას ვაკეთებთ ჩვენს მიზნებთან მიმართებაში“. ამერიკელი სოციოლოგი ს. რაისი სოციალურ ინდიკატორებს, საზოგადოებრივ კავშირების ლაბორინთებიდან თავის დაღწევის გზამკვლევ იარაღად განიხილავს.² ავტორი მიიჩნევს, რომ ინდიკატორები ადგენენ „სოციალურ მდგომარეობას, განსაზღვრავენ სოციალურ პრობლემებს და აკვირდებიან მათი განვითარების ტენდენციებს. არსებული მიზნიდან გამომდინარე, მათი წარმატებითი დარეგულირება, სოციალური ინტეგრაციის მეშვეობით მიიღწევა.“

სოციალურ ინდიკატორთა მიმართ ამგვარი ყურად-

1 იხ. Bauer P. Social indicators. Cambridge, 1966. გვ. 1

2 იხ. Rices S. Social Accounting and Statistic for the Great Society.- Public Administration Rtv. 1967, გვ. 173.

ლების გამახვილება შეიძლება შემდეგი გარემოებებით აიხსნას:

- სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის აშკარა უკმარისობით;
- დელინკენტურ ქცევათა გამომწვევი მიზეზების პროგრესული ზრდის ფაქტის შესახებ სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მიჩქმალვის მცდელობით;
- სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა ზემოქმედების გზით სოციალურ პრობლემათა ეფექტური მოგვარების შესაძლებლობის შესახებ იდეის უტოპიად ქცევით.

ავტორის აზრით, ინდიკატორებს კორუფციის ფენომენთან მიმართებაში უნარი შესწევთ: ჯერ ერთი — სოციალურ ურთიერთობებში უფრო თვალსაჩინო გახადონ კორუფციის ამა თუ იმ ნიშანთა არსებობა; მეორე გააქტიურონ სოციუმის სამართლებრივ დათქმათა მორალური შინაარსი; მესამე უფრო ეფექტური გახადონ სისხლისსამართლებრივ იუსტიციათა სამართალშემოქმედებითი საქმიანობა (მაგალითად, უფრო მკაფიოდ გაივლოს ზღვარი სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებებსა და სხვა სამართლის დარგებით რეგულირებად დელიქტებს შორის).

მოცემულ ინდიკატორთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვიდრე მათი გამოვლინება, ცალკეულ კომბინაციებში, არ შეიძენს რეგულარულ ხასიათს და არ იქნებიან დადგენილნი კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მანამ მათი იურიდიულ ფაქტებად ქცევა შეუძლებელია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინდიკატორთა გამოყენების აუცილებელი პირობის პოსტულატს, უმეტეს წილად, ცალკეულ ინდივიდთა მხრიდან ეთიკურ ნორმათა დარღვევები ან თანამდებობის პირთა კორუფციულ ქმედებათა კრიმინოლოგიური მაჩვენებ-

ბლები წარმოადგენენ. ამგვარ ინდიკატორებს არ შეუძლიათ შეცვალონ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი კონკრეტული ნორმების ოპერაციონალური ნიშნები, რომელთა დათქმა უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული წესით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.¹

როგორც ჩანს, შესაბამის ინდიკატორთა დაუსაბუთებლად გაუაზრებლად გამოყენებამ, შესაძლოა „კუდიანებზე ნადირობა“ გამოიწვიოს და გამოუსწორებელ სოციალურ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ცხადია ამგვარი ვითარება ვირტუალურ კორუფციასთან ბრძოლას დაემსგავსება.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეს მაჩვენებლები (ინდიკატორები) თავიანთი მნიშვნელობით, ერთგვაროვანნი არ არიან. ამიტომ, არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნიდან გამომდინარე, მოცემული გარემოს კორუფციულ დასენიანების ხარისხთან მიმართებაში შესაძლო ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე დასკვნების გამოტანა, დიდადაა დამოკიდებული იმის გარკვევაზე, თუ როგორი ინდიკატორები იჩენენ თავს ამა თუ იმ სოციალურ გარემოში და რა სიხშირით ფიქსირდებიან ისინი.

კორუფციული დასნებოვნება მაჩვენებელი სოციალურ — კრიმინოლოგიურ ინდიკატორთა მრავალფეროვანი ნიშნები, შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფებად: ნეიტრალურ და განსაკუთრებულ ინდიკატორებად.

¹ ოპერაციონალიზმი — [ლათ.operatio-მოქმედება] — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მეცნიერულ ცნებებს განიხილავს არა როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვას, არამედ როგორც ლოგიკურ მსჯელობებს, რომლებიც განპირობებულია მეცნიერის მიერ შესრულებული ოპერაციებით, (სხვაგვარად: ოპერაციონალური ემპირიზმი) - იხ. მ. ჭაბაშვილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი. ტბ. 1989. გვ.352

ნეიტრალურ ინდიკატორთა რიცხვს უნდა განვაკუთვნოთ:

- ჩინოვნიკთა ოფიციალურ შემოსავლებთან მიმართებაში მათი ცხოვრების წესის აშკარა შეუსაბამობა;
- სახელმწიფო ჩინოვნიკთა მიერ მათი სტატუსის დამადასტურებელი სიმბოლოების საშუალებით რაიმე უპირატესობის მიღების მცდელობა;
- საზოგადოებრივი და პირადი პრობლემები. (რაიმეზე ან ვინმეზე დამოკიდებულება, მიდრეკილება, ჩვევა, ვალები, ბაქიაობა და სხვა.);
- მიპატიუებათა მიღება (მათ შორის საგამოფენო ვაჭრობაზე ან ადგილზე ინსპექციის ჩასატარებლად და სხვა.);
- თავისუფალ დროს მუშაობა, რომელიც თავისი ხასიათით კრიტიკულად ახლოა ოფიციალურ მოვალეობებთან;
- ბანკეტებზე, რესტორნებში, კაფეებში, ბარებში სხვა პირთა მიერ თანხის გადახდა;
- ხშირი დაუსაბუთებელი შეხვედრები მენარდეებთან, რომლებიც საკუთარ მომსახურეობას სთავაზობენ;
- შესყიდვების დროს განსაკუთრებული პირობების შეთავაზება, (ფასის დაკლება, შეღავათიანი დაფინანსება, ვალის გადავადება და სხვა.);
- მენარდეთა უჩვეულო გულკეთილობა; სპონსორობის შეთავაზება;
- დასვენების დღეს მუშაობა ანდა ავადმყოფობის შემთხვევაში სამსახურში გასვლა. (იმ მიზეზით, რომ არ გამჟღავნდეს ინფორმაცია მისი საიღუმლო საქმიანობის შესახებ);
- მოულოდნელად უარის თქმა შეთავაზებულ დაწინაურებაზე.¹

1 ზემოაღნიშნულ ინდიკატორთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

როდესაც სახეზეა კორუფციის ნიშნები, როგორც ჩანს ნეიტრალური ინდიკატორებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ჯგუფის ინდიკატორებმა, თავის თავზე უნდა აიღონ გამაფრთხილებელი სიგნალის ფუნქცია.

განსაკუთრებულ ინდიკატორთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ:

- ჩინოვნიკთა მიერ ბუნდოვანი, ორაზროვანი გადაწყვეტილებების მიღება;

- საკუთარი ინტერპრეტაციით დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების უსაზღვროდ გაფართოება;

- აუდიტისა და კონტროლისაგან თავის არიდება, საყურადღებო მიზეზთა არსებობის გამო;

- ხელმძღვანელი ან პასუხისმგებელი პირის მიერ, კრიტიკულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებაზე წინასწარ გამიზნულად თავის არიდება;

- ოფისის გარეთ რეგულარული შეხვედრები, რომელიც გონივრულად ვერ ასაბუთებს შესასრულებელ სამუშაოსთან მათ კავშირს;

- ხელშეკრულების დადება არახელსაყრელი პირობებით, რომელიც ორგანიზაციას ხანგრძლივ მოვალეობას აკისრებს;

- გამოცხადებულ ტენდერებში ანდა კონკურსებში ამა თუ იმ პირისათვის თუ მენარდისათვის კონტრაქტის გაფორმებისას რეგულარულად უპირატესობის მინიჭება ანდა მათი წინადადებების მხარდაჭერა.

- საკონკურსო პირობებში მენარდეთა განცხადებების განუხილველად დატოვება ანდა მათთვის არახელსაყრელი პირობების შექმნა.¹

კორუფციის ინდიკატორთა როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრისას, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის

¹ ზემოაღნიშნულ ინდიკატორთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

მაჩვენებლებზე ორიენტაცია აღებული უნდა იქნას, როგორც ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დონეზე (მიკროდონე), ისე მაკროსოციალურ დონეზე (ქალაქი, ოლქი, რესპუბლიკა, ფედერაცია). ცხადია, უკვე შემდგომში საჭირო ინფორმაციის შეგროვების მეთოდი გამოყენებული იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი დონე შეირჩა შესწავლის მიზნით.

რაც შეეხება წინამდებარე გამოკვლევას, მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ორივე დონის მონაცემთა ანალიზისთვის, ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტარიუმიდან (გამოკითხვა, ინტერვიუ, ოფიციალური შემოწმების შედეგები, პრესის კონტენტ-ანალიზი, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა, ჟურნალისტური გამოძიების მასალები, სისხლის სამართლის საქმეთა მასალები და ა.შ.), უფრო ხელმისაწვდომი GORBI-ს (საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია) მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები აღმოჩნდა, რომლის უპირატესი მიმართულების საგნად კორუფციული დასნებოვნების — მეორე, საერთო - სახელმწიფოებრივი დონე განისაზღვრა.¹

როგორც გამოკითხვის მსვლელობისას გამოირკვა, პასუხები რიგ შეკითხვებზე სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეთა შორის, უმეტესად, თავისი მნიშვნელობით ახლოს მდგომ დებულებებს შეიცავდა. ამასთან, იყო განსხვავებებიც, რომლიც სავარაუდოდ, ინფორმაციის ფლობის მოცულობითა და კორუფციის ფენომენის სხვადასხვა გამოვლინებათა მიმართ მათი არაერთგვაროვანი დამოკიდებულობით უნდა აიხსნას.

1 გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 30 ძირითად ქალაქში (როგორც ქალაქების, ასევე მიმდებარე სოფლების ტერიტორიებზე).

წარმოებული კვლევის მონაცემთა თანახმად, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მზადაა მისცეს ქრთამი სახელმწიფო ჩინოვნიკს და ამასთან, დარწმუნებულია თავისი „შენატანის,, ეფექტურობაში. კერძოდ, იმისათვის რომ საქმე თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, 7% პირდაპირ გაიღებდა ქრთამს, 22% – არაპირდაპირი გზით შეეცდებოდა ეგრძობინებინა ჩინოვნიკისთვის, რომ იგი მზადაა დაასაჩუქროს ან სხვაგვარად დააინტერესოს იგი, 46% შეეცდებოდა ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით გამოენახა „საჭირო კავშირები,,. საგულისხმოა, რომ რესპოდენტთა დაახლოვებით ნახევარი, ხშირად ყოფილა ისეთ სიტუაციაში, რომ ძვირფასი საჩუქრით ან სხვა სახის მადლიერების გამოხატვით, უფრო გაცილებით სწრაფად და ეფექტურად შეძლებდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტას.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (37%) და სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომელთა უფრო მეტი (50%) კორუფციის ზრდის წინაპირობად, კანონმდებლობის არასრულყოფილებას ასახელებს. მოსახლეობის მხოლოდ 25% და სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების 21% მიიჩნევენ, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს კორუფციასთან ბრძოლის თანამედროვე მოთხოვნებს. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების დანარჩენ 19% და მოსახლეობის 13%, მიაჩნია, რომ ხელისუფლება გამიზნულად უწყობს ხელს ორაზროვან, ბუნდოვან ნორმათა შემუშავებას, რაც თავის მხრივ, კორუფციის განვითარების წინაპირობას წარმოშობს.

GORBI-ს მიერ წარმოებული კვლევის შემდგომი ამოცანიდან გამომდინარე, დასმულ კითხვათა შინაარსი უფრო კონკრეტული გახდა. კერძოდ, ამჯერად ინტერესის საგანს წარმოადგენდა რესპოდენტთა აზრი

იმის შესახებ, თუ რომელი ნორმები წარმოშობდნენ კორუფციის საშიშროებას. მხოლოდ რესპოდენტთა 20%-მა შეძლო დაესახელებინა ამ მიმართებით კონკრეტული საკანონმდებლო აქტები. საინტერესოა, რომ სხვა დანარჩენ, თითქმის ყველა კატეგორიის რესპოდენტს (80%), საკმაოდ გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა. გამონაკლისს წარმოადგენდნენ სამართალდამცავი სფეროს წარმომადგენლები, რომელთა შორის მინიმალური რაოდენობა, ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა – 64% დაფიქსირდა. თუ მოსახლეობისა და მეწარმეთა მხრიდან აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი, სამართლის სფეროში მათი გაუთვითცნობიერებით აიხსნება, მაშინ ეს პირველ რიგში, მათი არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია. სხვა შემთხვევაში, ისინი იცნობენ რა, საკანონმდებლო აქტების წინააღმდეგობრივ ბუნებას მხოლოდ მათი საქმიანობის ფარგლებში, მაგრამ არ სურთ მათი დასახელება.¹ კანონმდებლობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, ჩინოვნიკებს მოქალაქეთა გამოძალვისა და შანტაჟისათვის იდეალური პირობების შექმნის შესაძლებლობას აძლევთ.

კორუფციის ყველაზე მძიმე შედეგს მოსახლეობის ცნობიერებაზე მისი ზემოქმედება წარმოადგენს. მასურ აზროვნებაში თანდათანობით განმტკიცებას იწყებს წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ჩინოვნიკთა გამყიდველობა ჩვეულებრივი ცნობრების წესია, რომ

1 მოსამსახურეთა და სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან არსებული კანონმდებლობისადმი უფრო კრიტიკული მიდგომა კი, პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ პირთა კატეგორია სამართლებრივად ყფრო განათლებულნი და გათვითცნობიერებულნი არიან მათი საქმიანობიდან გამომდინარე. მათ ხშირად აქვთ შეხება კანონის პრაქტიკულ გამოყენებასთან.

ფულსა და საჭირო კავშირებს ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეუძლიათ. ერთი სიტყვით ასეთ საზოგადოებაში კორუმპირებულობა, საძრახის საქმედ არ ითვლება.

იქედან გამომდინარე, რათა განესაზღვრათ კორუფციასა და მექრთამეობასთან მიმართებაში მასური შეგნების მდგომარეობა, კვლევის ორგანიზატორები შეეცადნენ გაერკვიათ რესპოდენტთა მხრიდან ყოფით მსჯელობათა ურთიერთსაწინააღმდეგო აღქმის შედეგი.

წარმოდგენილ აზრთა სპექტრიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში ჩინოვნიკის პორტრეტისადმი მდგრადი უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. გამოკითხულთა 81% მზადაა დაეთანხმოს იმ აზრს, რომ ძალაუფლება რყვნის ადამიანებს.

თუმცა, გამოკითხულთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ყოველდღიურ პრობლემათა უმრავლესობა, შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ უფლებამოსილ პირთა მოქრთამვის გზით. ასეთ პირთა რაოდენობა 24% -ს შეადგენს. გამოკითხულთა ამდენივე პროცენტი თვლის, რომ „ჩვენს ქვეყანაში კანონის დარღვევის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია“.

გამოკითხულთა შორის 35% თანხმდება იმაზე, რომ „ქრთამის გარეშე ვერცერთ საკითხს ვერ გადაჭრი“.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას დასაშვებად მიაჩნია კანონის გვერდის ავლით „მოაწყონ,, სამსახურებში, ინსტიტუტებში, კარგ საავადმყოფოებში, ბალებში ან სკოლებში ნათესავები, მეგობრები ნაცნობები ან მათი შვილები; გამოიყენონ ნაცნობობა და სხვა კავშირები სამსახურებრივ კარიერაში დაწინაურების მიზნით; ექიმებმა და მასწავლებლებმა მიიღონ საჩუქრები პაციენტებისგან ან მოსწავლეთა მშობლებისგან. რაც შეეხება „საჭირო კაცის,, რესტორანში დაპატიჟებას,

კარგახანია უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და მაინც, როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ადამიანთა უმრავლესობა ქრთამის მიცემისას, უდიდეს შინაგან წინააღმდეგობას განიცდის.

გამოკითხულთა შედარებით მნიშვნელოვანი ნაწილი (49-54%) კორუფციის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი. ამავე დროს 36-40% კორუფციისადმი გულგრილდამოკიდებულებას იჩენს, მაგრამ ზოგჯერ იბულებულია თვითონაც მიიღოს მასში მონაწილეობა. რესპოდენტთა 1-4% კორუფციაში ვერავითარ ცუდს ვერ ხედავს.

თანაფარდობა იმ რესპოდენტთა შორის, ვინც ერთი მხრივ, ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას ერთნაირად საშიშიშად თვლიან და მეორის მხრივ, ვინც ქრთამის აღებას უფრო სახიფათოდ აღიქვამს, შემდეგნაირად გადანაწილდა: მოსამსახურეთა 2.4%, მოსახლეობისა და მეწარმეების 1.4%, სამართალდამცავ ორგანოთა—0.9% მიიჩნევს, რომ ქრთამის მიმცემი და ქრთამის ამღები ერთნაირად საშიშია საზოგადოებისთვის. აღნიშნული მონაცემი იმის მაჩვენებელია, რომ სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკები უფრო კრიტიკულად, ქრთამის აღებას უდგებიან. ამასთან, მოსახლეობის 13%, და სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებისა 17% მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ ქრთამის მიცემა უფრო საშიშია.

ამგვარად, ზიანი რაც შეიძლება კორუფციამ საზოგადოებას მიაყენოს არაპირდაპირი გზით, ეს არის — ზიანი, რომელიც ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედების გზით არღვევს ზნეობისა და მორალის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რაც დამლუპველად მოქმედებს პირველ რიგში ახალგაზრდა თაობაზე. სადღეისოდ ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კორუფციაში, საზოგადოების მხრიდან მკვეთრ უარ-

ყოფით დამოკიდებულებას აღარ იწვევენ - მათ უბრალოდ „საქმიან,, ადამიანებს უწოდებენ, რომლებმაც იციან როგორ მოაგვარონ პრობლემები.

უკანასკნელ წლებში, დარეგისტრირებულ (გამოაშკარავებულ) კორუფციულ დანაშაულთა ზრდის მაჩვენებელი, შესაძლებლობას გვაძლევს აღნიშნულთან მიმართებაში ჩამოვაცალიბოთ გარკვეული მოსაზრებები. კერძოდ, დღესათვის კორუფციულ დანაშაულთა დიდი რაოდენობით გამოაშკარავების ფაქტები, შესაძლოა სამართალდამცავ ორგანოთა გააქტიურებას, ანდა საზოგადოების მხრიდან მზარდ უკმაყოფილებას მივაწეროთ.

სოციალურ - ეკონომიკური ურთიერთობების სირთულედან გამომდინარე მისი განშტოებები, რომლებიც კორუფციის ზემოქმედებას განიცდიან, შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კლასიფიკაციას საჭიროებენ. აშკარაა, რომ ამგვარი კლასიფიკაცია ხელს შეუწყობს სპეციფიკურ დელიქტთა საკმაოდ ფართო წრის გარკვეულ სისტემაში მოქცევას.

ნებისმიერი კლასიფიკაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში პასუხობს კვლევის პრაქტიკულ ინტერესებს, როდესაც იგი ზუსტად ასახავს საკვლევი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ობიექტურად არსებულ მექანიზმებს. რაც შეეხება კორუფციულ დანაშაულთა კლასიფიკაციას, ვფიქრობ, ამ მხრივ იგი გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს.

ქვემოთ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო კორუფციონერთა მიერ განხორციელებულ ქმედებათა შემდეგი მიმართულებები:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, ანდა სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირთა მიერ უკანონო სარგებლის მიღება სახელმწიფო, მუნიციპალურ, სამეწარმეო და სხვა ორგანიზაციათა ინ-

ტერესების საწინააღმდეგოდ.

• გარკვეული ანაზღაურების საფასურად, მესამე პირისთვის უკანონო უპირატესობის მინიჭება;

კორუფციასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს განეკუთვნება;

• სამართალდარღვევები, რომელიც ჩადენილია მატერიალური ან სხვა სიკეთის, ანდა რაიმე უპირატესობის მიღების მიზნით;

• სამართალდარღვევები, რომლებიც წარმოქმნიან კორუფციის ხელშემწყობ პირობებს და უზრუნველყოფენ მის არსებობას (სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენება სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ, უფლებამოსილების გადამეტება და სხვა). აღნიშნული სამართალდარღვევები მრავალგვარია და ისინი ატარებენ, როგორც სისხლისსამართლებრივ, ისე ადმინისტრაციულ, სამოქალაქო-სამართლებრივ და დისციპლინარულ ხასიათს.

ვაანალიზებ რა, კორუფციას, როგორც ურთულეს სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას, მის რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებთან ერთად, შეუძლებელია გვერდი აუუაროთ მისი ლატენტურობის საკითხს, ვინაიდან ეს უკანასკნელი, კორუფციის წარმომქმელ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ვ.ლუნევი აღნიშნავს: „კორუფცია გამუდმებით მიმიკირებს, სახეცვალებადობს და სრულყოფილი ხდება. ლატენტურობა – მისი ძირითადი განსაკუთრებული თვისებაა,¹ და მართლაც, საკმაოდ რთულია წარმოდგენა შექმნა აღნიშნული მოვლენის რეპრეზენტატულობის შესახებ. ამიტომაც, რომ მასთან ბრძოლის წარმოება, ფაქტიურად „ბრმად“, გვიხდება. აშშ-ს კრიმინოლოგიური სტატისტიკის მი-

1 Лунеев В.В. / Государство и право – 1996 №8 გვ. 78

ხედვით, მექრთამეობა, როგორც კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება, ეჭვმიტანილთა დაპატიმრებებით გაიანგარიშება და ერთიანდება ყველა სხვა დანარჩენ დანაშაულთა გრაფაში.¹

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კორუფციული ხასიათის დანაშაულები, მაღალი ლატენტურობის ხარისხით გამოირჩევიან, რასაც ბუნებრივია, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ყველაზე დაბალი ლატენტურობა (2%) დაფიქსირდა განზრახ მკვლევლობების, შემდეგ მოდის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (8.6%), ძარცვა და ყჩაღური თავდასხმები, ქურდობა (27%), გაუპატიურება (85%) და ბოლოს მექრთამეობა (98%).²

კორუფციის მაღალი ლატენტურობის დონის განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კორუფციულ ქმედებაში მონაწილე მხარეთა (იგულისხმება ქრთამის მიმცემი და ქრთამის ამღები) მომეტებული ინტერესი მათ მიერ განხორციელებული ქმედების საიდუმლოდ შენახვისა. იქიდან გამომდინარე, რომ კორუფციული ქმედების შედეგად მოგებულ რჩება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, ბუნებრივია, ამგვარ შეთანხმებას, უმეტეს წილად, ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნულის შედეგად, მტკიცებულებების მოძიება, ფაქტიურად შეუძლებელი ხდება, რაც კორუფციას ძნელად გასახსნელ დანაშაულად აქცევს.

1 Uniform Crime Reporting Handbook. U.S. Department of Justice/ Washiygtoy D. 1990. გვ.81

2 იხ: Бышевский Ю.В. Конев А.А. Латентная преступность и правосознание. Омск, 1986 გვ. 11

კრიმინოლოგიაში დამნაშავეის პიროვნების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს დანაშაულებრივი მისწრაფებების მატარებელი. სხვადასხვა გარემო პირობების მხოლოდ მასში ტრანსფორმირების შედეგად შეიძლება გამოიხატოს სუბიექტის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ამიტომ ინდივიდუალური პროფილაქტიკური ღონისძიებაც მხოლოდ კრიმინოგენური პიროვნების ან იმ პირთა მიმართ უნდა განხორციელდეს, ვინც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მასზე.¹

დამნაშავეის პიროვნების პრობლემის შესწავლას, როგორც ცნობილია, ხშირად მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს კრიმინოგენული სიტუაციის საერთო სურათში. მისი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ „დანაშაული, როგორც ადამიანის შეგნებული ქცევის აქტი, მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმ პიროვნებათა არსითა და თავისებურებებით, რომლებიც ქცევის ამგვარ ფორმებზე აკეთებენ საკუთარ არჩევანს,“²


ტრადიციულად, დამნაშავეის პიროვნების პროექციულ ანალიზში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს დანაშაულის სუბიექტთა სქესობრივ-ასაკობრივი მონაცემები. საჭირო მონაცემთა რეპრეზენტატულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მითითებული მონაცემები №1 სურათზე, გრაფიკულად იქნა ასახული.

კორუფციულ დანაშაულთა ჩამდენ პირთა სქესობრივ-ასაკობრივ თავისებურებათა პროექცია, წარმოდგენას გვაძლევს იმ საერთო ტენდენციებზე, რომლებიც გამოიხატება შემდეგში: პირველი – ამ ტიპის დანაშაულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ჩადენილია

1 იხ. Кургузкинф Е.Б. Преступник, власть, закон // Власть: Криминологические и правовые


2 იქვე. გვ.192

მდედრობითი სქესის დამნაშავეთა მიერ ან მათი მონაწილეობით; მეორე-აღნიშნული კონტიგენტის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, თუ მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის კრიმინალური აქტივობა ძირითადად დამახასიათებელია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის 25-30 და 31-35 წლების ჩათვლით, მდედრობითი სქესის შემთხვევაში, კრიმინალური აქტივობის მედიანა 36-40 წლამდეა გადანაცვლებული.




აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულ პირებს, მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებთან მიმართებაში აღმოაჩნდათ შემდეგი თანაფარდობა:

ქალებისათვის



- ხელმძღვანელები 5%
- ბულალტერიის თანამშროლოები 54%
- მატერიალურ-პასუხისმგებელი პირები 26%
- მესაკუთრეები 10%
- კერძო მეწარმეები 5%

მამაკაცებისათვის:



- ხელმძღვანელები 11%
- ბულალტერიის თანამშროლოები 18%
- მატერიალურ-პასუხისმგებელი პირები 23%
- მესაკუთრეები 27%
- კერძო მეწარმეები 2%

მოცემულ მონაცემთა შედარების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ხვედრითი წილის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნება ქალთა და მამაკაცთა მიერ დაკავებული თანამდებობების მიხედვით. კერძოდ, თუ პირველი კატეგორიისათვის კორუფციულ დანაშაულთა უდიდესი ხვედრითი წონა, ბულალტერიის მუშაკებზე მოდის, მეორე კატეგორიისათვის გარკვეული პარიტეტია მიღწეული ბულალტერიის მუშაკებს, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებსა და მესაკუთრეებს (დამფუძნებლებს) შორის.

კორუფციული ხასიათის დანაშაულებრივი საქმიანობის მრავალფეროვან ფორმებთან და მეთოდებთან ერთად,

დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა არაერთგვაროვნება და განსხვავებულობა, შესაძლებელია გადანაწილდეს ორ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ტიპოლოგიურ ჯგუფად, რაც აგრეთვე არ გამოირიცხავს ე.წ. „შუალებური“, ტიპის არსებობასაც.

პირველ მათგანს წარმოადგენს მ. მინენოკის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიიდან ე.წ. „თანმიმდევრულად-ანგარებითი“, ტიპი. აღნიშნული კატეგორიისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი, აქტიური დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც უკიდურესად ნეგატიურ დაღს ასვამს პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ იერს. აქ ღომინირებს მომხვეჭელობა, რომელიც კანონდარღვევის საკმაოდ დახვეწილ და ცინიკურ ფორმებს ერწყმის.¹

დამნაშავის პიროვნების ზემოაღნიშნულ ტიპთა კატეგორიის წარმომადგენლები უმეტეს წილად, დანაშაულებრივ დაჯგუფებათა გამოცდილი და თანმიმდევრული ორგანიზატორები ან მათი აქტიური წევრები არიან. ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება მათ მიერ ჩადენილ ქმედებათა მიმართ, ზნეობრივ – ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძირითადად მათი მხრიდან საკუთარი საქციელისა და თავის მართლების მცდელობასთანაა დაკავშირებული.

მეორე ტიპოლოგიურ ჯგუფს განვაკუთვნებთ „წინააღმდეგობრივ-ანგარებითი“, ტიპებს, რომელთა პიროვნულ სტრუქტურაში არც ისე ცოტაა დადებითი ნიშნები. ამასთან, არ არის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი, აშკარა ანგარებითი ღომინანტები. ამგვარი

¹ იხ.: Мипенок М.Н. Личность расхитителя. Криминологическая характеристика и типология. Калининград, 1980. გვ. 114.

დახასიათების მქონე პირთა წინააღმდეგობრივი ბუნება, მათ მიერ შერჩეული დანაშაულებრივი საშუალებების, პოზიტიურ მიზნებთან დაპირისპირებაში ვლინდება. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდებიან, ერთის მხრივ ე.წ. „სამეწარმეო დამნაშავეები“, რომლებიც „საქმის ინტერესიდან“, გამომდინარე, კანონდარღვევის პირდაპირ და აშკარა გზას ირჩევენ და მეორის მხრივ, პასიური სამართალდამრღვევები, რომლებიც ცდუნებას ვერ უმკლავდებიან.¹

კრიმინალური სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, იმ მრავალფეროვან დასკვნათა შორის, რომელიც კორუფციულ გამოვლინებებს უკავშირდება, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი:

- კორუფციულ სამართალდარღვევათა შორის გამოიყოფა სამი ძირითადი სახე: 1) სამოქალაქო-სამართლებრივი, 2) ადმინისტრაციული გადაცდომა, 3) დანაშაული;

- კორუფციული დასნებოვნების მთელ რიგ ნიშანთა მრავალფეროვნებაში შესაძლებელია გამოვყოს სოციალურ – კრიმინოლოგიურ ინდიკატორთა შემდეგი ორი ჯგუფი: ნეიტრალური და განსაკუთრებული.

¹ იხ.: Миненок М.Н. Личность расчитителя. Криминологическая характеристика и типология. Калининград, 1980, გვ. 116

გ.4. კორუფციულ დანაშაულთა წარმომქმნელი ძირითადი ფაქტორები

ვეყრდნობი რა, ნაშრომის წინა პარაგრაფში ჩვენს მიერ გაანალიზებულ კორუფციული დანაშაულობის რაოდენობრივ-თვისობრივ მახასიათებლებს, უნდა შევნიშნო, რომ საქართველოში კორუფციის არსებულ თანამედროვე მასშტაბებს, ღრმა სოციალური ფესვები და მძლავრი განმაპირობებელი ფაქტორები გააჩნია. ამასთან, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე ადგილი აქვს მოცემული მოვლენის მუდმივ მოდიფიცირებას.

აღნიშნულთან კავშირში, საჭიროდ მივიჩნევ ერთის მხრივ, განმესაზღვრა გასაანალიზებელი მოვლენის ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები და მეორეს მხრივ, ყურადღება გამემახვილებინა მის წარმომქმნელ დეტერმინანტებზე.

განსახილვევლ პრობლემასთან მიმართებაში, ურიგო არ იქნებოდა მიგვემართა ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში ვ. კულრიავცევის მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი ამოსავალი დებულებისთვის, რომლის თანახმად: „ნებისმიერი ანტისაზოგადობრივი მოვლენის შესწავლას საბოლოო ჯამში თან სდევს თავისი პრაქტიკული მიზანი: კერძოდ, უნდა შემუშავდეს და შემდგომში განხორციელდეს მეცნიერულად დასაბუთებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უარყოფით მოვლენაზე წარმატებულ შეტევას, შეამცირებენ მის გავრცელებულობას და მოსპობენ მათ ყველაზე საშიშ ფორმებს“.¹

¹ იხ. Кудрявцев В. Н. Причины правонарушений. Наука. М., 1976. გვ. 8, 285.

საკითხის ამგვარი კუთხით დასმას, ვფიქრობ, უნივერსალურობის პრეტენზია უნდა გააჩნდეს ზოგადად სოციალური ურთიერთობებით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევარისთვის. ამ მხრივ გამონაკლისს არც კორუფციული მოვლენა წარმოადგენს. ამ უკანასკნელთან მიმართებაში სავსებით ნათელია ის უშუალო დამოკიდებულება, რაც მოცემული ფენომენის სიღრმისეულ შესწავლასა და იმ შესაძლო განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის არსებობს, რომელიც საზოგადოებას შეუძლია მას დაუპირისპიროს.

იმავდროულად კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი სოციალური მოვლენის მამოძრავებელ ფაქტორს ასეულობით დეტერმინანტი შეიძლება წარმოადგენდეს, უფრო მეტიც, ეს დეტერმინანტები ერთგვაროვანნი არ არიან, ისინი შეიძლება იყვნენ როგორც პირდაპირი, ასევე უკუქმედებითი ხასიათისანი (მათ შორის პლუსის (+) ან მინუსის (-) ნიშნით), ფუნქციონალური ან კორელაციური მიზეზებისა და პირობების რიცხვში შემავალი და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კორუფციის ფენომენის რთული ბუნებიდან გამომდინარე, ნაშრომის წინამდებარე პარაგრაფში წარმოებული კვლევის შედეგების სრულყოფილებაზე, ცხადია, პრეტენზია ვერ გვექნება.

გასული საუკუნის ნებისმიერი სოციალური-ეკონომიკური პროცესების რეტროპსპექტული შეფასებისას, ხშირად გამოყოფენ სამ ძირითად ეტაპს. ასევეა კორუფციასთან მიმართებაშიც, აღნიშნული ფენომენი განვითარების შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

პირველი ეტაპი (XX საუკუნის 60-იან წლებამდე)

პირობითად შეიძლება სტალინისა და ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდებით განისაზღვროს. აღნიშნული დროის მონაკვეთი საკმაოდ უბრალო, ერთგვაროვანი, ამასთან მკაცრად მოწესრიგებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებით ხასიათდებოდა, რომელიც ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან ერთად გაბატონებულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა.

აღნიშნული პერიოდის თავისებურებას საბაზრო ურთიერთობების ფაქტიურად არარსებობა წარმოადგენს. დიდი სამამულო ომის შედეგებით გამოწვეულ მთელ რიგ ფაქტორთა ძალით, წარმოებით-განაწილებითი ურთიერთობების იერარქიული სისტემა, თავის თავზე იღებდა იმ ფუნქციათა ერთობლიობას, რომელთაც სასაქონლო ეკონომიკაში ჩვეულებრივ ბაზარი ასრულებს. ზემოაღნიშნული, პრაქტიკაში უპირველეს ყოვლისა საწარმოო პროგრამების განსაზღვრაში და საწარმოთა შორის სამეურნეო ურთიერთკავშირების ფორმირებაში გამოიხატებოდა. მაშასადამე, რეალურად ადგილი ჰქონდა სამეურნეო სუბიექტების დამოკიდებულებისა და მორჩილების უკიდურეს ფორმებს.

მსგავსი ვითარება საკმაოდ თავისებურად აყალიბებდა კორუფციულ გამოვლინებათა განვითარების ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობაში სამეურნეო პირობების ნორმალიზაციისაკენ ელემენტარული წინ გადადგმული ნაბიჯი და კონკურენციის პირობებში უპირატესობის მოპოვება, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო აპარატის თანამშრომელთა მოსყიდვის ხარჯზე იყო შესაძლებელი.

მეორე ეტაპზე – (60-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების ბოლო) კიდევ უფრო მკვეთრად იჩინეს თავი, ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა.

საქართველოში კორუფციის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებამ, რომელიც სხვა პოლიტიკურ ძალთა მხრიდან ყოველგვარ პოლიტიკურ კონტროლს გამო-რიცხავდა. მონოპოლიური პოლიტიკური ძალაუფლება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა პოლიტიკური ორგანოების ძალაუფლების სახელმწიფო სამეურნეო სტრუქტურებთან თანდათანობით შერწყმას. ამგვარი ერთობა შესაძლებელს ხდიდა განსაკუთრებული „ეფექტურობით“ გადაეჭრათ სხვადასხვა ხასიათის პრობ-ლემები, ვინაიდან უკვე ჩნდებოდა ზემდგომისადმი ქვემდგომის პირად ერთგულებაზე დაფუძნებული ერთ-სულოვანი პოლიტიკური ელიტა.

განსახილველ პერიოდში სამომხმარებლო სფეროს შეზღუდვამ, ახალი ჩრდილოვანი სტრუქტურების გა-ჩენა გამოიწვია. ამ პერიოდში ბევრი რამ იყო „სა-შოვარი“, აღნიშნული ვითარება, თანამდებობის ბო-როტად გამოყენებას, მექრთამეობას და სხვა დანა-შაულთა წარმოქმნას უწყობდა ხელს. (ეჭვს არ იწ-ვევს ის გარემოება, რომ ზემოდან ნაკარნახები ეკო-ნომიკა, ინტენსიურად ვერ განვითარდებოდა, რასაც მთელი სსრკ-ს ისტორია მოწმობს, თითქმის ყველამ იცოდა ყველაფერი იმის შესახებ, რომ დეფიციტური საქონელი და მომსახურება მხოლოდ ჩრდილოვანი კავშირების გზით მოიპოვებოდა, მაგრამ ამ სფეროს ირგვლივ, დოკუმენტურად დაფიქსირებული ფაქტები და ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობდა. რისი მიზეზიც იმ გაბატონებული იდეოლოგიით აიხსნებოდა, რომლის თანახმად, ჩრდილოვანი ურთიერთობები და კორუფცია კაპიტალიზმის გადმონაშთებად მიიჩნეოდა.

თავად კომუნისტურ ელიტასაც არ აძლევდა ხელს ამ პრობლემების ღრმად გაშუქება და მათი ანალიზი. მაშასადამე, სრულიად ნათელია, რომ უძრაობის პერიოდის კორუფციის პრობლემები, შეუძლებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის თავისებურებებს მოვწყვიტოთ, ვინაიდან სწორედ მას უკავშირდება საკუთრების ახალი ფორმების წარმოშობა. ქვეყანაში კორუფციის ზრდის უფრო მძლავრ ფაქტორად, თავად მისი ნომენკლატურა იქცა, რაც ამ უკანასკნელთა თანამდებობებზე პროტექციით, ნაცნობობით, ნათესაობით, პირადი ერთგულების პრინციპით დანიშვნაში გამოვლინდა. ელიტის ცხოვრების მაღალ დონეს, პრაქტიკულად მუდმივი ოფიციალური თუ არაოფიციალური პრივილეგიების მინიჭება უზრუნველყოფდა.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტისადმი განსაზღვრულ პირთა ჯგუფების მიკუთვნება, მათ ხელში მნიშვნელოვანი ქონების თავმოყრის წინაპირობად იქცა. ეს ადამიანები ხელმძღვანელობდნენ რა, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების ძალით, სახელმწიფო საკუთრების განკარგვას შეუდგნენ.

მესამე ეტაპი – (90-იანი წლებიდან დღემდე) კორუფციის უპრეცედენტო ზრდით აღინიშნება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ბევრმა ყოფილმა ფუნქციონერმა პირადი გამდიდრების მიზნით გამოიყენა. ქვეყანაში სრულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ქაოსმა დაისადგურა. მესაკუთრეთა კლასის, როგორც დემოკრატიის საყრდენი ძალის ჩამოყალიბების პროცესი, ერთბაშად საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების ნომენკლატურულ დანაწილება-დატაცებაში გადაიზარდა. ერთი სიტყვით, ქართული ეკონომიკა

„კვაზისაბაზო“ აღმოჩნდა, წერს რ. ოთინაშვილი.¹ 90-იანი წლების დასაწყისში, გარდაქმნების საწყის ეტაპზე, ეკონომიკურმა კრიზისმა სრულიად გააკოტრა სახელმწიფო, გაუფასურდა ხელფასები, ინფლაციამ, ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1993 წელს 85%-ს მიაღწია. ამ ფონზე თანდათან გაჩნდა კომერციული სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან და პრივატიზაციასთან დაკავშირებული გამდიდრების არნახული პერსპექტივები, რაც მხოლოდ მაღალ ეშელონებში მყოფი მოხელეებისათვის იყო ხელმისაწვდომი. მოსახლეობის საყოველთაო გაჭირვების ფონზე იწყება სახელმწიფო საკუთრების კომერციონალიზაცია, მისი სახელმწიფო სფეროდან კერძო სექტორში „გადაქაჩვა“, დაიწყო „ჩრდილოვანი პრივატიზაცია“. გავლენიანმა სოციალურმა ფენებმა საჭირო კავშირების გამოყენებით, ძირითადად სიმბოლურ ფასებში შეიძინა წინასწარ გადანაწილებული სახელმწიფო საკუთრება. საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად, ქვეყნის ძირითადი რესურსები მოსახლეობის 1%-ის ხელში გადავიდა.² პრივატიზაციის შემდეგ ჩინოვნიკებს კორუფციის ახალი წყაროები გაეხსნათ, კერძო მეწარმეობისათვის საჭირო გახდა ლიცენზირებული კრედიტებისა და სახელმწიფო დაკვეთებისთვის ე.წ. „შინაური“ ფირმების ლობირება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობებიც შესანიშნავად იქნა გამოყენებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტის მიერ.

კორუფციის ფენომენის შემდგომი ანალიზი ცხად-

1 იხ. რ. ოთინაშვილი, „ჩრდილოვანი ეკონომიკა - კორუფცია“, თბილისი 2001წ. გვ. 32

2 იხ. მაკროეკონომიკა. 1995წ. გვ. 1

ყოფს, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ მოვლენათა პროცესში, მთელ რიგ გარემოებათა ერთობლიობიდან, სპეციფიკურ მიზეზთა გამოყოფა, ხშირად დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული, მითუმეტეს თუ, კვლევის საგანს ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნია (რასაც კორუფციულ დანაშაულთა შემთხვევაშიც ვაწყდებით). ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული სახის დანაშაულები „მიზეზგარეშე მოვლენებია“. პრობლემის არსი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარ დანაშაულობას სხვა სოციალურ პათოლოგიათა ნაირსახეობებთან ერთად, საერთო სოციალური ფესვები გააჩნიათ, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების რთულ წინააღმდეგობრივ იერარქიაშია გადახლართული.

აღნიშნულ კონტექსტში პირველ რიგში აუცილებელია, გავარკვიოთ თუ რა წარმოქმნის და რა კვებავს ამ სახის დანაშაულობას. აღნიშნული თვალსაზრისით მასტიმულირებელი ფაქტორები, შესაძლოა პირობითად, შინაგან და გარეგან ფაქტორებად დავყოთ. შინაგან ფაქტორებს შეიძლება განვაკუთვნოთ, კორუმპირებულ პირთა ანგარებითი-მოტივაციური მიმართულება, ხოლო გარეგან ფაქტორებს, ის სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ამ სახის დანაშაულობაზე. აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ცალკეულ პერიოდში მიმდინარეობს მათი თვისობრივი ცვალებადობა, რაც როგორც ჩანს, კორუფციულ გამოვლინებებზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების რეაქციასთანაა დაკავშირებული.

განსახილველ ჭრილში დანაშაულობის (მათ შორის მისი ორგანიზებული ფორმების) მიზეზთა დანაწევრებისა

და განკერძოების სირთულე, განპირობებულია მისი ისტორიული ცვალებადობით და თვისობრივად არაერთგვაროვანი იმ ქმედებებით, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებაში სხვადასხვა დროის პერიოდში დანაშაულად მიიჩნეოდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული, პრინციპულად შეუძლებელს ხდის კორუფციული დანაშაული მხოლოდ იმ ნიშნებზე დაყრდნობით განისაზღვროს, რომლებიც თვით ამ საკვლევე საგნის ბუნებიდან გამომდინარეობენ. ამგვარი სახის განსაზღვრება აუცილებლად უნდა მოიცავდეს ისეთ ფორმალურ შეფასებით კრიტერიუმს, როგორიცაა მართლწინააღმდეგობა.¹ როგორც ჩანს, ამიტომაც, რომ დანაშაულობის სახეები და მათი კვლევის ფორმები არ არიან მოკლებული შეფასებით კრიტერიუმებს. მარტო ეს ფაქტიც კმარა იმის დასტურად, რომ საკმაოდ რთულია მოვლენათა სპეციფიკურ მიზეზთა ძიება.

ნ. მალეინის აზრით — ის ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც ძალუძს, საბოლოო ჯამში საზოგადოებაში სამართალდართვევათა შემცირებამდე მიგვიყვანოს, მდგომარეობს შემდეგში: საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა მიზეზთა ძიება, მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმსაზღვრელ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა რთული დიალექტიკის გაგება და ობიექტურ წინააღმდეგობათა ფონზე სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხის გადაჭრა.²

1 იხ. Кудрявцев В.Н. Причины правонарушений. Юрид. Лит. М. 1976. გვ. 21

2 იხ. Малейн Н.С. Провонорухение: понятие, причины, ответственность. Юрид. Лит 1985 გვ. 102-191

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მიზეზთა სპექტრი, რომლის უკანაც კორუფციული დანაშაული დგას, საკმაოდ ფართოა და კომპლექსურ სამეცნიერო მიდგომას საჭიროებს.

კორუფციულ დანაშაულთა განმაპირობებელ ფაქტორთა კვლევის ამოსავალ მეთოდოლოგიურ წინაპირობად, ის ფილოსოფიური დებულება გვევლინება, რომლის თანახმადაც ნებისმიერი პროცესის თვითგანვითარების წყაროს, წინააღმდეგობრიობა წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი კვლევის საგანი წარმოადგენს.

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა აქტივობის მამოძრავებელ მთავარ ძალას მოთხოვნილება წარმოადგენს (უფრო ზუსტად კი – დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება), და რომ მისი უზრუნველყოფა სოციალური ურთიერთობებითა და საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში ინდივიდის ადგილით განისაზღვრება, კორუფციული დანაშაულის უშუალო მიზეზად ადამიანთა მოთხოვნილებათა და სოციალურად განპირობებულ მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობათა შორის არსებული წინააღმდეგობა უნდა მივიჩნიოთ.

კორუფციის განმაპირობებელ ეკონომიკურ სტიმულთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი, არასტაბილურობას უჭირავს, რაც არაკონტროლირებად ინფლაციურ მოვლენებში გამოვლინდება და ჩინოვნიკებს, შემოსავლების ნებისმიერი წყაროს ძიებისაკენ უბიძგებს.

ლიბერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ მექრთამეობა სახელმწიფო და მუნიციპალური სტრუქტურების საქმიანობაში, მხოლოდ საბაზრო პრინციპების რეალიზაციაა და, რომ მას მოთმინებით უნდა მივუდგეთ მანამ, სანამ მთლიანი ბაზრის ეფექტურობას არ შეეხება. ამგვარ მოსაზრებას, შესაძლოა სათანადო საფუძველიც გააჩნდეს, თუმცა მას, ვფიქრობთ, სკეპ-

ტიკურად უნდა მივუდგეთ.¹

საქართველოში ეკონომიკურ რეფორმათა შემაფერხებელ ძირითად ფაქტორთა გამოვლენის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციის GORBI-ის (საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია) მიერ ჩატარდა სოციალური გამოკითხვა. დასმულ იქნა შემდეგი შინაარსის შეკითხვა: თუ რა ქმნიდა ძირითად წინააღმდეგობას ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელების პროცესში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა – ყოველმა მესამე რესპოდენტმა, მათ შორის მეწარმეთა 36%-მა და ამდენივე მოსამსახურემ, მიიჩნია, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს, ხელისუფლების სისუსტე და კორუფცია წარმოადგენს.

შემდეგ მიზეზად აღილებზე კანონთა აღუსრულებლობა და ჩინოვნიკთა წინააღმდეგობრივი ქცევა დასახელდა. გამოკითხვის თანახმად, ასე ფიქრობს მომსახურეთა 17%, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა 14% და მოსახლეობის 12%. აღნიშნულ ფაქტორს, ძირითად მიზეზთა შორის ვერ ხედავენ მოსამსახურენი, მაგრამ ნაცვლად ამისა ისინი, რეფორმათა განხორციელების შესაბამის პროგრამათა არარსებობას ასახელებენ.

არსებული მოსაზრების თანახმად, „კორუფციის ბუმის“ მიზეზი, „შემწყნარებლური ეპოქის“, „ბიპოლარულობის“ დასასრულში უნდა ვეძიოთ. „ცივი ომის“ დასრულებამ წინა პლანზე წამოწია ის პრობლემები, რომლებსაც ადრე მეორე ხარისხოვნად, ანდა ოფიციალურად არარსებულად

1 იხ. Основы борьбы с коррупцией (системы общегосударственной этики поведения) / Науч. Ред. С.В. Максимов и др. - М. `Спарк`, 2000 г. გვ 35

მიიჩნევდნენ.¹ შეიძლება ითქვას, რომ „განვითარებული სოციალიზმის“ ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი ბუნებაც, სწორედ ამაში გამოიხატებოდა. მის სტრუქტურებში უკვე ფუნქციონირებდა ჩრდილოვან ეკონომიკასა და კორუფციას შორის მყარი დანაშაულებრივი კავშირები (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ). ზემოაღნიშნულს, არსებული ოფიციალური დოქტრინა, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კორუფციად და ორგანიზებულ დანაშაულად არ აკვალიფიცირებდა. ამასთან ბუნებრივია, არც შეისწავლიდა და არც მისი თავიდან აცილების პრევენციულ ზომებს სახავდა. შემდგომმა დემოკრატიზაციის პროცესმა, ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას, რამაც შესაძლებელი გახდა, ახლებურად შეგვეხედა დანაშაულობისა და მის ცალკეულ გამოვლინებათა ერთობლიობისთვის. ისმის კითხვა, რატომ არ იქნა ნეიტრალიზებული ამგვარი ინერციული ტენდენცია, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების გზით? განა სწორედ თავისუფალ ბაზარს არ უნდა შეეცვალა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური როლი? — რეალურად კი, სულ სხვა შედეგი მივიღეთ; აღნიშნული ინერციული პროცესები ახალ ეკონომიკურ რიალიტებში გარდაისახა, რამაც არანაკლები ხარისხით შეუწყო ხელი ქვეყნის მასშტაბით კორუფციულ გამოვლინებათა ზრდას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოვანმა ეკო-

1 1980-იანი წლების შუახანებში, სამეცნიერო წრეებში ადგილი ჰქონდა მწვავე დისკუსიას ორგანიზებული დამნაშავეობის შესახებ. 1990-იანი წლების დასაწყისში ორგანიზებულ დამნაშავეობას მითად მიიჩნევდნენ. ვერ ხედავდნენ რა მისი არსებობის სოციალურ ბაზას, შესაბამისად კორუფციასაც არ აღიარებდნენ ორგანიზებული დამნაშავეობის ფაქტორად.

ნომიკამ, როგორც კორუფციის განმსაზღვრელმა მთავარმა ფაქტორმა, ვერ მოახრეხა ახალ ეკონომიკურ სივრცეში ნიველირება. წინა რეფორმამდელ პერიოდში, ამ უკანასკნელმა, აშკარა ცვალებადობის ტენდენცია გამოამჟღავნა, კერძოდ, ადმინისტრაციულ მბრძანებლურ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა ორგანიზებული ფორმებიდან — ველური ხასიათი შეიძინა, რაც აშკარად უცხო იყო ცივილური მეწარმეობისათვის. დღეისათვის არსებულ ვითარებაში აშკარად შეინიშნება ლეგალური ეკონომიკის ხარჯზე ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების ტენდენცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ეფუძნება ჩრდილოვან ეკონომიკას და არანაკლებად მის კრიმინალურ სექტორს.


როგორც უკვე ავლნიშნეთ კორუფცია, ხელისუფლების სისუსტე, ადგილზე კანონის შეუსრულებლობა, ეკონომიკურ რეფორმათა მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კვლავ სახელმწიფოს უპირველეს ამოცანად რჩება.

მაინც სად აქვს კორუფციას ფესვი გადგმული — მორალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ სამართლებრივ სივრცეში? პასუხი კითხვაზე ცალსახაა, როდესაც, საქმე სისტემურ კორუფციას ეხება, რა თქმა უნდა, მთელი მასშტაბით — საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მმართველობითი საქმიანობის ყველა დონეზე. სისტემური კორუფცია — შენიშნავს რ. ოთინაშვილი, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყნის განვითარებასთან. მისი არსებობა, სახელმწიფოს დასუსტების გარანტიაა. შექმნილია „მანკიერი წრე“, რომლის გახსნა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამგვარი კორუფციის აღმოფხვრა, შეუძლებელია ადმინისტრაციული რეფორმით, მათ მხოლოდ დროებითი

„ხანძრის ჩაქრობის“ ფეექტის მოტანა შეუძლიათ.¹

კორუფციის მიზეზთა კვლევის პროცესში, საკმაოდ დიდი ინტერეს იწვევს მოსახლეობის მხრიდან მისი აღქმის შედეგები. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში ასახულია ის მონაცემები, რომელიც GORBI-ის (საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაციის) მიერ 2002 წელს წარმოებული გამოკითხვის შედეგად იქნა მიღებული. (სამწუხაროდ მას შემდეგ იდენტური შინაარსის კვლევები აღარ ჩატარებულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს განაპირობა სხვა პრობლემებთან მიმართებაში, კორუფციის უკანა პლანზე გადასვლამ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე დიაგრამა შესაბამისობაში მოდის ქვეყანაში დღეს არსებულ ვითარებასთან.)

კორუფციის გამომწვევი მიზეზები:



¹ რ. ოთინაშვილი, „ჩრდილოკავკასიური ეკონომიკა კორუფცია“ თბილისი. 2001 წელი. გვ. 146

აღნიშნულ გამოკითხვაში შეკითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „თქვენი აზრით, რომელია საქართველოში კორუფციის გამომწვევი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი?“ პასუხები კი, როგორც დიაგრამიდან ჩანს შემდეგნაირად გადაწილდა: 1) არასრული კანონმდებლობა – 18.2%, 2). თანამდებობის პირთა დაბალი ანაზღაურება – 16.6%, 3). თანამდებობის პირთა მოვალეობის შესრულების არაეფექტურობა და პირადი ინტერესები – 14%. კორუფციის წარმომშობ მიზეზთა შორის შეიძლებოდა დასახელებულიყო მოსახლეობის მართლშეგნების დონეც. ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში, ყოველი ინდივიდი ამა თუ იმ სოციალური მოვლენისადმი გარკვეული პოზიტიური, ნეგატიური თუ ნეიტრალური მუხტის მატარებელია. როგორც ჩანს, მათზე მეტნაკლები ხარისხით ახდენს გავლენას, როგორც ბუნებითი, ისე პოზიტიური სამართალი. პირველი (ბუნებითი სამართალი) ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, კულტურის დონესა და მოსახლეობის უმრავლესობის ზნეობრივ იდეოლოგიას უკავშირდება. მეორე (პოზიტიური სამართალი) სამართლებრივი პროპაგანდის ინტენსივობასთან და მოსახლეობის მხრიდან მისი აღქმის უნართანაა დაკავშირებული.

იმასთან თუ, რამდენად აღმოაჩნდება უნარი ზემოაღნიშნულ თითოეულ მაკორექტირებელ ძალას, კრიტიკული მასის სახით წარმოადგინოს კორუფციის საშიშროებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული შეხედულება და ამით მოახდინოს სინერგეტიკული ეფექტი, ეს დამოუკიდებელი იქნება მოსახლეობის ჯგუფთა შორის თანაფარდობაზე, რომელიც ტრადიციულად – კანონმორჩილ, კანონდამრღვევ და მერყევ ელემენტებად

იყოფა. უნდა შევნიშნოთ, რომ „კორუფციის“ ტერმინის პრაქტიკაში ხშირი გამოყენების მიუხედავად, მისი ზუსტი არსი, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის აქამდე გაუგებარი რჩება. ეს უკანასკნელი, საზოგადოების ძირითად მასაში მხოლოდ ქრთამთანაა ასოცირებული, რაც უდაოა, კორუფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. აღნიშნული ფენომენის აღქმის სიზუსტე არ ფიქსირდება სამართალდამცავ ორგანოთა შემადგენლობაშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში, კორუფციის განმარტება, აშკარად ბუნდოვანია. ხშირად პრაქტიკოსები და არა მხოლოდ პრაქტიკოსები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ხელის შემშლელ პირობად, სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, კორუფციის ცნების არარსებობას ასახელებენ. მათი ამგვარი არგუმენტაცია ვფიქრობთ, ლოგიკას მოკლებული არ უდა იყოს, მაგრამ თუკი პრობლემას სხვა კუთხით შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ იდეალურად ფორმულირებულმა ცნებამაც კი, რომელიც ადეკვატურად ასახავს მოვლენის არსს, არ შეიძლება, კარდინალური ზემოქმედება მოახდინოს კორუფციასთან ბრძოლის მდგომარეობაზე.

ვეყრდნობი რა ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს, მიზანშეწონილად მივიჩნევ ქვეყანაში არსებული სიტუაციის კონტექსტში, კორუფციის წარმომქმნელ მიზეზთა კვლევის საფუძველად – ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ორგანიზებული ხასიათის ასპექტები განისაზღვროს, რომელებიც გარდაუაღლად ასახავენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს.

განსახილველი მოვლენის ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებს უნდა განვაკუთვნოთ:

ა) ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მკვეთრად იჩინა თავი „განვითარებული სოციალიზმიდან“, კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესში. შეიცვალა განაწილების საწყისი პრინციპები. ძირითადი კურსი აღებული იქნა პრივატიზაციაზე, კერძო მეწარმეობაზე, ღია ეკონომიკაზე. ამგვარმა ინსტიტუციონალურად მოუმზადებელმა ცვლილებებმა შედეგად ღრმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია;

ბ) სახელმწიფოს პოპულისტური ეკონომიკური პოლიტიკა. სამწუხაროდ, საქართველოში გარდამავალი პერიოდისათვის ვერ მოხერხდა ადეკვატური სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება. სახელმწიფო კვლავ „უკონტროლოდ“ ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში ნებართვისა და კონტროლის ფუნქციების შენარჩუნებით. იგი რთულ მდგომარეობაში აყენებს კერძო სექტორს, არაპროპორციულად ვითარდება ეკონომიკის სტრუქტურა, ვერ ხორციელდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირება;

გ) საზოგადოებაში ახალი სოციალური ფენის გაჩენა, რომელთა ხელში თავმოყრილმა კაპიტალმა შესაძლებელი გახადა ზემომოსავლების მიღება და თავისუფალი ფულის კვლავ და კვლავ კორუფციული მიზნებისათვის გამოყენება;

დ) სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაჩქარებული ტემპები;

ე) სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში გაწეული შრომისა და ანაზღაურების თანაფარდობის აშკარა შეუსაბამობა, რაც არაკანონიერი გზით დამატებითი სახსრების კომპენსაციისაკენ სწრაფვას პროვოცირებს;

ვ) ეფექტური საბაზრო კონკურენციის არარსებობა, რომელიც დაუსაბუთებელი ზემოგების შესაძლებლობას

იძლევა;

სისტემურ კორუფციას აქვს ადგილი იქ, სადაც (უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო და მუნიციპალურ სტრუქტურებში) მომსახურეთა ფულადი ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე გაცილებით და ალია. ანაზღაურების ამგვარმა სისტემამ სხვადასხვა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს:

პირველი – მოსამსახურეებს თავისი საქმიანობის და თანამდებობის მიმართ, იმ შემთხვევაში თუ იგი მექრთამეობისათვის განსაკუთრებულ შესაძლებლობას არ იძლევა, აშკარა უპატივცემულო დამოკიდებულება უჩნდებათ, ისინი იძულებულნი არიან შემოსავლები სხვა დამატებითი წყაროებიდან შეივსონ, რაც მნიშვნელოვანი დროისა და ენერჯის ხარჯვას მოითხოვს. რაც შეეხება სამსახურებრივ მოვალეობას, იგი ფორმალურად, ხელმძღვანელობისათვის თვალის ასახვევად სრულდება.

მეორე – თუ დანამატი ფულად სახსრებზე დაკავებული თანამდებობის შესაბამისად არცთუ ისე ღიღია, ნაკლებ სარწმუნოა, რომ სამსახურებრივ წინსვლასთან ერთად გაზრდილმა ხელფასმა, მაღალი თანამდებობის მოპოვებისათვის დახარჯული ძალისხმევის კომპენსირება შეძლოს, რასაც შედეგად შესაძლოა კარიერული მოტივაციის დაქვეითება მოჰყვეს.

მესამე – სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში მომსახურე პირები საკუთარი „ბიზნისის“ წარმოებას ან „კონსულტაციური სახის მომსახურებას“ იწყებენ და შესაძლოა მათ მთავარ და მნიშვნელოვან კლიენტებს, სწორედ ის უწყებები წარმოადგენდნენ, სადაც ისინი მუშაობენ. აღნიშნული პირები, დებენ კონტრაქტებს (საბაზრო ფასებში) ძირითადად იმ მომსახურებასთან

დაკავშირებით, რაც მათ უწყებრივ კომპეტენციაში შედის და რომლის შედეგად ამონაგები თანხები მათი საკუთრება ხდება ან საკონტრაქტო ვალდებულებიდან გამომდინარე, მომგებიან პირობებს, სხვა პირებისათვის ქმნიან. ყოველივე ზემოაღნიშნულს კი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებამდე და ინტერესთა კონფლიქტამდე მივყავართ.

თანამდებობის პირთა კორუმპირებულობის გამოვლენა საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც, რომ აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება ძალზე იშვიათად ხდება.

აღნიშნულთან კავშირში შეიძლება ითქვას, რომ დღეს მექრთამეობასთან დაკავშირებით ატეხილი ამგვარი განგამის მიზეზი, საერთო სიტუაციის არასტაბილურობაში, ეკონომიკურ კრიზისში, ფულადსაკრედიტო სისტემის მოშლაში, სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეში, სამართებლივ ნიჰილიზმში და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შეცვლაში უნდა ვეძიოთ. საზოგადოების წიაღში ახლად წარმოქმნილ შეძლებულ მეწარმეთა ფენას, რომლებსაც არცთუ იშვიათად უხდებათ სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვა, იძულებულნი არიან საამისოდ მნიშვნელოვანი თანხები გაიღონ. მეორეს მხრივ, ბევრ ჩინოვნიკს მიეცა შესაძლებლობა საკუთარი ინტერესისამებრ და ყოველგვარი კონტროლის გარეშე განეკარგა სახელმწიფო ქონება. მომავლის უიმედობის, არასტაბილურობის განცდამ ეს ადამიანები რაც შეიძლება სწრაფი გამდიდრების მიზნით, თავისი სტატუსის მაქსიმალურად გამოყენებისაკენ მომართა. უკანასკნელ წლებში ქრთამის აღებისა და ძვირფასი საჩუქრის მიღების ტრადიციულ ფორმებთან ერთად, გა-

ნსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა კორუფციის ისეთმა ახალმა ფორმებმა, როგორცაა: საზღვარგარეთის ბანკებში პერსონალიების სახელზე ანგარიშების გახსნა, უძრავი ქონების შეძენა, ახლად შექმნილ საწარმოთა დამფუძნებელთა წარმომადგენლობაში მათ ნაცვლად ნათესავების, ახლობლების შეყვანა, სხვადასხვა კერძო საწარმოთა ხარჯზე საზღვარგარეთ წასვლის ორგანიზება თითქოსდა ლექციების წასაკითხად ანდა სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა.

ეკონომიკური საქმიანობის დაჩქარებულმა ლიბერალიზაციამ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების კერძო ხელში გადასვლამ (ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებლად საკმაოდ დაბალ ფასებში), საიმედო კონტროლისა და დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის მექანიზმის არარსებობამ, ეკონომიკაში, კრიმინალური ელემენტების დამკვიდრებისთვის ხელსაყრელი პირობები წარმოქმნა. პრივატიზებული ქონებისა და აქციების დიდი ნაწილი ეროვნული და უცხოური კრიმინალური კაპიტალის ხელში აღმოჩნდა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკის სფეროში ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა და კრიმინალურ სტრუქტურათა წარმოშობასა და განმტკიცებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაულს არა მხოლოდ შემთხვევითი მარტოხელები, არამედ სხვადასხვა მასშტაბებისა და სტაბილურობის მქონე დანაშაულებრივი ორგანიზაციები ჩადიან. ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყარო განხილულ უნდა იქნეს, როგორც კანონით აკრძალული საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ ფორმათა ერთობლიობად, რომელიც ბაზრის გაკოტრებასა და მონოპოლიზაციას

ცდილობს.

ეჭვგარეშეა, რომ ორგანიზებული დანაშაული სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებას. კერძოდ, ხელს უწყობს სახელმწიფო საკუთრების გაღივებას კომერციულ სტრუქტურებში, რაც უდაოდ აღრმავებს უკვე არსებულ კრიზისს, მაგრამ თუ პრობლემას ეკონომიკური კუთხითაც შევხედავთ, ორგანიზებულ დანაშაულთა მხრივ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროთა მონოპოლიზაცია, ამცირებს მის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის დანახარჯების ოდენობას, სამართლებრივი კუთხით კი პირიქით, ზრდის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა დანაშაულებრივ სამყაროსთან შესაძლო შეთანხმებების, მოლაპარაკებების გაადვილების ალბათობას.

კორუფციული დანაშაულობის პოლიტიკური ფაქტორები:

ა) მოსახლეობის უმთავრესი ნაწილის ხელისუფლებისაგან ფაქტიურად ჩამოშორება, კერძოდ ქონების მართვის, სამართალშემოქმედებისა და სამართალწარმოების სფეროში, რაც უკვე თავისთავად აყალიბებს მოქალაქეების ჩინოვნიკებზე დამოკიდებულების საფუძველს;

ბ) განსახელმწიფოებრიობის პროცესებზე მონოპოლური კონტროლის არსებობა, რომლის დროსაც შედარებით იოლია ტრანსფორმირებულ ღირებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილის მისაკუთრება;

გ) ეფექტური პოლიტიკური მექანიზმის არარსებობა, რომელიც დროულად უზრუნველყოფდა სახელმწიფო მოხელეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა უფლებამოსილების შეწყვეტას იმ შემთხვევაში თუ, ამ უკანასკნელთა მაკომპრომატირებელი ქმედება მო-

სახელობის მხრიდან კორუფციად აღიქმებოდა (ძვირფასი საჩუქრების მიღება, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ორგანიზებულ ბანკეტებზე სისტემატური დასწრება, მათ მიერ კონტროლირებად კომერციულ საწარმოებში მაღალანზღაურებად სამუშაოზე ახლობლების მოწყობა და სხვა);

დ) სახელმწიფოს მაღალ თანამდებობის პირთა კორუმპირებულ მდგომარეობაზე, არასაკმარისად ეფექტური საპარლამენტო კონტროლი;

ე) საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის არსებულ ფორმათა არასტაბილურობა ყველა დონეზე, რომელიც სახელმწიფო და მუნიციპალურ, მოსამსახურეთა მხრიდან, საკუთარი მოვალეობისადმი ზერელე დამოკიდებულებას პროვოცირებს;

ვ) კორუფციასთან ბრძოლის იდეის, პოლიტიკური ბრძოლის ღოზუნგად გამოყენება, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში, როგორც წესი, გადავიწყებას ექვემდებარება;

ზ) ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმირებული ტრადიცია – უპირატესობის მიღების მიზანი;

თ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და გაერთიანებების აქტიური შეღწევა;

კორუფციული დანაშაულობის სპეციფიკურ სამართლებრივ ფაქტორთა არსებობას მნიშვნელოვანწილად, თავად იურიდიულ ნორმათა ბუნება განაპირობებს. რომელიც როგორც ზოგადი სავალდებულო ქცევის წესი, საწყისშივე ითვალისწინებს სამართალმწარმოებლისთვის (იგულისხმება სახელმწიფო და მუნიციპალური მოხელეები) თავისუფალი გათვალისწინების უფლების მინიჭებას. რაც უფრო მასშტაბურია დისკრეციულობა,

მით უფრო ფართოა კორუფციულ სამართალდარღვევათა ობიექტური საფუძველი.

კორუფციული დანაშაულობის სამართლებრივი ფაქტორების რიცხვს მივაკუთვნებთ:

ა) კორუფციული დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრების არარსებობა;

ბ) ზოგად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აკრძალვათა სიმწირე, რომელთაც თავის მხრივ შეეძლოთ კორუფციულ დანაშაულთა მიმართებაში ადრეული პროფილაქტიკის ფუნქცია ეკისრათ;

გ) ბევრ სფეროსა და საკანონმდებლო ინსტიტუტებში, ნორმათა განუსაზღვრელობის გაუმართლებლად მაღალი დონის არსებობა, რაც სამართალშემფარდებელთა უკონტროლო თვითნებობის ობიექტურ საფუძველს აყალიბებს (მაგალითად, სასამართლოს ყოველგვარი ერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი კრიტერიუმების გარეშე, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისათვის, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნოს სასჯელი, როგორც შვიდი წლით, ასევე თერთმეტი წლით).

კორუფციული დანაშაულობის ფსიქოლოგიური ფაქტორებია:

ა) მექრთამეობის საუკუნოვანი ტრადიციები;

ბ) მოსყიდვისათვის პასუხისმგებლობის ნორმათა მიმართ, მოსახლეობის სოლიდარობის ტრადიციულად მაღალი დონე;

გ) საზოგადოებრივი ცნობიერების ჰიპერბოლიზებული წარმოდგენა, სახელმწიფო აპარატის ტოტალურ კორუმპირებულობასთან დაკავშირებით (რაც ძირითადად მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ზეგავლენით ხორციელდება), რომელიც ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ინდივიდუალური ბრძოლის უაზრობის

გამართლებას;

დ) მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამართლებრივი პასიურობა და უვიცობა, რაც მათ თავისთავად სამართალშემფარდებელზე დამოკიდებულს ხდის;

ე) სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვებთან დაკავშირებით, როგორც უკანონო, ისე კანონიერი უფლების მოსაპოვებლად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფსიქოლოგიური მზაობა;

ვ) სუბიექტური აღქმის თვალსაზრისით, კორუფციული ქმედებისათვის პასუხისგებაში მიცემის საკმაოდ დაბალი რისკი;

ზ) ქრთამის ამღებისა და ქრთამის მიმცემის ორმხრივი ბრალეულობის ფენომენი;

და ბოლოს, კორუფციული დამნაშავეობის ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორებია:

ა) დანაშაულის გახსნის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი, რაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოუყენებლობის ობიექტურ წინაპირობას ქმნის;

ბ) კორუფციასთან ბრძოლის მიმართებაში, სამართალდამცავი სისტემის სტრუქტურული არაადეკვატურობა;

გ) კორუფციულ სამართალდარღვევათა, მათ შორის კორუფციულ დანაშაულთა არაეფექტური სტატისტიკური აღრიცხვა, რომელიც აბრკოლებს მათი მეცნიერულად დასაბუთების მონიტორინგს;

დ) ცენტრალური და რეგიონალური რეგისტრების არარსებობა, სადაც მოახდენენ იმ პირთა აღრიცხვას, რომლებსაც კანონის საფუძველზე თანამდებობაზე დანიშნა ეკრძალებათ;

ე) კორუფციული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სპეციალისტთა მომზადების, ინფორმაციული, სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური უზ-

რუნველყოფის დაბალი დონე;

ვ) კორუფციული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ღონისძიებების ღია საკონკურსო წესით დაფინანსების დამოუკიდებელი ფონდის არარსებობა;

ზ) კორუფციული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავ ორგანოთა ურთიერთ თანამშრომლობის დაბალეფექტური მექანიზმი. (პირველ რიგში ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე).

იმისათვის, რომ აეხსნათ კორუფციული დანაშაულის ტიპიური სუბიექტის ქცევა, აუცილებელია, მისი დანაშაულებრივი ქცევის მიზეზი, თვით დანაშაულებრივი ფაქტის წინმსწრებ სოციალურ ფაქტორებში ვეძიოთ და არა ინდივიდუალურ ცნობიერებათა შორის (თუმცა არც ამ ასპექტის უგულებელყოფაა გამართლებული). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რომლებმაც ჩამოაყალიბეს და მოქმედებაში მოიყვანეს პიროვნების დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი.

აღნიშნული გარემოებები შეიძლება მივაკუთვნოთ ანომიას, ე.ი. საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, როდესაც მის წევრებს დაკარგული აქვთ სოციალური ნორმებისა და ვალდებულებების მნიშვნელობათა აღქმის უნარი. მოცემულ შემთხვევაში მინდა დავეთანხმო რ.მერტონის პოზიციას, იმის თაობაზე, რომ დანაშაულებრივი ქცევა შეიძლება აიხსნას, არა როგორც არანორმალური ინდივიდის ნორმალურ სოციალურ პირობებზე არანორმალური რეაქცია, არამედ, როგორც ნორმალური ინდივიდის არანორმალურ პირობებზე ნორმალური რეაქცია. სირთულეს არ წარმოადგენს იმისი აღქმა, რომ საკითხის ამგვარად დასმა, უკვე უსარგებლოს ხდის პოსტულატს, იმის თაობაზე, რომ

ადამიანის არასრულყოფილი ბუნება — დანაშაულებრივი ქცევის აუცილებელი და საკმარისი მიზეზია.

არც იმის უგულებელყოფაა შესაძლებელი, რომ დანაშაულებრივი ქცევის უშუალო მიზეზი და მისი ძირითადი საწყისი თვით დანაშავის პიროვნებაში მდგომარეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა ბრალის შერაცხვის საფუძველი და შესაბამისად, ჩადენილი ქმედებას დანაშაულად ვერ განვიხილავდით. არსებითად ანალოგიური აზრისაა ნ. კუზნეცოვა, რომელიც აღნიშნავს, რომ „დანაშაულობის უშუალო მიზეზს სუბიექტური ფაქტორი — სოციალურ ერთობათა ინდივიდუუმის ფსიქოლოგიური დეფექტი წარმოადგენს“.

ამასთან, სხვაგვარი მოსაზრების თანახმად, ქცევის და მათ შორის კრიმინალური ქცევის მიზეზად, ისეთი ობიექტური პირობები მოიაზრება, რომლებიც — ანტი-სოციალურ მოტივაციას, მოთხოვნილებას, ნორმებსა და ჩვევებს აყალბებენ. ანალოგიური აზრს იზიარებს ა.იაკოვლევიც, რომელიც მიიჩნევს, რომ „მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით განპირობებულ მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ანუ მისი წინამორბედი ობიექტური დეტერმინირებიდან გამომდინარე, შეიძლება დაისვას საკითხი ადამიანის სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების იმ რეალური თვისებების შესახებ, რომელიც კანონისაწინააღმდეგო ქცევასთანაა დაკავშირებული“ ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება დანაშაულებრივი ქცევის შემდეგი სახის მექანიზმი:

- *პირველი* — ამგვარი მექანიზმის ელემენტს, გარემო პირობების ზემოქმედება წარმოადგენს;
- *მეორე* — ამ სახის ზემოქმედებით გამოწვეული

გარკვეული შინაგანი მდგომარეობა;

• *მესამე* – თვით დანაშაულებრივი ქცევის აქტი.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული მოსაზრება განსახილველი პრობლემის თანამედროვე არსის შესახებ წარმოდგენებს გარკვეულწილად აკმაყოფილებს. ამასთან, კორუფციული დანაშაულის ჩამდენი პირი, აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, ისეთ სოციალურ ტიპად შეიძლება აღვიქვათ, რომლის სპეციფიკაც არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობების, სოციალურ დეტრმინანტთა თავისებურებაში ვლინდება არამედ, იმ ნიშანთვისებებშიც გამოიხატება, რომლებიც მისი შინაგანი სამყაროსა და ქცევის თავისებურებებს წარმოადგენენ.

ამ თვალსაზრისით თ.შავგულიძე დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ფორმირების საკმაოდ საინტერესო სქემას გვთავაზობს. მეცნიერის აზრით, ამ დროს პროცესში მონაწილეობს სუბიექტური და პიროვნების ფსიქიკაში ასახული ობიექტური ფაქტორები. ამ ფაქტორთა ბრძოლის შედეგად გამოიქვეყნება დანაშაულის ჩადენის მოტივი. თვითონ ეს ფაქტორები კი მოტივაციის პროცესის ფაქტორებად აღმოჩნდებიან ხოლმე. ავტორის აზრით, ჩაიდენს პირი დანაშაულს თუ არა, ორივე ჯგუფის ფაქტორთა გავლენის ინტენსივობაზეა დამოკიდებული. ამგვარი ბრძოლის შედეგი, ასევე ინდივიდის ფსიქოლოგიურ კონსტიტუციას უკავშირდება. კერძოდ, მის ხასიათს, ტემპერამენტსა და შესაძლებლობებს. სუსტი ხასიათი, ტემპერამენტისა და ემოციურობის სიჭარბე აძლიერებს „მე მინდა“-ს განცდას, ან პირიქით, ზომიერი ტემპერამენტი და მტკიცე ხასიათი, საშუალებას აძლევს პიროვნებას გაანელოს „მე მინდას“-ს განცდა და „მე ვაღიარებ ვარ“-ს განცდის მოკავშირეებად მოგვევლინონ.

გასაანალიზებელ სოციალურ ფენომენტან მიმართებაში, ანრი მენდრმა, პარიზის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის პროფესორმა, რომელიც დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნების შედარებით სოციოლოგიურ კვლევებს ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში გაამახვილა ყურადღება კორუფციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ: დირექტორი, როდესაც სამსახურს იცვლის – აღნიშნავს მკვლევარი, მას როგორც წესი, ახალ სამსახურში თან მიჰყავს ერთგულ თანამშრომელთა გარემოცვა, მისი არმიის გუნდური შემადგენლობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ – მისი ერთგული კლიენტები, ვინაიდან ისინი სწორედ ამ კლიენტების დახმარებით „იკეთებენ კარიერას“.

მაშასადამე, კადრების „გუნდური“ პრინციპით დანიშვნას, თავისი ობიექტური სოციალურ-ფსიქოლოგიური წინაპირობა გააჩნია. ასეთ შემთხვევაში მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული პრინციპით მოქმედება გონიერების ფარგლებამდე უნდა შეიზღუდოს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ხელმძღვანელი თანამდებობაზე პირის ხანმოკლე ვადით დანიშვნა, აფერხებს ამ უკანასკნელის მხრიდან ისეთი ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებების გატარებას, რომელთაც სერიოზული მომზადება ესაჭიროებათ და როგორც წესი, მათი შედეგები რამოდენიმე წლის შემდეგ დგება. ანდა პირიქით, თანამდებობებზე მუდმივად არყოფნის გააზრებისა და საქმის არსში ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველობის ვითარებაში, თანამდებობის პირი მზადაა სტრატეგიული ხასიათის ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მიიღოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

- კორუფციასთან მიმართებაში, ჩვენს ქვეყანაში, შესაძლებელია გამოვყოთ მისი განვითარების სამი ეტაპი: პირველი – XX საუკუნის 60-იან წლებამდე. მეორე – 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-იან წლებამდე. მესამე – XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღემდე.

- დანაშაულობის (მათ შორის კორუფციის ორგანიზებული ფორმების) მიზეზთა დანაწევრებისა და მათი განკერძოების სირთულე განპირობებულია მოვლენათა ისტორიული ცვალებადობით, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა დროის პერიოდში, თვისობრივად არაერთგვაროვან ქმედებათა კორუფციულ დანაშაულად აღიარების შემთხვევები.

- კორუფციულ დანაშაულთა შორის ყველაზე საშიშ გამოვლინებას სახელმწიფო მოსამსახურეთა მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების დანიავება წარმოადგენს.

- კორუფციის მიზეზებსა და მის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის მართლშეგნების დონეს. იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ინდივიდი ამა თუ იმ სოციალური მოვლენისადმი გარკვეული პოზიტიური, ნეგატიური თუ ნეიტრალური მუხტის მატარებელია, უნდა მივიჩნიოთ, რომ მათზე ბუნებითი და პოზიტიური სამართალი მეტნაკლები ხარისხით ახდენს ზეგავლენას.

- კორუფციის დეტერმინანტებს წარმოადგენენ შემდეგი ფაქტორები: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული ფაქტორები.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე
კორუფციულ დანაშაულობის წინააღმდეგ
ვიმართული სისხლისსამართლებრივი
ღონისძიებები

&1. კორუფციის სისხლისსამართლებრივი
ასპექტები

თანამედროვე საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის და სამართალგამომყენებელი პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კორუფციასთან აქტიური ბრძოლა წარმოადგენს, რომელიც ჩვენი დროის ყველაზე ძნელად მოსაგვარებელი საკითხის გადაჭრას უკავშირდება. ითვლებოდა რომ კორუფცია ძირითადად ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იფურჩქნებოდა, მაგრამ ქართული დემოკრატიის არცთუ ისე ხანგრძლივი არსებობის პირობებში უარყოფილი იქნა ეს თეზისი. წლების მანძილზე კორუფციამ საქართველოში გლობალურ მასშტაბებს მიაღწია. უკანასკნელ პერიოდში ქვედა რგოლებში კორუფციის შემცირების მიუხედავად, კვლავ მაღალი რჩება ელიტარული კორუფციის მასშტაბები. თუ სახელმწიფო და საზოგადოება ერთიანად არ დაირაზმა ამ ბოროტების წინააღმდეგ, საქართველოს მომავალ დემოკრატიულ განვითარების გზას აშკარად საფრთხე ემუქრება.

კორუფციის განზოგადებული სისხლისსამართლებრივი ანალიზი ვფიქრობ, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ აღნიშნული სახის დანაშაულთა არსში ჩაწვდომას და

მათი სამართლებრივი ბუნების გახსნას, არამედ მას პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობასაც შესძენს. აღნიშნული ჯგუფის დანაშაულებრივ ხელყოფათა სპეციფიკური ნიშნების გამოყოფით, შესაძლებელი გახდება მათი გამიჯვნა მოსაზღვრე შემადგენლობებიდან, რაც თავისთავად იმ მაქსიმალური დაცვის ეფექტურ პირობას წარმოქმნის, რასაც პოტენციურად სისხლისსამართლებრივი საშუალებები ფლობენ.

მოცემული თეზისიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციული დანაშაულობის სპეციფიკურობამ და მისმა მრავალფეროვნებამ მასიური ხასიათი შეიძინა, რამაც თავის მხრივ, საზოგადოებაში წარმოშვა ისეთი იმპულსები, როგორიცაა, პირველი – მათი ობიექტური საშიშროების გააზრება და მეორე – დასჯად ქმედებათა რიცხვისადმი მათი მიკუთვნება.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს გასაანალიზებელ დანაშაულთა გვარეობით ცნებას (ცხადია, მათი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე). თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332); სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 337); ქრთამის აღება (მუხ. 338); სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341); და სხვა. საერთო დამახასიათებელი ნიშნები არ აერთიანებთ. კანონმდებელი მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ამგვარ ქმედებათა ფორმების ამომწურავი ჩამონათვალით შემოიფარგლება და თითოეული შემადგენლობიდან გამოჰყოფს დამოუკიდებელ ნორმებს, მათთვის დამახასიათებელი ნიშნების ზუსტი აღწერით.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ მოვლენის სისხლისსამართლებრივი არსის სწორად განსაზღვრის

აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკანონმდებლო დებულებათა სოციალურ-ეკონომიკური არსის გახსნა და მათი სრული შესაბამისობის გააზრება, როგორც დარგის ცალკეული ინსტიტუტების, ისე სისხლის სამართლის მეცნიერების განმსაზღვრელ ზოგად პრინციპებთან მიმართებაში. კორუფციულ დანაშაულთა სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას როგორც ჩანს გათვალისწინებული უნდა იქნას კორუფციასთან ბრძილის არ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება, არამედ ის არანაკლები ღირებულების მქონე პრაქტიკა, რომლებიც აღნიშნულ სფეროში, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ, და ბოლოს, თანამედროვე ეტაპზე უკვე ჩამოყალიბებული ამგვარი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა.

ზოგადად დანაშაულთა დახასიათებისას ტრადიციულად გამოიყენება ისეთი ცნებები და კატეგორიები, როგორიცაა: „სიკეთე“, „სამართალი“, „ნორმა“, „საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი“ და სხვა. აღნიშნულთან მიმართებაში, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ „დანაშაულთა ერთადერთ და ჭეშმარიტ საზომს – ზიანი წარმოადგენს, რომელსაც ისინი ერს აყენებენ“¹ მეორენი, ქვაკუთხედის სათავეში აყენებენ „ქმედებებს, რომლებიც სხვათა უფლებებს არღვევენ“², მესამენი „დანაშაულებრივ ქმედებებს მათი შინაარსის მიხედვით“ ახასიათებენ და ა.შ.

დანაშაულებრივი ქმედების არსის შემეცნებასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული და სხვა მრავალი შეხე-

1 იხ. Векариа Ч.О преступлениях и наказаниях. М.1939. გვ 223.

2 იხ. Furbach A. Lehrbuch des gemeinen in Deutschland gültigen Peinlichen Rechts. Gießen, 1847. გვ 45.

დულებებიდან გამომდინარე, (კორუფციული მოვლენის მიმართებაშიც) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სრულიად დასაშვებია უარყოფილ იქნას უკვე მოძველებული, სისხლისსამართლისათვის ფუნდამენტარული საკითხის – ზიანისა და მისგან ნაწარმოები „საზოგადოებრივი საშიშროების“ ფართო გაგება და მოცემული კატეგორიის არსის გაგებაში ჩართული იქნას ქმედების სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი ნიშნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის სისხლისსამართლებრივი ბუნება, საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელწოვან სოციალურ ღირებულებათა ხელყოფაში გამოიხატება.

ამასთან, გარდა დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის სამართლებრივი ბუნების დადგენის პრობლემატურობისა, განსაზღვრულ სირთულეებს წარმოშობს სხვა სოციალურ და სამართლებრივ მოვლენებთან მათი ურთიერთკავშირის დადგენაც. საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ზიანს მრავალგვარი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. გარდა ამისა, მოცემული პრობლემა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ზოგადად სამართლისა და კერძოდ, სისხლის სამართლის სისტემის საკითხებთან. მთავარი მაინც იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ადგენს სისხლისსამართლებრივი დაცვის ფარგლებსა მის მოცულობას, ახასიათებს კონკრეტული დანაშაულის სოციალურ არსს და მათ საშიშროებას, განსაზღვრავს დანაშაულის სოციალურ მიმართულებასა და მათ იურიდიულ ნიშნებს.

მაშასადამე, აუცილებელია დადგინდეს, თუ რას იცავს მოცემულ შემთხვევაში, საკუთრივ, სისხლის სამართლის კანონი.

შესაძლოა კანონმდებელი სოციალურად საშიშად იმ ფაქტის არსებობას მიიჩნევდეს, როდესაც სახეზეა პირის მიერ კონკრეტული ქმედებისათვის განსაზღვრული სიკეთის მიღების ადეკვატური აღქმა.

თანამდებობის პირი, რომელიც არაკანონიერი გზით იღებს და ფაქტიურად ეუფლება გარკვეულ სიკეთეს, ობიექტურად საშიში ხდება სისტემისათვის, რომლის ელემენტსაც თვითონ წარმოადგენს, როგორც – კორუმპირებული ჩინოვნიკი.¹

სისხლის სამართალში კორუფციის ცნების რეალიზაციის საკითხთან მიმართებაში, მართებულად მივიჩნევთ მხარი დაუჭიროთ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც განსახილველი ფენომენი განისაზღვრება როგორც „მოვლენა, წარმოქმნილი სოციალური მმართველობის სფეროში, რომელიც გამოიხატება მმართველობის სუბიექტთა მხრიდან პირადი მიზნით (ფართო გაგებით – ინდივიდუალური და ჯგუფური, მატერიალური და სხვა მიზნით) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

კორუფციის სისხლისსამართლებრივ ასპექტში განხილვისას, გ. მიშინი მიიჩნევს, რომ ამგვარი სახის ნორმები ორმაგ როლს ასრულებენ: ერთის მხრივ, განსაზღვრავენ რა, თანამდებობრივი დანაშაულის ზოგად ცნებას და მეორის მხრივ, რეზერვის ფუნქციას ასრულებენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თანამდებობრივი დანაშაულის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ სპეციალურ ნორმას.²

1 იხ. Сергеевский Н. Русское уголовное право. Часть Общая. 1915. გვ. 55

2 Мишин Г. К Коррупция: понятия, сущность, меры ограничения. Лекции. М. 1991. გვ. 22.

დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ყოველმხრივი დახასიათება, ტრადიციულად, დანაშაულის ობიექტის ფარგლებში განიხილება. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დავასაბუთოთ არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის აუცილებლობა, არამედ განვსაზღვროთ სისხლისსამართლებრივი დაცვის ფარგლები და მისი მოცულობაც. დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად ობიექტისთვის მიყენებული ზიანის მოცულობით განისაზღვრება დანაშაულის სოციალურად საშაში შედეგიც ან პირიქით, დგინდება ქმედების მცირე მნიშვნელობა.

რამდენადაც შესაძლოა ერთიდაიგივე დაცვის ობიექტმა, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზიანი განიცადოს სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, ქმედების კვალიფიკაციისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ობიექტის ნიშნებსა და მათ თავისებურებათა დეტალურიზირებას.

ამასთან, ამა თუ იმ სიკეთის (ინტერესის) სამართალდარღვევის ობიექტისადმი მიკუთვნება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ინტერესები გამორჩეულად მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებს განეკუთვნებიან. ძალიან ხშირად ერთი და იგივე ობიექტები, ერთდროულად სხვადასხვა სამართლის დარგის ნორმებით არიან დაცულნი. აღნიშნული შეეხება კორუფციასაც, რომელიც მისი მრავალფეროვანი გამოვლინებებიდან გამომდინარე, თავის არენაზე სამართლებრივი თუ არასამართლებრივი სოციალური რეაგირების მთელ რიგ სპექტრს იზიდავს.

სისხლის სამართალი თავის დაცვის ქვეშ აყენებს ისეთ ობიექტებს, რომლებიც ხელყოფის ფორმის თვ-

აღსაზრისით, მომეტებული საშიშროების შემცველ ქმედებებად მოიაზრებიან. მხედველობაში გვაქვს ისეთი ქმედებები, როგორცაა: ქრთამის აღება (მუხ. 338.); ქრთამის მიცემა (მუხ. 339); სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341.); და სხვა. რაც შეეხება შედარებით ნაკლებ საშიშროების შემცველ ქმედებებს (მაგალითად კონტრაქტის დადება ტენდერის გარეშე, პროტექციონიზმი, ფავორიტიზმი, ლობიზმი და სხვა), მათი დაცვა ხორციელდება, როგორც მორალის, ისე სამართლის სხვა დარგების ნორმათა მეშვეობით. განსაზღვრული სიკეთის (ინტერესის) სისხლის სამართლებრივი დაცვის კატეგორიისადმი მიკუთვნება, აღნიშნულ სიკეთეზე (ინტერესზე) მიმართულ ნებისმიერ ხელყოფას ყოველთვის როდი აქცევს სისხლის სამართლებრივ დასჯად ქმედებად. ამგვარი სახის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მომეტებული საშიშროების შემცველი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

სისხლის სამართლის სოციალური ფუნქცია და როლი სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა დაცვაში გამოიხატება. აღნიშნული დაკავშირებულია თანამდებობის და ასევე იმ კატეგორიის პირთა საქმიანობასთან, რომლებიც გარკვეული უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი.

მაშასადამე, განსახილველ დანაშაულთა დაცვის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოების მიერ უზრუნველყოფილი და მისივე ინტერესს დაქვემდებარებული ადამიანთა შესაბამისი საქმიანობა ან/და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში სუბიექტთა მდგომარეობა.

კორუფციული შინაარსის დანაშაულები განთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

კერძო ნაწილის სხვადასხვა თავებში. ესენია:

- სსკ 182-ე მუხლი – მითვისება ან გაფლანგვა;
- სსკ 192-ე მუხლი – უკანონო სამეწარმეო საქმიანობა;
- სსკ 193-ე მუხლი – ცრუ მეწარმეობა;
- სსკ 194-ე მუხლი – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება);
- სსკ 195-ე მუხლი – მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შეზღუდვა;
- სსკ 203-ე მუხლი – პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ორგანიზატორის მოსყიდვა;
- სსკ 202-ე მუხლი – კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება ან გავრცელება;
- სსკ 164'-ე მუხლი – ამომრჩევლის მოსყიდვა;
- სსკ 214-ე მუხლი – საბაჟო წესის დარღვევა;
- სსკ 220-ე მუხლი – უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;
- სსკ 221-ე მუხლი – კომერციული მოსყიდვა;
- სსკ 332-ე მუხლი – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;
- სსკ 333-ე მუხლი – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება;
- სსკ 337-ე მუხლი – სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა;
- სსკ 338-ე მუხლი – ქრთამის აღება;
- სსკ 339-ე მუხლი – ქრთამის მიცემა;
- სსკ 339'-ე მუხლი – ზეგავლენით ვაჭრობა;
- სსკ 340-ე მუხლი – კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება;
- სსკ 341-ე მუხლი – სამსახურებრივი სიყალბე.

აღნიშნულ შემადგენლობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებად ერთ შემთხვევაში გვევლინება სამეწარმეო საქმიანობის ინტერესები, სხვა შემთხვევებში ადამიანის პოლიტიკური უფლებები, ეკონომიკური საქმიანობა, საფინანსო საქმიანობა, სამეწარმეო საქმიანობაში სამსახურის ინტერესი, საჯარო სამსახურის ინტერესები.

კორუფციული ხასიათის დანაშაულები, სისხლის-სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავებულ ქმედებებს მოიცავენ, რომელთა უმრავლესობა ძირითადად განთავსებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში. ეს შემადგენლობებია: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332); სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება (მუხ. 333); მექრთამეობა (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, 338–339 მუხლები); ზეგავლენით ვაჭრობა (მუხ. 339*); კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხ. 340); სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341).

რაც შეეხება სხვა ანგარებითი ხასიათის დანაშაულთა შემადგენლობებს, როგორცაა: მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (მუხ. 182); უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (მუხ. 192); ცრუ მეწარმეობა (მუხ. 193); უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) (მუხ. 194); მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შეზღუდვა (მუხ. 195); პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ორგანიზატორის მოსყიდვა (მუხ. 203); უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220); კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221); ისინი განთავსებულნი არიან ეკონომიკური დანაშაულის კარში.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიუხედავად იმისა, რომ ერთ თავში არ აერთიანებს კორუფციული ხასიათის დანაშაულთა შემაღენლობებს, აშკარაა, რომ იმავდროულად, საკმაოდ ზუსტად სწვდება იმ დანაშაულთა არსში, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი სტატუსის ექსპლუატაციასთან იყოს დაკავშირებული.

კორუფციულ დანაშაულთა დამახასიათებელ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ თანამდებობრივი ან/და სამსახურებრივი უფლებამოსილების ფორმათა მრავალგვარობა, რომლებიც თავის მხრივ მთლიანად, ან/და ნაწილობრივ, დროებით ან/და საძუძამოდ აფერხებენ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კანონიერ ინტერესთა რეალიზაციას, რომლებიც მათი საქმიანობიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან შეხება ჰქონდეთ ჩინოვნიკთა სტატუსურ უფლებამოსილებასთან.

ამასთან, თითოეული ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხისა და მათი თანაზობადობის საკითხის განსაზღვრასთან ერთად, სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანის რანგში უნდა დავაყენოთ, ერთიან კლასიფიკაციაში, სხვა დანარჩენ დანაშაულთა შორის, აღნიშნულ ნორმათა შინაარსის შესატყვისობიდან გამომდინარე, მათი ადგილის განსაზღვრის საკითხიც.

თანამედროვე ლიტერატურა გვთავაზობს კორუფციულ დანაშაულთა მთელი ერთობლიობის დაყოფას ორ ძირითად ჯგუფად – საჯარო და არასაჯარო კორუფციულ დანაშაულებად.¹ პირველ ჯგუფს განე-

1 იხ. Мишин Г. К. Коррупция: понятия, сущность, меры ограничения. Лекции. М. 1991. გვ. 18.; Шершеневич Г.Ф. Применение права. // Хропанюк В.Н. Теория государства и право. Хрестоматия. Под. ред. Радько Т.Н.- М, Изд-во "Интерстиль" 1998 გვ. 79. და სხვა

კუთვნება: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332); სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 337); სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341); ქრთამის აღება (მუხ. 338); ქრთამის მიცემა (მუხ. 339); ზეგავლენით ვაჭრობა (მუხ. 339¹); კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხ. 340);

მეორე ჯგუფში შედის: პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ორგანიზატორის მოსყიდვა (მუხ. 203); უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220); კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221);

ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის უშუალო ობიექტი არა მხოლოდ ამ სახის საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, არამედ იმ რეალურად განსაზღვრულ ზიანის სპეციფიკურობასაც ასახავს, რომელთა დაცვაც, სავარაუდოთ, სამართლებრივი საშუალებებით უნდა განხორციელდეს.

კორუფციული ხასიათის ურთიერთობებში მხედველობაში მიიღება კონკრეტული სახელმწიფო მოხელის კორპორაციული ან ვიწრო ჯგუფური „ინტერესების“, ანდა ანგარებითი ან სხვა პირადი „ინტერესების“ არაკანონიერი გზით დაკმაყოფილება. ამგვარი ინტერესის სიმბოლოს კი დანაშაულის ესა თუ ის საგანი წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაანალიზებელ დანაშაულთა შემადგენლობებში (ქრთამის მიცემა (მუხ. 338), ქრთამის აღება (მუხ. 339), კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221) საუბარია ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების

ან/და სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებაზე. შესაბამის ნორმებში აღნიშნული ტერმინები, რომელთა საშუალებითაც კანონმდებელი მოსყიდვის საგანს აღწერს, საფუძველს გვაძლევენ, რომ მათი შინაარსის დაზუსტება არა სისხლისსამართლებრივი დებულებების, არამედ სამოქალაქო და სხვა შესაბამის კანონმდებლობების მეშვეობით უნდა მოვახდინოთ.

ფული ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტს წარმოადგენს, რომელიც გამოხატავს ყველა სახის ქონების ფასს. აღნიშნულ საგანთან მიმართებაში, აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში მისი, როგორც ანაზღაურების საშუალების შესაძლებლობა. ასე მაგალითად ის ფულადი ერთეული, რომელიც მიმოქცევაში არ არის, მოსყიდვის საგნად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვალოს, თუ მას რაიმე სხვა საბაზრო ღირებულება გააჩნია (მაგალითად, საკოლექციო ან ანტიკვარული ფასეულობა), მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ჩაითვლება სხვა საგნად.

ფასიანი ქაღალდების საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვების, რეგისტრაციისა და მიმოქცევის წესს არეგულირებს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომლის თანახმადაც ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: სააქციო საზოგადოების აქცია, სახელმწიფო სასესხო ვალდებულება, ნებისმიერი იურიდიული პირის ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, დეპოზიტური და შემნახველი სერთიფიკატი, კონოსამენტი და სხვა ქონებრივი უფლების განმსაზღვრელი ფასიანი ქაღალდების თავისებური სახეები (მაგალითად, სამგზავრო ბილეთი, აბონემენტი).

„სხვა ქონების“ ცნების ქვეშ კანონმდებელი გულისხმობს ფულისა და ფასიანი ქაღალდის გარდა

ყველა სახის, როგორც მოძრავ ისე უძრავ ნივთს.

გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს სამოქალაქო ბრუნვიდან მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღებულ საგანთა (მაგალითად, ბირთვული მასალა, რადიოაქტიური ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და სხვა) იურიდიული ბედის საკითხი, კერძოდ, წარმოადგენდნენ თუ არა ისინი ქრთამის – მოსყიდვის საგანს? ვფიქრობთ, ის სპეციფიკურობა, რითაც ამ ტიპის საგნები ხასიათდებიან, იგულისხმება, მათი თავისუფალი საბაზრო ფასების არარსებობა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქონებრივი გამორჩენის სახით მათი მიღება ან გადაცემა შეუძლებელია. „შავ ბაზარზე“ მათი რეალიზაციის შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა, დასაშვებია ქრთამის საგანად ჩაითვალოს ყველა ის სამოქალაქო ურთიერთობების ობიექტი, რომელთა თავისუფალი გამოყენება კანონით შეზღუდულია. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ გარემოებას, რომ ხსენებულ საგანთა უკანონო ბრუნვა იკრძალება სსკ-ის კერძო ნაწილის (231-ე, 232-ე, 234-ე, 235-ე, 237-ე) შესაბამისი მუხლებით, მაშინ ქრთამის საგნის სახით მათი მიღება, ამ დანაშაულებთან მიმართებაში იდიალურ ერთობლიობას შექმნის.

საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულ კორუფციული ხასიათი დანაშაულთა ამსახველ ნორმებში, კერძოდ კომერციულ მოსყიდვაში (მუხ. 221) კანონმდებელი იყენებს ისეთი ტერმინს, როგორცაა „ქონებრივი ხასიათის მომსახურება“, რომელსაც ზუსტად დადგენილი საკანონმდებლო კრიტერიუმები არ გააჩნია და რის გამოც შესაძლოა გარკვეული სირთულეები წარმოიქმნას ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

„მომსახურება“, როგორც კატეგორია, ვრცლად გამოიყენება სამოქალაქო სამართალში და ამავედროულად განსხვავდება იგი „შრომის“ კატეგორიისაგან. მომსახურება წარმოადგენს თავად ქმედების სახესხვაობას და როგორც სამოქალაქო უფლების ობიექტი, იმ განსაზღვრულ სასარგებლო შედეგში გამოიხატება, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შრომის შედეგად არის წარმოქმნილი. თუ ქმედებას, რომელიც მომსახურების შინაარსს შეესაბამება, არ გააჩნია მართლზომიერი, ლეგალური ხასიათი, მაშინ იგი უკანონო მომსახურებად ჩაითვლება. სსკ-ის 221-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უკანონო მომსახურების გაწევად მიიჩნევა პირის ნებისმიერი მოთხოვნის უსასყიდლო დაკმაყოფილება, რომელიც ლეგალურ ქონებრივ შეფასებას ექვემდებარება. ამასთან, უსასყიდლო ქონებრივი მომსახურების გაწევა არ ნიშნავს მისი სრული სახით უსასყიდლობას. გაწეული მომსახურება შეიძლება წარმოდგენილი იყოს გარკვეული ანაზღაურებითაც, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მისი ღირებულების ეკვივალენტს. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს: ამ პირისათვის რაიმე ანაზღაურებადი საქმიანობის (მაგალითად ბინის რემონტი) უსასყიდლოდ განხორციელებაში, გადასაცემ ქონებაზე, საპრივატიზაციო ობიექტებზე, არენდის გადასახადზე, და ა.შ. ფასის შემცირებაში. ასეთ შემთხვევაში, ქრთამის საგნის ღირებულებითი შეფასება უკანონო მომსახურებისათვის გაწეულ ფასსა და რეალურად გადასახდელ ფასს შორის სხვაობით განისაზღვრება.

თუ მომსახურებას ფასი არა აქვს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ კანონმდებელმა მხედველობიდან გაუშვა

ან საჭიროდ არ მიიჩნია ამგვარი სახის სიტუაციის კრიმინალიზაცია.

კანონმდებელს კორუფციულ ხასიათის ქმედებებთან მიმართებაში ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების გვერდით ხმარებაში შემოაქვს ტერმინი „ქონებრივი სარგებელი“. როგორც სასმართლო პრაქტიკა ცხადყოფს, აღნიშნულ ტერმინოლოგიურ სახესხვაობებს პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია. ისეთ შემადგენლობათა მიმართ, როგორიცაა მაგალითად, „ქრთამის აღება“ და „ქრთამის მიცემა“, „კომერციული მოსყიდვა“ და სხვა, ქონებრივ სარგებელში უნდა ვიგულისხმოთ უფასოდ ან/და შედარებით ნაკლებ ფასად მომსახურების გაწევა.

უფრო რთულად დგას საკითხი იმ ქმედებათა შეფასებისის თვალსაზრისით, რომელთაც ღირებულებითი გამოხატულება შეიძლება არ ჰქონდეთ, მაგრამ შედეგად პირის გამდიდრებას იწვევდნენ. მაგალითად, ამგვარი სახის მომსახურებას წარმოადგენს მაღალანაზღაურებად სამსახურში მოწყობა. მსგავს შემთხვევაში, მართებულად მივიჩნევთ, ვიხელმძღვანელოთ ისეთი კრიტერიუმით, რომლის თანახმად, თუ ეს პირი რეალურად ახორციელებს სამუშაოს, მაშინ არა გვაქვს ქრთამის საგანი, ხოლო თუ იგი ამ სამუშაოს არ ასრულებს და ანაზღაურებას მაინც იღებს, მაშინ ეს ჩათვლება ქრთამის საგნად.

რამდენადაა შესაძლებელი მოცემული დანაშაულის საგნის რანგში განხილულ იქნას ისეთი სახის მომსახურება, როგორიცაა: ინსტიტუტში მოწყობა, ხელსაყრელი დასკვნის მიცემა, ინტიმური ხასიათის მომსახურება და სხვა.

სისხლის სამართლის თეორიაში, მოცემულ საკით-

ხზე არ არსებობს აზრთა ერთსულოვნება. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ა.ფეიერბახი, ა.პრიგრალოვ-კუდრინი, ს. ეისმანი, ა.კვიცინია და სხვები) ქრთამის საგნად მატერიალურ სიკეთესთან ერთად, არამატერიალურ სიკეთესაც აღიარებენ.¹ ხოლო მეცნიერთა ნაწილი, მათ შორის ვ.მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, შ.ფაფიაშვილი, არამატერიალურ სიკეთეს ქრთამის საგნად არ მიიჩნევენ, აღნიშნულის შესახებ მოწმობს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრაქტიკაც. მაგალითად, რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლო ქრთამის საგნად მხოლოდ მატერიალური ხასიათის სიკეთეს მიიჩნევდა,² უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს სს საკასაციო კოლეგია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქრთამის საგნად არამატერიალურ სიკეთესაც აღიარებდა. კერძოდ პირადი მიზნის მიღწევისათვის სქესობრივი კავშირის დაჭერას თანამდებობის პირთან.³ სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების შედეგებით გვიანდელ პერი-

1 იხ. Комментарии к Уголовному кодексу Российской Федерации, Особеннфя часть./ Под.. ред В.М. Лебедева, Ю.И. Скуратова, М. 1996. გვ451; Уголовное право Российской Федерации, Особеннфя часть./ Под.. ред Б.В. Здравомыслова, М.1996 გვ415; Уголовное право Российской Федерации, Особеннфя часть./ Под.. ред Г.Н. Берзенкова, В.С. Комисарова, М. 1997.გვ 585, А.К. Квициния. Взятничество и борьба с ним, Сухуми, 1980.გვ 34.

2 იხ. Постановление Пленума Верховного Суда РСФСР от 15 апреля 1929г.- Сборник разъяснении Верховного Суда РСФСР, 1939г, 1930, გვ62-63.

3 იხ. Сборник определении уголовно-судебной коллегии Верховного Суда УССР, 19246 Вып. У, გვ. 122.

ოდში, აღნიშნული მოსაზრება ახალ მხარდაჭერებს პოულობდა. მაგალითად პროფ. ა. კვიცინია ქრთამად მიიჩნევს არა მხოლოდ ქონებრივ, ასევე სხვა გამო-რჩენასაც.¹ იგი წერს: „ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ყველაფერი, რითაც შეიძლება მოსყიდული იქნეს თანამ-დებობის პირი და მასზე გავლენა მოახდინო ნებისმიერი სიკეთის, მომსახურების გადაცემის გზით, იმისგან დამოუკიდებლად მატერიალური თუ არამატერიალური თვისებისაა ისინი”.

მოცემულ პრობლემაზე ორი წინააღმდეგობრივი მიდგომის არსებობა, ვფიქრობთ შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული: ქრთამის საგნის შესახებ კანონში ზუსტად განსაზღვრული ფორმულირების არა-რსებობით, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძ-ლიერებით, უცხოური გამოცდილების გაზიარებით, სადაც არ არსებობს სიკეთის დაყოფა მატერიალურ და არამატერიალურად. მიზანშეწონილად მივიჩნევთ შეუერთდეთ იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც არაქონებრივი ხასიათის სიკეთეს ქრთამის საგნად მი-ჩნევენ. ანუ აღიარებენ ქრთამის საგნის ცნებას ფართო გაგებით.

კანონმდებელი „არამართლზომიერ უპირატესობის” სახით, მექრთამეობის სრულიად ახალ საგანს გეთა-ვაზობს, რითაც იგი აფართოვებს კორუფციული გარი-გების სფეროს. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ არა-მართლზომიერი უპირატესობის მიღების, მინიჭების მართლზომიერი გზაც არსებობს. მაგალითად, მოხელეს ჰპირდებიან, რომ გაამარჯვებინებენ საგრანტო პროგ-რამაში, დაუწერენ დისერტაციას, მიანიჭებენ საპატიო

1 იხ. Квициния А. К. Взяточничество и борьба с ним, Суху-ми, 1980, gv.122,

წოდებას და ა.შ.

კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მოხელის მიერ მიღებული ქონებრივი სარგებლის მოცულობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია შესრულებულ „სამუშაოსთან“. ამასთან, მიუხედავად იმისა არის ეს „ქრთამი მოსყიდვა“ თუ „ქრთამი - ჯილდო“, იგი მაინც საბოლოო ჯამში გარკვეულ ანგარიშსწორებას წარმოადგენს. ცხადია, არსებობს სხვაობა პირველსა და მეორე ფორმას შორის, მაგრამ აღნიშნული გარემოება აუცილებელად ქრთამის ოდენობასთან შესაბამისობაში უნდა იქნას განხილული.

ამასთან, როგორც ეს მართებულად მიიჩნევა, თუ ქრთამის აღება წინასწარ არ იყო დათქმული და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მოხელეს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის „ქრთამი-ჯილდოს გადასცემდნენ, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის (ქრთამის აღების) შემადგენლობას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შემდგომში მისი დასაჩუქრება, განსაზღვრულ პირობათა გათვალისწინებით, განხილულ უნდა იქნას არა როგორც ქრთამის აღება, არამედ, როგორც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განსაზღვრავს ქრთამის მინიმალურ ოდენობას, მაგრამ კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მიუთითებს, რომ „თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს

1 მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი. პასუხისმგებლობა სამოხელეო დანაშაულისათვის. (კომენტარი) თბ. 2000. გვ. 142.

უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრის საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას” აქვე ხაზგასმულია, რომ საარსებო მინიმუმის ოდენობა ამ კანონის მიზნებისათვის განისაზღვრება ასი (100) ლარით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრებს უფლება არა აქვთ მიიღონ საჩუქარი, სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოსაგან, ან დაწესებულებისაგან, ან მათი წარმომადგენლობისაგან სიმბოლური ნიშნის, ან სუვენირის.... ამ შემთხვევაში ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს”¹

მამასადაძმე თუ გავითვალისწინებთ შესაბამისი კანონის მოთხოვნებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საარსებო მინიმუმის ოცმაგი ოდენობა, სხვა შემთხვევაში კი საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარი – ეს ის ზღვარია, რომელიც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებას ქრთამის აღებისაგან მიჯნავს. კანონის აღნიშნული მოთხოვნა არ შეიძლება მთლად მართებულად მივიჩნიოთ მით უფრო, რომ მოცემულ მუხლში საუბარი არ არის მსგავსი ქმედების სხვა რაიმე მართლზომიერ პირობაზე (გარდა მოსყიდვის ზომაზე). ამასთან არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსყიდვის მოტივს. ვ. ვოლჟენინი თვლიდა, რომ „...ქრთამი, რომელსაც მოსყიდვის ხასიათი აქვს, როგორც წესი უფრო საშიშია, ვიდრე ქრთამი-ჯილდო. მექრთამეობაში ბრალეული პირის პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრისას, თუ

1 „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი, მუხ. 12.

თანამდებობის პირის მიერ უკვე განხორციელებული ქმედება წინასწარი შეთანხმებით არ იყო განპირობებული, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა ქრთამის მიმცემი და ასევე თვით ქრთამის საგანს. ამიტომ, თუ მატერიალური სიკეთე გადაცემული იქნა მადლიერების ნიშნად, მაშინ საუბარია მხოლოდ თანამდებობრივ გადაცდომაზე, რომელიც ვერ აღწევს სოციალური საშიშროების იმ ხარისხს, რაც დანაშაულებრივ ქმედებას მოეთხოვება.¹

კორუფციული დელიქტების ობიექტური შემადგენლობის ელემენტების თავისებურებათა დახასიათებისას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამგვარი ქმედებები ხორციელდება, როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე პასიური უმოქმედობით, თუმცა ძირითადად მოქმედებით ჩადენილი დანაშაულების შემადგენლობები ჭარბობენ.

მოცემული ჯგუფის დანაშაულთა თავისებურებებიდან გამომდინარე, მატერიალური შემადგენლობის ნორმათა დისპოზიციები სრულად ითვალისწინებენ დანაშაულის (ქმედების) ობიექტური მხარის ყველა აუცილებელ ელემენტს (ქმედების შემადგენლობას, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის) და ქმედებას მხოლოდ — ფორმალურ შემადგენლობებში.

პირველ ჯგუფის (მატერიალურ) შემადგენლობებს განეკუთვნება: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332); სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხ. 333); უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220);

მეორე ჯგუფის შემადგენლობებს განეკუთვნება: სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 337); ქრთამის აღება (მუხ. 338); ქრთამის მიცემა

1 იხ. Волжепин В.В. О так называемой взятке благодарности./ Социалистическая законность, 1991. №6. გვ 51.

(მუხ. 339); ზეგავლენით ვაჭრობა (მუხ. 339*); კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხ. 340); სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341); პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ორგანიზატორის მოსყიდვა (მუხ. 203); კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221).

არსებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მოცემული ჯგუფის დანაშაულთა ობიექტური შემადგენლობის ნიშანთა განსაზღვრის საფუძველზე, შესაძლებლობა გვეძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ არა მხოლოდ ცალკეული შემადგენლობები, არამედ ზღვარი გაავაჯლოთ ერთის მხრივ, კორუფციულ დანაშაულსა და ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო დელიქტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ძირითად კორუფციულ ქმედებათა ობიექტური შემადგენლობის ნიშნები.

ძირითად კორუფციულ დანაშაულთა ობიექტური შემადგენლობის ნიშნები

შემადგენლობათა სახეები	ობიექტური მხარე
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332)	<p>გამოიხატება:</p> <p>ა). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ;</p> <p>ბ). ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა; გ). ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.</p>

<p>'სეგაელებით ვაჭრობა (მუს. 339')</p>	<p>გამოიხატება: ა). პირის მიერ საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ყუელის, ყვასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლ'სომიერი უპირატესობის დაპირებას, 'შეთავა'სებას ან მინიჭებაში იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას 'შეუძლია არამართლ'სომიერი 'სეგაელების მოსდენა მოსელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება'სე. ბ) პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას 'შეუძლია არამართლ'სომიერი 'სეგაელების მოსდენა მოსელის ან მასთან გათანაბრებული პირის გადაწყვეტილების მიღება'სე თავისთვის ან სხვა პირის სასარგებლოდ იმ პირისაგან, რომელიც მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, ყუელის, ყვასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლ'სომიერი უპირატესობის მოთხოვნის ან მიღებაში, ასევე ასეთის თაობა'სე დაპირების ან 'შეთავა'სების მიღებაში.</p>
<p>პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ორგანიზატორის მოსყიდვა (მუხ. 203)</p>	<p>გამოიხატება: ა). სპორტული შეჯიბრის მონაწილის, მსაჯის, მწკრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზატორის, აგრეთვე კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის, ან ჟიურის წევრის მოსყიდვაში, ე.ი. მათთვის უკანონო გასამრჯელოს მიცემასა ან გადაცემაში იმ მიზნით, რომ 'სეგაელება მოახდინოს შეჯიბრის ან კონკურსის შედეგზე.</p>

<p>ქრთამის აღება (მუხ. 338)</p>	<p>გამოიხატება:</p> <p>ა). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი ხარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაშების ან დაპირების მიღება;</p> <p>ბ). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თანამდებობრივი უფლებამოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე ქმედების განხორციელებისათვის ან თავის შეკავებისათვის რაიმე ქმედების განხორციელებისგან;</p> <p>გ). დამნაშავეს შესაძლებლობა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტით ხეკავლენა მოხდინოს სხვა პირებზე ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიზნის მისაღწევად, ან/და განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.</p>
<p>სამსახურებრივი სიყალბე (მუხ. 341)</p>	<p>გამოიხატება:</p> <p>ა). მოხელის მიერ ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და ამახინჯებს რეალურ შინაარსს;</p> <p>ბ). ყალბი დოკუმენტის შედგენა და გაცემა;</p> <p>გ). საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის საქმეში არსებული ოფიციალური და კერძო დოკუმენტის გაყალბება.</p>

<p>სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 337)</p>	<p>გამოიხატება: ა). მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დაწესებული ორგანიზაციის დაარსებაში; ბ). დამნაშავეის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით მის მართვაში მონაწილეობა.</p>
<p>უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220)</p>	<p>გამოიხატება: ა). ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაში ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ; ბ). მნიშვნელოვან ზიანში; გ). მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და მნიშვნელოვან ზიანს შორის.</p>

ტრადიციულად მიჩნევენ, რომ ქრთამის აღება (მუხ. 338), ყველაზე მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულთა თავში. აღნიშნული შემადგენლობის ანალიზის თანახმად, ქრთამი შეიძლება გადაცემული იქნას, როგორც პირდაპირ თანამდებობის პირისთვის, ისე არაპირდაპირ ანუ შუამავლის მეშვეობით, მაგრამ ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე. ქრთამის გადაცემა შეიძლება ატარებდეს როგორც აშკარა, ისე შენიღბულ ხასიათს. კერძოდ, შენიღბული ფორმებიდან პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა ქრთამის აღება ვითომც ჩატარებულ ლექციათა ჰონორარის, კონსულტაციის გაწევის, პრემიების ან/და ვალის დაბრუნების სახით და სხვა.

მექრთამეობასთან ფექტური ბრძოლის მიზნებიდან

გამომდინარე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი ითვალისწინებს ქრთამის მიმცემის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, თუ მას ქრთამი გამოსძალეს ან თუ მან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განაცხადა სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოებში. მაგრამ რაც შეეხება ქრთამის ამღების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, რომელმაც ნებაყოფლობით განაცხადა სისხლის სამართლის საქმის აღმძვრელ ორგანოში, მაშინაც კი, როცა მოსყიდვას თან ახლდა შანტაჟი, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, კრიმინალური სტრუქტურების მიერ სახელმწიფო და სხვა მოხელეთა მოსყიდვას თან ახლავს ხოლმე მათი დაშინება, შანტაჟი. მოსასყიდი პირი ამ შემთხვევაში დილემის წინაშე დგება: შეინარჩუნოს თავისი და მისი ოჯახის კეთილდღეობა, იმავდროულად მიიღოს განსაზღვრული „გასამრჯელო“, თუ იცხოვროს ისე, რომ საფრთხეში ჩააყენოს საკუთარი სიცოცხლე, ქონება, თანამდებობა და სხვა ამგვარი. ქრთამის ამღების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების ამგვარ საფუძველზე უარის თქმა, ფაქტიურად ემსახურება ორგანიზებულ დამნაშავეთა და რეგულარულ საფუძველზე კორუმპირებულ მოსამსახურეთა ინტერესებს.

ქრთამის ამღების განზრახვის შინაარსი უნდა შეიცავდეს ქრთამის აღებას ისეთ სიტუაციაში, როდესაც მან თავისი მოქმედებით ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს მუქარის სახით საფრთხე შეუქმნა და აიძულა იგი მიეცა ქრთამი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ მართე-

ბულად დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ქრთამის გამოძალვის ნაწილში, როდესაც სახეზე იყო მუქარა განხორციელებული ქრთამის მიმცემის მიმართ ამ უკანასკნელის არაკანონიერ ქმედებასთან დაკავშირებით.¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრთამის მიმცემის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ მოტივით, რომ მას ქრთამი გამოსძალავს ან ნებაყოფლობით განაცხადა აღნიშნულის შესახებ, არ ნიშნავს იმას, რომ ამ პირთა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ, ეს უკანასკნელნი არ შეიძლება ცნობილნი იქნან დაზარალებულებად და შესაბამისად, პრეტენზია განაცხადონ ქრთამის სახით გადაცემული სიკეთის უკან დაბრუნებაზე.

პროვოკატორისაგან განსხვავებით, ქრთამის მიმცემის ქცევის მოტივაციას წარმოადგენს თანამდებობის პირისთვის ქრთამის გადაცემის მეშვეობით, განაზორციელოს თავისი განსაზღვრული მიზანი. მისი მოქმედება ამ შემთხვევაში არ უკავშირდება განზრახვას ამხილოს ქრთამის ამღები. ამიტომ ბრალის აღიარების სურვილის აღძვრასთან დაკავშირებით, საჭიროა სერიოზული სტიმული, რომელიც თავისი ხვედრითი წილით იმ ინტერესებს გადააჭარბებს, რომლისათვისაც მან ქრთამის მიცემას მიმართა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, განმცხადებლისთვის მომგებიანი არ იქნება აცნობოს ხელისუფლებას ქრთამის მიცემის შესახებ. მართალია ეს უკანასკნელი აღნიშნულ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება,

¹ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე – სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გვ. 206-208.

მაგრამ დაკარგავს იმ შესაბამის სიკეთეს, რისთვისაც იგი ქრთამს აძლევდა.

აქვე ყურადღება უნდა შევაჩეროთ სამართალგამომყენებელ პრაქტიკის განზოგადებაზეც. თუ პირის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე ან/და მის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ქრთამის სახით გადაცემის შესახებ ნებაყოფლობით, წინასწარ იქნა გაცხადებული შესაბამის ორგანოში, რომელსაც უფლება აქვს დაიწყოს გამოძიება და ქრთამის გადაცემა, ქრთამის ამღების დაკავების მიზნიდან გამომდინარე ამ ორგანოს კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა, მაშინ ფული და სხვა ღირებულება, რომელიც ამ შემთხვევაში ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის საგანს წარმოადგენს, მფლობელისთვის უკან დაბრუნებას უნდა დაექვემდებაროს. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში მატერიალური სიკეთის გადაცემა, ქრთამის იმიტაციაა და აღნიშნული პირის ქმედებაც სათანადოდ კარგავს სოციალურ საშიშროებას. ეს შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს დანაშაულის პროვოკაციისაგან (145-ე მუხ.), რადგან პროვოკაციის დროს პირმა თავად უნდა დაიყოლიოს მოხელე ქრთამის აღებაში იმ მიზნით, რომ მისი აღების დროს ამხილოს იგი და მიაცემინოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გამოძალვის შემთხვევაში, მატერიალური სიკეთის იურიდიული ბედის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ პირი მავნე შედეგის თავიდან აცილების მიზნით, იძულებული გახდა თავისი კანონიერი ინტერესების გადასარჩენად გამომძალველისთვის გადაეცა ფული და სხვა სიკეთე და აღნიშნულ შემთხვევაში, ქრთამის საგნის უკან დაბრუნების საკითხი მფლობელის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

კორუფციული ხასიათის ქმედების არანაკლებ ნიშანდობლივი გამოხატულების ნორმის მაგალითს წარმოადგენს კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221). მოცემული შემადგენლობა განსხვავდება ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემისაგან (მუხ. 338-339), როგორც დანაშაულის სუბიექტით, ისე კანონით დაცული ინტერესის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, იგი აგებულია ქრთამის აღება-მიცემის ანალოგიურად, კანონმდებელი ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ განსხვავებაზე, რომელიც ქრთამის ამღების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ერთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საჯარო სამართლის სუბიექტთან, რომელიც სახელმწიფოს სახელით გამოდის, ხოლო მეორე შემთხვევაში კერძო სამართლის სუბიექტთან, როგორც სახელშეკრულებო და სხვა ურთიერთობების მონაწილე მხარესთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის პროცესში ყალიბდება, საბოლოო ჯამში ისინი საჯარო სამართლის მოთხოვნებს ექვემდებარება.

მომსყიდველი პირის მიზანი უკავშირდება განსაზღვრული სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებას იმ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში, სადაც მუშაობს მოსყიდვის საგნის მიმღები პირი. კომერციული მოსყიდვისათვის პასუხისმგებლობას გამორიცხავს ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაბამისი საგანი, წინასწარი შეთანხმების გარეშე გადაიცემა ან მიიღება მაღლიერების ნიშნად, უკვე გაწეული მომსახურების შემდეგ.

განსახილველი მუხლი კონსტრუქციის მიხედვით სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობათა მსგავსადაა

აგებული (იგულისხმება სსკ-ის 338-339 მუხლები). ამასთან, კომერციული მოსყიდვა სამოხელეო დანაშაულის თავისგან განსხვავებით, ქრთამის საგნის აღებასა და მიცემას ერთ შემადგენლობაში აერთიანებს. ეს შემადგენლობებია: მოსყიდვა – უკანონო გასამრჯელოს მიცემა (მუხ. 221. 1-2 ნაწილი) და მოსყიდვა – უკანონო გასამრჯელოს მიღება (მუხ. 221. 3-4 ნაწილები).

კორუფციული ხასიათის დანაშაულთა ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მათი ჩადენა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. აღნიშნული ტიპის დანაშაულთა სუბიექტური მხარე, ძირითადად, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, თუმცა ცალკეული შემადგენლობები შესაძლებელია არაპირდაპირ განზრახვაშიც გამოიხატოს (მაგალითად, სსკ-ის 220-ე და 332-ე მუხლები).

კორუფციულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმრავლეს შემთხვევაში უშუალოდ ქმედების განხორციელებას და არა შედეგის დადგომას უკავშირდება. აღნიშნულთან კავშირში, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დასკვნას იმის თაობაზე, რომ მეტწილ კორუფციულ დანაშაულებრივ ხელყოფათა მიმართებაში, სამართალმწარმოებელ ორგანოს არ მოეთხოვება დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის დადგენა. სისხლის სამართლის ნორმის ამგვარი კონსტრუქცია, თავისი სიცხადიდან გამომდინარე, მისაღებია უფრო სამართალგამოყენების თვალსაზრისით, ხოლო რაც შეეხება თეორიულ მხარეს, იგი გარკვეულ წინააღმდეგობრივ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით კორუფციის მთელი რიგი ნორმები (მუხ. 221, 338, 339, 339¹) ფორმალუ-

რი შემადგენლობებისაა, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნულ შემადგენლობებში კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი რეგულაციის სფეროში აქცევს თავად მოსყიდვის საგნის შეთავაზებისა და დაპირების შემთხვევებს. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილების გამო მექრთამეობა და კომერციული მოსყიდვა ვერბალურ დანაშაულად იქცა, ე.ი. კანონმდებელმა ქმედების კრიმინალიზაცია წინარე ეტაპზე მოახდინა, რითაც გაუმართლებლად გაამკაცრა სისხლისსამართლებრივი რეპრესია და მეტისმეტად დიდი ნდობა გამოუცხადა მას. კანონმდებლის აღნიშნული პოზიცია ჩვენი აზრით არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად რამდენიმე მოსაზრების გამო:

1. რადგან ქრთამის აღება (ან მიცემა) დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნის ან შეთავაზების მიღების (შესაბამისად მისი შეთავაზების) მომენტიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი მოხელე ამ ქმედების განხორციელების (პირობის დადების) შემდეგ გადაიფიქრებს ქრთამის აღებას და უარს ეტყვის ქრთამის მიმცემს მის აღებაზე, იგი მაინც არ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რაც მას უკარგავს სტიმულს ხელი აიღოს მის განხორციელებაზე (იგივე ითქმის ქრთამის მიმცემზე).

ასეთი ვითარება ეწინააღმდეგება სსკ. 21-ე მუხლის დანიშნულებას, რომლის მიხედვით მთავარია, დანაშაულის წამომწყებმა არ ხელყოს სამართლებრივი სიკეთე და არ დაამთავროს დანაშაული. ე.წ. „ოქროს ხიდის თეორია“ პირს საშუალებას აძლევს დამთავრებული მცდელობის (თუნდაც მკვლელობის მცდელობის) სტადიიდანაც კი ხელი აიღოს დანაშაულზე (25-ე მუხ. 7 ნაწ.). მექრთამეობა კი ნაკლებად საშიში დანაშაულია,

ვიდრე მკვლელობა. არადა კანონმდებელმა ფაქტიურად მომზადების სტადია დამთავრებულ დანაშაულად გამოაცხადა, რითაც სრულიად უსამართლოდ შეზღუდა მოხელე, ხელი აიღოს ქრთამის აღებაზე.

2. კორუფციის შესახებ მიღებულ საერთაშორისო კონვენციებში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ სახელმწიფოებმა კორუფციასთან ბრძოლისას უნდა გაითვალისწინონ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები არ უნდა დააყენონ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებზე მაღლა.

საქმე ისაა, რომ ვინაიდან მექრთამეობა ვერბალურ დანაშაულად გადაიქცა, დღის წესრიგში დადგა მტკიცებულებათა მოპოვების საკითხი. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ამ მხრივ აქცენტი გააკეთა ფარულ ჩანაწერებსა და მოსმენებზე. არადა კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონი კრძალავს პირადი საუბრების საიდუმლოების დარღვევას.

ამრიგად, აქ საკითხი დგას ერთი მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვაზე, მეორე მხრივ კი კორუფციასთან ბრძოლის ინტერესებზე. სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებლობამ უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა, რაც არ არის გამართლებული.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული შეთავაზებისა და თანხმობის ეტაპზე დანაშაულის დამთავრებულად ცნობის საკითხი, ვინაიდან ყოვლად გაუმართლებელია, რომ პირთა შორის მიღწეული შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად, განზრახ პირობების შექმნას არ გულისხმობდეს. ამიტომ, შეთანხმება განხილულ უნდა იქნას, მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მცდელობის ან მომზადების სტადიად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დგება ჩვენი

კანონმდებლობითვე გაზიარებული ე.წ. „ოქროს ხიდის,, თეორიის არსი.

გასაანალიზებელ შემადგენლობათა მიმართებაში, შეუძლებელია არ შევეხოთ იმ ტერმინებისა და ცნებების მნიშვნელობის საკითხსაც, რომლთა შინაარსიც, მეტწილ შემთხვევაში, სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტების დეფინიციათა მეშვეობით დგინდება.

ნორმათა ბლანკეტურობის საკითხი, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, პრაქტიკაში სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობისას გ. მინკოვსკი შენიშნავს, რომ როდესაც ადგილი აქვს ერთ კანონმდებლობაში ისეთ ტერმინთა გამოყენებას, რომლთა განმარტებასაც სხვა კანონმდებლობები ადგენენ (მაგალითად, სამოქალაქო, საგადასახადო და სხვა), მათი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით. გამონაკლის შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უნდა გაკეთდეს სპეციალური მინიშნება ტერმინის განსხვავებულ მნიშვნელობაზე სხვა კანონმდებლობებთან მიმართებაში.¹

მომსყიდველი პირის პასუხისმგებლობა იზრდება, თუ მისი ქმედება დაკავშირებულია გამოძალვასთან. ხოლო ის პირი, რომელსაც ქონება გამოსძალეს ან თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან. მაშასადამე, კომერციული მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესიდან გამომ-

1 იხ. Миньковский Г.М. Проблемы применения и совершенствования уголовного закона, регулирующего борьбу с экономическими преступлениями. შრომათა კრებული. М.МВД РФ. 1995. გვ 92

დინარე, ისეთივე წესია დადგენილი, როგორც იმ პირთათვის, რომლებიც ახორციელებენ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მოსყიდვას.

სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე, 339-ე, 221-ე მუხლებით გათვალისწინებული შემაღვენლობები, საესებით სამართლიანად მიიჩნევა რთულად გასახსნელ და გამოსაძიებელ დანაშაულებად.

სამართალწარმოებით პრაქტიკაში თავს იჩენს სისხლისსამართლებრივი შემაღვენლობების კონსტრუქციულ არასრულყოფილებასთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებებიც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს რამოდენიმე შემაღვენლობას, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის. ესენია: „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ (მუხ. 220) და „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ (მუხ. 332). აღნიშნული შემაღვენლობები, როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოყენების სფეროს მიხედვით. პირველი მათგანი განეკუთვნება სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს, ხოლო მეორე გამოიყენება სახელმწიფო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. სსკ-ის 221-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ასევე ის, ვინც მუშაობს ამ ორგანიზაციაში.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ხელმძღვანელობით უფლებამოსილ სუბიექტთა შემადგენლობას ზედმიწევნით ზუსტად ჩამოთვლის. კერძოდ, აღნიშნული კანონის 9.1. მუხლი იმ პირთა წრეს განსაზღვრავს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას, ე.ი. იყვნენ 29-ე თავით გათვალისწინებულ ქმედებათა სუბიექტები (220-ე, 221-3/4 მუხლები).

კანონი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ორ ჯგუფს იცნობს. პირველ ჯგუფში შედიან: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელები, ე.ი. პარტნიორები. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა პარტნიორი, სადაც ერთ-ერთს დირექტორობის დაკისრების შემდეგ ეწოდება ხელმძღვანელ-პარტნიორი. კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლებამოსილება მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორს აქვს და მასაც ხელმძღვანელ-პარტნიორი ეწოდება. მეორე ჯგუფში შედიან: შპს, სააქციო საზოგადოება, კოპერატივი, სადაც ხელმძღვანელობის ფუნქცია დირექტორს აკისრია. დირექტორი შეიძლება იყოს ასევე გარეშე პირიც. ტერმინი „დირექტორი“ გამოიყენება იმ პირთა აღსანიშნავად, რომელთაც კანონის ძალით მინიჭებული აქვთ უფლება სამეწარმეო საზოგადოებები წარმოადგინონ მესამე პირთან ურთიერთობაში და უხელმძღვანელონ საწარმოს საქმიანობას.

რაც შეეხება წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ესეც ხელმძღვანელობითი საქმიანობის სფეროა. ხელმძღვანელები წარმოადგენენ საზოგადოებას მესამე

პირებთან ურთიერთობაში, საზოგადოების სახელით დებენ გარიგებებს. გარდა დირექტორებისა, მესამე პირთან საზოგადოება შეიძლება სხვა პირითაც იყოს წარმოდგენილი, კერძოდ, პროკურისტითა და სავაჭრო წარმომადგენლით. პროკურისტი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედება, რომელიც საწარმოს საქმიანობას უკავშირდება. მას უფლება აქვს განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რისი უფლებაც საწარმოს დირექტორს აქვს მაგალითად, სასამართლოში გამოსვლა, საწარმოს სახელით გარიგების დადება და ა.შ. წარმომადგენლობის მეორე სახე – სავაჭრო მინდობილობა, გაიცემა რაიმე კონკრეტული გარიგების დასადავად. მაგალითად პროდუქციის შექმნა, ნედლეულის გასაღება და ა.შ.

სხვა სპეციალურ უფლებამოსილების განმხორციელებელი პირი შეიძლება იყოს იურიდიული მოქმედების განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, რომელსაც საზოგადოების მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური უფლებამოსილება (რწმუნება).¹

ამრიგად, კორუფციული დანაშაულების ერთი ნაწილის ჩადენა ხდება სახელმწიფო სექტორში, ხოლო მეორე ნაწილის – კერძო სექტორში.

სახელმწიფო სექტორში ჩადენილ კორუფციული ხასიათის დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ აქ დანაშაულის სუბიექტი როგორც წესი, სპეციალურია, ეს არის მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც იმყოფებიან საჯარო

¹ იხ. მ.ლევკევიშვილი, გ. მაშულაშვილი. „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის /კომენტარი/ თბ. 1999წ. გვ.163

სამსახურში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

სახელმწიფო თანამდებობა ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, ასევე სახელმწიფო თავდაცვას.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება ამ კონსტიტუციებით.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, მთავრობის წევრი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო

დაწესებულების ხელმძღვანელი.

ამრიგად, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: 1) საქართველოს პარლამენტი; 2) საქართველოს სამთავრო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; 3) საკონსტიტუციო სასამართლო; 4) საერთო სასამართლოები; 5) საქართველოს ეროვნული ბანკი; 6) კონტროლის პალატა; 7) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები; 8) პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი აპარატი.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს – ასეთებს წარმოადგენენ მათი უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოები; აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: საკრებულოები, გამგეობა, მერია, მუნიციპალიტეტი.

საჯარო მომსახურეთაგან უნდა გამოვყოთ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მოხელე. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. იგი არაა მექრთამეობის სუბიექტი.

საჯარო სამსახურს ეწევა ასევე დამხმარე მოსამსახურე, ე.ი. ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომის

ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატიტ გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

მოხელესთან გათანაბრებულ პირად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის პირი, ვინც ღროებით ასრულებს თანამდებობრივ საქმიანობას ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, ასევე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის, სახელმწიფო თავდაცვის ორგანოებში. საქ. სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, მოხელესთან გათანაბრებული პირთა წრე საკმაოდ ფართოვდება. ეს პირები არიან: უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირები (მათ შორის საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფოს წევრები), აგრეთვე ნებისმიერი პირები, რომლებიც ასრულებენ რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირები ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული თანამშრომელი, ასევე ნებისმიერი მივლინებული ან სხვა

პირი, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელი, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლე და თანამდებობის პირები.

სახელმწიფო მოხელედ ჩაითვლება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ კი, პირი

18 წლის ასაკიდან.

ქრთამის მიცემის ან ზეგავლენით ვაჭრობის სუბიექტი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც.

რაც შეეხება კერძო სექტორში ჩადენილ კომერციულ დანაშაულებს, მათი სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირიც.

კორუფციული დანაშაულების ჩადენა ხდება ანგარების მოტივით ან პირადი ქვენა გრძნობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ:

- კორუფციული ხასიათის დანაშაულთა განვრცობილი სისხლისსამართლებრივი დახასიათება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ გასაანალიზებელი სახის დანაშაულთა სამართლებრივი ბუნების გახსნას და მათ არსში ჩაწვდომას, არამედ, ვფიქრობთ, მას სახელმძღვანელო მნიშვნელობაც ექნება.

§.2. კორუფციასთან ბრძოლის

სისხლისსამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა სრულყოფა

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ორმაგი ძალისხმევა გემართებს საჭირო მიზნის მისაღწევად. კორუფციასთან ბრძოლა და მისი ეფექტური პროფილაქტიკა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მთელი რიგი ღონისძიებების მეშვეობით, წინ აღუდგეს ამ მწვავე ნეგატიურ მოვლენას. კორუფციაზე, როგორც უმწვავეს პრობლემაზე, ძირითადი აქცენტის გადატანა იმითაა განპირობებული, რომ ქვეყანაში გახანგრძლივებული სისტემური კრიზისის პირობებში, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების სერიოზულ მადესტაბილიზირებელ ფაქტორად იქცა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი საშუალებები თავს ვერ ართმევენ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის ამოცანას, რისი მიზეზიც, მათ არასრულყოფილებაში კი არა, არამედ იმ შეზღუდულ შესაძლებლობაში უნდა ვეძიოთ, რომლის ძალითაც, ეს უკანასკნელნი, უშუალოდ ვერ ზემოქმედებენ დანაშაულობაზე და მის მიზეზებზე. მიუხედავად ამისა, მსოფლოს ბევრ ქვეყნებში და მათ შორის ჩვენთანაც, ინტენსიურად მზარდი კორუფციის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ფორმებით ბრძოლა, ჯერ კიდევ ერთადერთ, თუმცაღა ნაკლებ ეფექტურ საშუალებად რჩება.

აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებული სპე-

ციალისტებისათვის კარგად ცნობილია, რომ 90-იანი წლების ბოლოს, რადიკალურ სამართლებრივ რეფორმათა ფონზე, არაერთხელ წარმოიშვა იდეა კომპლექსური ხასიათის სპეციალური ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიღებასთან და ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. კანონპროექტის ინიციატორთა აზრით, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს უნდა გაეერთიანებინა კანონმდებლობის რამოდენიმე დარგი. მიაჩნდათ, რომ ამგვარი სამართლებრივი აქტი ხელს შეუწყობდა კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძველის მომზადებას.

ცნობილია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში წინასწარი განხილვისას, კანონპროექტის ფაქტობრივ ბლოკირებას ჰქონდა ადგილი. პრეზიდენტმა ოფიციალურად „ნეიტრალური“ პოზიცია დაიჭირა. კანონპროექტი მან იუსტიციის მინისტრს უკან დაუბრუნა შესწორებებისა და „დახვეწის“ მიზნით, რითაც მან ყველას აგრძნობინა, თუ ვის უჭერდა მხარს.

ამასთან, როგორც ეს პრაქტიკამაც ცხადყო, მსგავსი ტიპის საკანონმდებლო აქტები შეუძლებელია კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის გარანტს წარმოადგენდნენ. აშკარაა, რომ სოციალურ - ეკონომიკური ურთიერთობათა პოზიტიური რეპროდუქტივების ხელშემწყობ პირობათა უზრუნველყოფაში, უპირატესი როლი, თვით ამ ურთიერთობათა „ხარისხს“ უნდა მიენიჭოს. მიუხედავად აღნიშნული პოსტულატის ჭეშმარიტებისა, კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, უდაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლისსამართლებრივ და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა გარეშეც, ფაქტიურად შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა „ხარისხის“ საგრ-

ძნობლად გაუმჯობესებაც კი.

იმ მრავალფეროვან ზოგად (კონცეპტუალური) პრინციპებიდან, რომელზეც ბაზირებულია კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა მთელი სისტემა, ვ.ლუნევი მართებულად გამოპყოფს შემდეგ მიმართულებებს:

- ღონისძიებებს, რომლებიც ართულებენ დანაშაულთა ჩადენის პირობებს;

- ღონისძიებებს, რომლებიც ზრდიან დანაშაულთა ჩადენის რისკებს;

- ღონისძიებებს, რომლებიც ამცირებენ დანაშაულის შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობებს.¹

პირველი ჯგუფის ღონისძიებებს განეკუთვნება: კანდიდატთა სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით, საფუძვლიანი შემოწმების სისტემის ჩამოყალიბება, მათი დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა, საჯაროობის ხელშეუხებლობა, თანამდებობის პირთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე კონტროლის დაწესება, სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების რეგულარული როტაცია, თანამდებობის პირთა მიმართ აკრძალვის დაწესება ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რაშიც მათ ფინანსური ინტერესები გააჩნიათ.

მეორე ჯგუფის ღონისძიებები შეიძლება გამოიხატოს: მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, გეგმიურ და მოულოდნელ აუდიტორულ შემოწმებებსა და რევიზიებში, თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრების ქონებრივი დეკლარაციის წარდგენისა და

1 იხ. Материалы научно-практической конференции, посвященной проблемам борьбы с преступностью. М. декабрь 2000.

მათი გადამოწმების აუცილებლობაში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საკუთარი უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებაში, ძვირფას საჩუქრზე აკრძალვის დაწესებაში და ასეთის თაობაზე ახსნა განმარტების მოთხოვნის აუცილებლობაში, კორუმპირებულ პირთა მხილების ან მათ შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ თანამშრომელთა წახალისებაში, კორუმპირებულ და ორგანიზებულ დამნაშავეთა სავალდებულო ექსტრადაციის უზრუნველყოფაში საერთაშორისო დონეზე. და სხვა.

მესამე ჯგუფის ღონისძიებებში მოიაზრება: ანაზღაურების სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, პატიოსნობის წახალისება, კორუფციული ქმედებისათვის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების გარდაუვალობა, თანამდებობრივი იმუნიტეტის გაბათილება, კარიერული წინსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, პენსიონერთათვის ღირსეული პირობების შექმნა და სხვა.

კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის თვალსაზრისით, აქტიურ ანტიკორუფციულ ღონისძიებებთან ერთად, ქვეყანაში არსებული რეალობიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია ხელისუფლებისა და მთავრობის ავტორიტეტის ამაღლება და მათ მიმართ ნდობის დაბრუნება. ამჟამად არსებული ვითარების ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისადმი ნდობის ფაქტორმა საგრძნობლად იმატა, განსაკუთრებით იმ სექტორთა მიმართებაში, სადაც რეფორმები განხორციელდა, მიუხედავად ამისა მაინც ცოტას თუ სჯერა კორუფციასთან აქტიური ბრძოლის რეზულტატურობა. ქვეყანაში კორუფციის შემცირების პერსპექტივასთან მიმართებაში ოპტიმისტურად განწყობილ პირთა რაოდენობა, კვლავ მნიშვნელოვნად მცირე რჩება.

კორუფციის ღონის შემცირებასთან დაკავშირებულ

მსჯელობათა ანალიზიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ექვსი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის დონის შემცირებას. ეს ფაქტორებია:

- ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; კანონებისა და კანონიერების მკაცრი დაცვა;
- ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტებს არ აიძულებს აწარმოონ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა;
- ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება;
- ქრთამის აღებისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრება.

კორუფციასთან ბრძოლა, კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემურ მიდგომას მოითხოვს. აღნიშნულ ღონისძიებათა შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კორუფციასთან ბრძოლაში ჩართვა და მოქალაქეთა აღზრდა კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ რომ, ეს უკანასკნელი, მთელი თავისი მოცულობით, არ შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოდგეს არც სისხლის სამართლის პოლიტიკის კონცეფციათა ფორმირებისათვის, და არც სიტუაციის განვითარების მოკლევადიანი პროგნოზირებისთვის. მთელრიგ შემთხვევებში, შექმნილ ვითარებებთან მიმართებაში, მოსახლეობის განწყობის საერთო დამახასიათებელ თავისებურებად, ნებისმიერი სოციალური ბოროტებისადმი მათი მხრიდან უკომპრომისო ბრძოლის მიდრეკილება უნდა დასახელდეს.

მიმანია, რომ მოცემულ შემთხვევაში უფრო რეალისტური. საექსპერტო შეფასებებია, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია არა მხოლოდ ობიექტურად შევაფასოთ კრიმინალური სიტუაცია, არამედ მოვახდინოთ მათი პერსპექტივების პროგნოზირება და განვსაზღვროთ კონკრეტულ დანაშაულებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილების ეფექტური საშუალებები.

კომპლექსურ მეთოდთა გამოყენების შემთხვევაში (საექსპერტო შეფასება, მოდელირება, ექსტრაპოლაცია პრესის კონტენტ-ანალიზი), მეტნაკლებ ეფექტურ საშუალებათა და კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიის შერჩევას, მხოლოდ სავარაუდო ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნულ შემთხვევაში, პრაქტიკულად მთელი სირთულე, სოციალურ პროცესთა გარკვეულ ამორფულობაში მდგომარეობს, რაც იმისი მაუწყებელია, რომ აუცილებელია პროგნოზირების თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძვლების შემდგომი დახვეწა და მისი განვითარება.

იურიდიული მეცნიერება ხშირად მიმართავს ისეთი ტრადიციული მეთოდის გამოყენებას, როგორცაა პროგნოზირების მეთოდი, იგი ბუნდოვანი ლოგიკის მათემატიკურ აპარატს, არამკაფიო მრავლობითობის თეორიას ეფუძნება და ნებისმიერი სხვა მეთოდის მსგავსად, „მიახლოებითობის“ გადალახვას ცდილობენ.¹ მოცემული მეთოდი ერთხაზოვნების გადალახვის მცდელობის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. რაც ნებისმიერი მათემატიკური მეთოდის ძირითად ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს. (მხვედველობაში გვაქვს აღნიშნული მეთოდის „სოციალიზაციის“ პრობლემა). პროგნოზირე-

1 იხ. Кудрявцев В.Н. Андреев Б.В. Нечеткая логика при решении криминологических задач //Гос. И право, 1999 გვ.

ბის მეთოდთა, ვფიქრობთ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული და ამ ეტაპზე შესაძლოა „ეგზოტიკურ“ მეთოდთა რიცხვს განვაკუთვნოთ.

კორუფციასთან ბრძოლის შედეგებით ეფექტურ ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით, ვფიქრობთ, უფრო მისაღებია უკვე გადამოწმებული და აპრობირებული ისეთი მეთოდის გამოყენება, როგორცაა – საექსპერტო შეფასების მეთოდი.¹

პირველ რიგში მოცემული მეთოდის საფუძველზე შეფასებული უნდა იქნას მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის ნორმები, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ კორუფციული ხასიათის ქმედებებზე.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად საექსპერტო შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემთა მიახლოებითი ხასიათისა, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით უფრო შესაძლებელია მთელი რიგი გადაუწყვეტელი თეორიული თუ მეთოდოლოგიური პრობლემების გამოვლინება, ვიდრე ეფექტურობის მაჩვენებლის განმსაზღვრელი, რთული სტატისტიკური ტექნიკით. სამართლებრივი მხარის ეფექტურობის საკითხთან მიმართებაში, საექსპერტო შეფასების მეთოდი, საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ იმ სისხლისსამართლებრივ ნორმათა მნიშვნელოვანი თავისებურებანი, რომლებიც კორუფციული ხასიათის ქცევის ფორმებს ახასიათებთ.

სპეციალისტთა აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე,

1 მაგალითად იხ. Иберла К. Факторный анализ. Статистика. М.1980; Литвак Б.Г. Экспертные оценки и приятие решений. Патент. М. 1996; გვ.139.

როგორცაა „სისხლისსამართლებრივ აკრძალვათა შესატყვისობა მოსახლეობის მხრიდან აღქმულ, კორუფციის საშიშროების ხარისხთან“, „ქმედების ხასიათის შესატყვისი მაკვალიფიცირებელი ნიშნების არსებობა“, „შექმნილ რეალობასთან ბრძოლის კომპრომისული ბერკეტების არარსებობა“ და სხვა. როგორც ჩანს, სწორედ ეს მაჩვენებლები ასოცირდება სისხლისსამართლებრივი საშუალებებით კორუფციასთან ეფექტურ ბრძოლასთან. სპეციალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მაგალითად, ნორმათა კონკურენციის საკითხი ან/და სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებთან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება.

როგორც შემდგომმა ანალიზმა ცხადყო, ექსპერტებს სრულიად გათავისებული აქვთ ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი საშუალებებით კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ობიექტურ ხასიათს ატარებენ. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ კორუფციის ფენომენში ინდივიდის ქცევა მთავარი განმსაზღვრელი პირობაა, მაშინ არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს ქმედების სუბიექტურ მხარის დახასიათებასაც.

კორუფციასთან ბრძოლის პრობლემის სამართლებრივი მხარის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მართებულად მივიჩნევთ შემდეგი სახის ძირითადი პრინციპებისა და ღონისძიებების გამოყოფას:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კორუფციული სახის დანაშაულთა ცნების საკანონმდებლო განსაზღვრება;

2. თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის ფინანსური კონტროლის

სპეციალური სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრა, რომელიც განხილულ უნდა იქნას, მათი აუცილებელი და ნებაყოფლობითი თვითშეზღუდვის პროცედურის სახით;

3. ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაჯერება ისეთი ტიპის ნორმებით, რომლებიც მოახდენენ შესაბამის სისხლის სამართლის ნორმათა კორექსიონდირებას და კორუფციულ დანაშაულთა წინასწარი პროფილაქტიკის ფუნქციას შეასრულებენ, კორუფციული სახის დანაშაულთა შესახებ არსებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა განმარტებების პუბლიკაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კორუფციულ სამართალდარღვევის შინაარსის ფართო გაგებას, ამასთან, დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს იურისტებს კვალიფიკაციის პრობლემური საკითხების სწორედ გადაჭრასთან დაკავშირებით.

სამართლებრივ ღონისძიებათა შორის ასევე უნდა შევეხოთ ისეთ პრობლემებს, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმების დისპოზიციათა ფორმულირებისა და სანქციათა ზომების განსაზღვრას უკავშირდება. ამასთან განხილულ უნდა იქნას სამართალწარმოებითი პრაქტიკის საკითხებიც, რომელიც სისხლის სამართლის კანონის შედეგიანობაში გამოიხატება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ნეგატიურ თავისებურებას, რომელიც გასაანალიზებელ ნორმათა „არატექნოლოგიურობაში“ ვლინდება, უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნაკლი კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ მთელ რიგ შემადგენლობათა დისპოზიციებით გათვალისწინებული ნიშნების დადგენა ან მათზე მტკიცებულებათა მოპოვება, საკმაოდ დიდ

სირთულეებთანაა დაკავშირებული, ზოგჯერ კი სავსებით შეუძლებელია. მაგალითად, ასეთად უნდა ჩაითვალოს ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა (მუხ. 338-339); ზეგავლენით ვაჭრობა (მუხ. 339¹); კანონით აკრძალული საჩუქარის მიღება (მუხ. 340). აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ნორმები საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაში ძნელად გამოსაყენებელი ხდება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა ყოველმხრივი ანალიზი, საფუძველს მაძლევს დასკვნისა: დღეისთვის არსებულ სამართლებრივ ფონზე, ბევრი არსებითი პრობლემაა, რაც გარკვეულწილად საკანონმდებლო ხარვეზთა არსებობითაა განპირობებული. სპეციალისტთა აზრით, ჯერ კიდევ ბევრი სფერო რჩება კორუფციით დაავადებული. მაგალითად როგორიცაა: ნელლეულისა და მასალების სახელმწიფო შესყიდვები, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ოპერაციები, გადასახადების აკრეფვა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არაკვალიფიციური კადრების დანიშვნა, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირება და მათი რეგისტრაცია, კომერციული ბანკებისათვის სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტების გაცემა, საბაჟო წესების გვერდის ავლით იმპორტის შემოტანა, არაკანონიერ საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და შეწყვეტა, პარტიული საამომრჩევლო სიების ფორმირება და სხვა.

ეკონომიკური ურთიერთობების ანტიკორუფციული დაცვის ეფექტურ საშუალებებს უნდა განვაკუთვნოთ ღონისძიებები, რომლებიც გამოიხატება: სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩინოვნიკთათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებაში, სახელმწიფო დაკვეთების

შესრულების ღია საკონკურსო პირობების შექმნაში, საბიუჯეტო ხარჯებთან და ფინანსურ-ეკონომიკურ გარიგებებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობაში და სხვა ქმედით ღონისძიებებში.¹

აღნიშნულთან ერთად, საკანონმდებლო მექანიზმში თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარკვეულ გარანტიის როლს შეასრულებდა ისეთ ქმედებათა კრიმინალიზაცია, როგორცაა კონტრაქტებისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება სახელმწიფო ინტერესის წინააღმდეგ. მიმაჩნია, რომ ძირითადი შემადგენლობიდან აღნიშნული ნორმის ცალკე ნორმად გამოყოფა საჭიროა ზემოაღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი პირების მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამკაცრების მიზნით. ვფიქრობ, ეს ქმედებები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს,

შესაბამისი ნორმის დისპოზიცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წინასწარი შეცნობით არამომგებიანი კონტრაქტის დადება ან ამავე პირობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, –

ისჯება.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

¹ Основы государственной политики борьбы с преступностью в россии. Теоретическая модель. М. НОРМА.1997. გვ.30

- ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;
- გ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- დ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, —

ისჯება.

იმ ქმედებათა რიცხვს, რომლებიც ჩემი აზრით, სისხლისსამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ, უნდა განვაკუთვნოთ აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების უკანონო გამოყენება, რომელიც არსებით ზიანს აყენებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. აღნიშნული ნორმის დისპოზიცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების უკანონო გამოყენება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია,—

ისჯება.

სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა შემდგომი სრულყოფის მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ქრთამის აღების შემადგენლობის (მუხ. 338.) დიფერენციაციის საკითხის გადახედვა. აღნიშნული ქმედება საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში მხოლოდ ერთი მუხლითაა წარმოდგენილი, რომელიც ერთმანეთისაგან არ მიჯნავს ქრთამ — მოსყიდვასა და ქრთამ — ჯილდოს. არა/და ჩვენს კანონმდებლობაში ამგვარი დიფერენციაციის შემოღება, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სისხლისსამართლებრივ საშუალებებით კორუფციასთან ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას და მაშასადამე, აღნიშნულ ღონისძიებათა ეფექტურობის ზრდას.

ორგანიზაციულ მხარეთა საკითხის სრულყოფილად გაშუქების მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევ პრობლემათა ანალიზის წარმართვას შემდეგი სქემის მიხედვით: პირველი – კორუფციის თავიდა აცილების სისხლის სამართლის პოლიტიკის სუბიექტთა საქმიანობის განმსაზღვრელი ზოგადი (კონცეპტუალური) პრინციპების ჩამოყალიბება, მეორე – კორუფციასთან ბრძოლის უპირატესი მიმართულებების განსაზღვრის სახით ზემოაღნიშნულ სუბიექტთა საქმიანობის განსაკუთრებულ (სწორხაზოვან) სფეროთა დაფიქსირება.

სისხლის სამართლის პოლიტიკის სუბიექტთა საქმიანობის ზოგად (კონცეპტუალურ) პრინციპებს უნდა განვაკუთვნოთ დევიაციურ ქცევათა მაკორექტირებელი შემდეგი პრინციპები:

- უარის თქმა სისხლისსამართლებრივ საშუალებათა ფეტიშიზმზე, როგორც ერთადერთ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წყაროზე, რომელსაც ძალუძს შეაკავოს კორუფცია;

- სისხლის სამართლის პოლიტიკის სუბიექტების აქცენტის გადატანა კორუფციასთან ბრძოლის კომპლექსურ პროგრამათა გამოყენებაზე.

საქმის არსიდან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს თანდათანობით უარი ვთქვათ „ბრმა შეურიგებელ ბრძოლაზე“ და უპირატესობა ქმედით ღონისძიებებს მივანიჭოთ. ზემოაღნიშნულ მიდგომათა შორის პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ერთ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგომი ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად აშკარა იბულებით ზომებს მივმართავთ, მეორე შემთხვევაში, მაქსიმალურად ვითვალისწინებთ ყველა და-

ინტერესებული მხარის ინტერესებს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, პოზიტიური შედეგის მიღწევის მიზნიდან გამომდინარე, უპირატესობას კომპლექსურ ზემოქმედების საშუალებებს ვანიჭებთ.¹

იდეა იმის შესახებ, რომ კორუფციის თავიდან აცილებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სისხლისსამართლებრივ დასჯით პოლიტიკასთან მიმართებაში, დღევანდელი გადასახედიდან, თავისუფლად შეიძლება მოძველებულ აქსიომათა რიცხვს განვაკუთვნოთ. სინამდვილეში, თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა, სწორედ დამსჯელობით ღონისძიებებში ხარჯავს უფრო მეტ თანხებს, ვიდრე მის პროფილაქტიკაში. ამასთან, აზრი იმის შესახებ, რომ კორუფციის თავიდან აცილება უფრო იოლია, ვიდრე იძულებით ღონისძიებათა გატარება, მართებული შეიძლება ყოფილიყო იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება შეუზღუდავ რესურსებს ფლობს. იოლი, არ ნიშნავს იაფს. კორუფციის პროფილაქტიკა, რომელიც აღნიშნული პრობლემის კრიმინოგენურ ფაქტორთა აღმოფხვრასა და ნეიტრალიზაციას ემსახურება, გაცილებით მეტ დანახარჯებს მოითხოვს, ვიდრე უბრალო სისხლისსამართლებრივი რეპრესიები. სახელმწიფო, თავისი წლიური ბიუჯეტიდან დანაშაულობასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან თანხებს წარმართავს. პრაქტიკულად ეს ის თანხებია, რომელიც დანაშაულთა გახსნას, მათ გამოძიებასა და დამნაშავეთა საზოგადოებისაგან იზოლაციას ხმარდება. თითქმის იმდენივეა საჭირო ლატენტური მექრთამეობის გამოვლენისა და მათი თავიდან აცილების პროფილაქტიკისათვის.

¹ იხ. Амминов Д.И. Реализация уголовной политики в сфере звшиты экономики. М . Акад. Управления МВД России, 1999. გვ. 88.

აღნიშნული დილემის გადაჭრის მთელი სირთულე (თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა გამაფრთხილებელ, პრევენციულ ღონისძიებებს თუ დასჯით პოლიტიკას) სწორედ იმ ვარაუდის, ალბათობის არსებობიდან გამომდინარეობს, რომელიც ყოველთვის თან ახლავს გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ეფექტურობის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას.¹

დანაშაულის თავიდან აცილების თავისებურებათა შესახებ ჯერ კიდევ ჩ.ბეკარიამ გაამახვილა ყურადღება თავის ნაშრომში „დანაშაული და სასჯელი“. იგი მიიჩნევდა, რომ კანონის აღმასრულებელი კოლეგია, საკუთრივ, კონტროლით უნდა დაინტერესდეს და არა კანონდარღვევების ფაქტებით. რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება კოლეგიის შემადგენლობა, მით უფრო ნაკლები იქნება მათი მხრიდან კანონის უზურპაციის საშიშროება. ამასთან, საკმაოდ გართულდება პირთა მოსყიდვის შესაძლებლობაც, ვინაიდან, კოლეგიის წევრები იმავდროულად ერთმანეთს გააკონტროლებენ. რაც უფრო მცირე იქნება თითოეულის წილი ხელისუფლებაში, საკუთარი ძალაუფლების გაზრდის ინტერესი, მით უფრო დაბალი იქნება. თუკი ხელმწიფე, თავისი გარეგნული ბრწყინვალეობით, მკაცრი მითითებებითა და აკრძალვებით თავის ქვეშევრდომებს სამართლიან თუ უსამართლო გასაჩივრებაზე უარის თქმასა და არა კანონისადმი, არამედ მოსამართლეთა მიმართ შიშს მიაჩვევს, მაშინ მოგებულ დარჩება მოსამართლე და არა მოქალაქე ან/და მთლიანად

1 Основы борьбы с коррупцией (системы общегосударственной этики поведения) /Науч. Ред. С.В. Максимов и др.- М. Спарк,2000. გვ.45.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება.¹

კორუფცია, თავის მხრივ, ყოველთვის განსაზღვრულ სისტემას წარმოადგენდა, რომელის დამარცხებაც, მხოლოდ სხვა სისტემათა ზემოქმედებით იყო შესაძლებელი. მაშასადამე, ის ღონისძიებები, რომლებიც სამთავრობო დაწესებულებათა დონეზე, კორუფციის წინააღმდეგაა მიმართული, მჭიდროდ უნდა იყოს გადაჯაჭვული სხვა ანტიკორუფციულ სისტემატიზირებულ კონცეფციებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით გასაგები და ნათელია იმ მეცნიერთა ძალისხმევა, რომლებიც ცდილობენ გაანალიზონ ზოგადპრევენციულ ღონისძიებათა კომპლექსური მექანიზმები. აღნიშნულ კვლევათა სტრატეგიულ მიზანს, როგორც ჩანს, დანაშაულობაზე ზემოქმედების ეფექტური და სოციალურად სასარგებლო მოდელის ძიება წარმოადგენს.

სისხლის სამართლის პოლიტიკის სუბიექტთა ძირითადი ამოცანა იყო და დღესაც რჩება კორუფციის მაკროკრიმინალური დონის პროფილაქტიკასა (კორუფციის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენისადმი დაკავშირებული კრიმინოგენური სიტუაცია) და აღნიშნული მიმართულების ცალკეულ დანაშაულებრივ ხელყოფის ფაქტებს შორის აქცენტის სწორედ გადანაწილება. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, შესაბამის დონეებს შორის ურთიერთდამოკიდებულობის საკითხიც, როგორც დანაშაულობასა და ცალკეულ დანაშაულთა შორის ურთიერთკავშირი.

¹ Беккариа Ч.О.Преступлениях и наказаниях. М.Стелс, 1995. გვ. 238.

გასაანალიზებელ პრობლემასთან მიმართებაში, შეუძლებელია გვერდი აუარო მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხს, რომელიც ერთერთი ურთულესი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის თვალსაზრისით. ისეთი იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება, როგორცაა: დარწმუნების, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები, შესაძლებლობას იძლევა მოსახლეობას ჩამოუყალიბოთ ანტიკრიმინალური სოციალური ოპტიმიზმი, კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის რწმენა, დაძლეულ იქნას დანაშაულებრივი სამყაროს წინაშე შიშის ფაქტორი, აღმოფხვრას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეგნებაში გამჯდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სრულად და საბოლოოდ მოიშალა სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი კორუფციაზე. ამავდროულად, საზოგადოებაში კულტურის დონის ამაღლების მიზნით, საჭიროა მიღებულ იქნას რადიკალური ზომები. შეიზღუდოს და თანდათანობით გადაიღახოს სამართლებრივი ნიჰილიზმი, აღდგეს და განმტკიცდეს დანაშაულთან მიმართებაში მწვავე შეფასების კრიტერიუმები. დაძლეულ იქნას კრიმინალური ეგოიზმი და ცალკეული გადახრითი თუ დანაშაულებრივი ქცევების მიმართ საზოგადოებაში (განსაკუთრებით ახალგაზრდების თვალში) არსებული შეხედულებები მათი ამორალურობის დასაშვებლობისა და მეტიც, მათი მიმზიდველობის თაობაზე. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ზემოქმედების გზით მთლიანად უნდა გამოირიცხოს ცივილიზაციის ნორმებთან შეუთავსებლობა და მოხდეს იმ სხვაობათა ნიველირება, რომელიც ამორალურსა და მორალურს, დანაშაულებრივსა და არადანაშაულებრივს შორის

არსებობს.

დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შორის ძალზედ აქტუალურია იმ ორგანიზაციული, ეკონომიკური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური, კონსულტაციური და სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებათა სისტემების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ყოველმხრივ და ობიექტურ ინფორმირებას საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრებისა და მისი აქტუალური ორიენტაციების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შემდეგი სახის ამოცანათა გადაიჭრა:

- მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მხრიდან სამართლებრივი რეალობის ადეკვატური ასახვა;

- სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევა, სამართლისა და სამართალმწარმოების პრაქტიკისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულების უზრუნველყოფა;

- უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში მოსახლეობის აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბება, კანონიერებისა და მართლწესრიგის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამომუშავება;

- სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის ობიექტურად გაშუქება. საზოგადოებრივ შეგნებაში სამართალმწარმოებელ ორგანოთა პოზიტიური სახის შექმნა.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრისათვის საჭიროა: სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისა და მართლწესრიგის შესახებ, საზოგადოებისა და მისი საქმიანობის კონტროლი და სხვა. მაგალითად, თომას

ჯეფერსონის აზრით, პრესის თავისუფლება — ეს მუდმივ სიფხიზლეს და საკუთარი მთავრობის კორუფციისაგან დაცვის მოვალეობას ნიშნავს.

დანაშულოების თავიდან აცილების პრობლემა მჭიდრო კავშირშია სოციალური კონტროლის სისტემასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას სოციალური კონტროლის ისეთი ფორმების განვითარებისაკენ შეგნებული ლტოლვის ასპექტებს, რომლებიც სისხლის სამართლის სისტემას არ უკავშირდება.

აღნიშნული მიდგომა, სოციალური კონტროლის დონისა და მის სახეობათა ცვალებადობაში რეალიზდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კორუფციულ გამოვლინებებს ცალკეულ პირთა ქცევას მივაწერთ და დავაკისრებთ შესაბამის პასუხისმგებლობას, სისხლისსამართლებრივი დასჯის მიღმა, მაინც რჩება ზემოქმედების ფართო დიაპაზონი, რომელიც ამ უკანასკნელისაგან აშკარად განსხვავდება.

მაგალითად, დ. ბლეკი „სოციალურ კონტროლს“ მოვლენებისადმი ნორმატიული მიდგომის სახით განიხილავს, რომელსაც იგი ცალკეული პირებისადმი მომხდარზე რეაქციის მიწერით ხსნის, რაც თავისთავად, სოციალურ კონტროლში ნორმატიულ ელემენტთა არსებობას გულისხმობს. მომხდარზე რეაქციის ყველა იურიდიული პასუხისმგებლობის სახე (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური), სოციალური კონტროლის ფორმებს წარმოადგენენ.¹

აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს ფ. გ. მაკლინტოკიც, რომელიც მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ რეგულატორთა

1 oh. Black D. The behaviour of lav. Academic Precc. 1976.

გამოყენებისას, საზოგადოება და სახელმწიფო ვალდებულია თვალი მიადევნოს ნეგატიურ ეფექტებს და დროულად მიიღოს მათი ლიკვიდაციის ზომები. ¹

ე.წ. „გადახრითი ქცევის“ პროგრამები, რომლებიც კრიმინალური კომფლიქტების მოგვარებას სამართლებრივ სისტემათა მიღმა გვთავაზობენ, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მომგებიანი და არანაკლებ ეფექტურია. აქედან გამომდინარე, იუსტიციის ორგანოებმა, სასურველია, განიხილონ ისინი, როგორც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ალტერნატიული ღონისძიებები და მათი პრაქტიკაში ფართოდ გამოყენების მიზნით, გააუქმონ ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციული ბარიერები. ²

კორუფციულ დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციალური ორგანიზაციული ღონისძიებები:

1. ცენტრალური და რეგიონალური სარეგისტრაციო დაწესებულებათა შექმნა, სადაც მოხდება კორუფციულ სამართალდამრღვევ პირთა რეგისტრაცია და რომელთა მიმართ, კანონის თანახმად, გავრცელდება შეზღუდვა სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში მათი თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით;

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის პრიორიტეტული დეკლარირების სისტემის ამოქმედება;

3. სახელმწიფო აპარატში დასაქმებულ პირთა რი-

1 იხ. Macclintock F. H. Children in trouble in Scotland, Some issues, Yaucreson, 1979.

2 როგორც გამოკვლევა ცხადყოფს, დანაშაულსა და სამოქალაქო-სამართლებრივ დელიქტებს შორის საზღვრები პირობითია და ისტორიული თვითმყოფადობით განისაზღვრება.

ცხოვნების აღმრიცხველი და მისი შენარჩუნების მექანიზმის განსაზღვრა, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან პროპორციაში;

4. სახელმწიფო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ყოველწლიურ მონაცემთა გამოქვეყნების პრაქტიკის დამკვიდრება;

5. სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოთა საქმიანობის შეფასების საზოგადოებრივი აზრის პერიოდული მონიტორინგის სისტემის შემოღება.

კორუფციასთან ბრძოლის დადებითი შედეგების განხორციელებას ხელს შეუწყობს აგრეთვე ისეთი ღონისძიებები, როგორცაა:

- არაფრის მომტანი, გაუმართლებელი ლიცენზირების პროცედურების გაუქმება;
- საგადასახადო სისტემის გამარტივება;
- ისეთი სამუშაო ადგილების შექმნა, რომელსაც დააფასებს მოხელე და მისი დაკარგვის შიშით, თავს შეიკავებს ქრთამის აღებისგან.

კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შორის არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალურ საფინანსო ღონისძიებათა გატარებას. აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში, საჭიროა შემუშავდეს სპეციალური დებულებები, რომებიც განსაზღვრავენ კორუფციის შედეგად მიღებული ქონების, შემოსავლების დაყადაღებისა და მათი კონფისკაციის საკითხებს.

ასეთ ღონისძიებათა შორის შეიძლება დასახელდეს:

1. ნაღდი ანგარიშსწორებით გზით ფულის მიმოქცევის შეზღუდვა, ფინანსური საქმიანობის სუბიექტთათვის კანონის საფუძველზე ვალდებულების დაკისრება, დოკუმენტალურად დააფიქსირონ ყველა მსხვილი ფულადი ოპერაცია მკაცრად დადგენილი ლიმიტის

ფარგლებში;

2. ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლებისა და გასავლების კონტროლის მექანიზმის უწყვეტ ფუნქციონირებას, რისი მეშვეობითაც გაკონტროლდება საპრივატიზაციო ქონების შეძენისას თანხების წარმომავლობა და მათი აუცილებელი დეკლარირება. აგრეთვე ღონისძიებები, რომლებიც გაამკაცრებენ პასუხისმგებლობას ქონებრივი დეკლარაციის წარმოუდგენლობისთვის, გადასახადებისაგან თავის არიდებისთვის და სხვა ნებისმიერი ფორმით მიღებული შემოსავლების დაფარვისათვის;

3. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კონტროლის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სისტემათა სრულყოფა;

4. სამართალდამცავ ორგანოთა მიერ, კომერციულ და საბანკო საიდუმლოებების, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

5. თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების იმ საიმედო დასაყრდენთა გამოაშკარავება, რომელიც ყიდვა-გაყიდვას, საცხოვრებელი ბინების საგარანტიოდ ჩადებას, მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის სესხების გაცემას უკავშირდება.;

6. ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას. ცდილობენ წინ აღუდგნენ გადაჭარბებულ ლიბერალურ პოლიტიკას საზღვარგარეთის ქვეყნებში ფერადი ლითონისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მასალებისა და ნედლეულის უკანონო გადინებას;

7. ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებათა დაცვას.

ჩვენს მიერ განხილული ზემოაღნიშნული პრობლემები, რომელთა ანალიზი ძირითადად საექსპერტო გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა, შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ კორუფციის ფენომენტან დაკავშირებული კრიმინალური სიტუაციის შესაძლო სცენარით განვითარების პროგნოზირება:

- სამართლებრივი ნიჰილიზმის ზრდა, რომელიც თანმდევი მოვლენაა კანონსა და სუვერენიტეტს შორის გამუდმებული „ომისა“;

- კორუფციულ დანაშაულთა ბუნდოვანი სამართლებრივი რეგულირებიდან გამომდინარე, შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების გაზრდილი რაოდენობა;

- სამართალდამცავ ორგანოთა არასათანადო უზრუნველყოფა მეთოდოლოგიური, მატერიალური და საკადრო რესურსებით;

- სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების პროფესიონალური და ფსიქოლოგიური მომზადების ღონის დაქვეითება;

- ზემდგომი სტრუქტურებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან მმართველობითი კონტროლის შესუსტება.

აღნიშნულ ვითარებას სულ უფრო გაამწვავებს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მხრიდან სისტემატიურად იმ ფაქტზე ხაზგასმა, რომ სამართალდამცავი ორგანოები უძლურნი არიან წინ აღუდგნენ კორუფციულ გამოვლინებებს. რის გამოც, საზოგადოების ერთ ნაწილში ჩამოყალიბდება უიმედობის განცდისა და პასიურობის ატმოსფერო, ხოლო მეორე ნაწილში ეგოიზმის ინდივიდუალური პოზიცია დაისადგურებს.

სამართალდამცავი ორგანოების გადატვირთული სამუშაო გრაფიკის ხარჯზე, კვლავ გაიზრდება ლატენტურ

დანაშაულობა დონე, რაც ზედაპირული დაკვირვებით, აშკარად შენიღბავს დანაშაულობის რეალურ ტენდენციებსა და მის ჭკმსარიტ მასშტაბებს.

ზემოაღნიშნულ სიტუაციასთან მოსახლეობის მსობრივი შეკუების ფაქტით ექსტრაპოლაცია ხდება კორუფციული ხასიათის დანაშაულობა მაღალი კრიმინალური დონის შენარჩუნებისა. თავის მხრივ, არაკრიტიკული დამოკიდებულება სტატისტიკურ ცვლილებებთან მიმართებაში და მისგან გამომდინარე, დანაშაულობის რეალური მასშტაბების იგნორირება, მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების გამოყოფისის პროცესში. უკუკავშირების სქემის თანახმად, აღნიშნული დანაშაულობის ზრდის დამატებით სტიმულს იძლევა.

და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- სისხლის სამართლის საკანონმდებლო საშუალებები მისი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, თავს ვერ ართმევენ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის ამოცანას. აღნიშნული შეზღუდვა იმაში გამოიხატება, რომ ისინი უშუალოდ ვერ ზემოქმედებენ დანაშაულობასა და მის მიზეზებზე;

- ერთიანი საკანონმდებლო აქტის არსებობა, რომელშიც რეგლამენტირებულია კორუფციასთან ბრძოლის ყველა საკითხი, სრულებითაც არ წარმოადგენს ამგვარი ბრძოლის წარმატების გარანტს. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეპროდუქტირების უზრუნველყოფაში ფუნქციონალური როლი, თვით ამ ურთიერთობათა „ხარისხს“ უნდა მიენიჭოს;

- კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა ბაზირებულ უნდა იქნას შემდეგ მიმართულებებზე: 1). ღონისძიებები, რომლებიც ართულებენ დანაშაულის ჩადენის პირობებს, 2). ღონისძიებები, რომლებიც ზრდიან

დანაშაულის ჩადენის რისკებს, 3). ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ დანაშაულის შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობებს;

- კორუფციულ დანაშაულთა პასუხისმგებლობის ამსახველ სისხლის სამართლის ნორმათა ძირითადი ნაკლოვანება გამოიხატება შემდეგში: პირველი – მათ არასრულ „ტექნოლოგიურობაში“, მეორე – ქმედების შემადგენლობათა ბუნდოვანებაში, მესამე – ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო რეკომენდაციებისა და მითითებების გაუაზრებლად გადმოტანაში;

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ისეთი ნაირსახეობის სპეციალური ნორმის სახით შემოღების აუცილებლობა, როგორცაა, კონტრაქტის დადებისას და სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების ხელყოფა.

- აუცილებელ ღონისძიებად გვესახება ისეთი ქმედების კრიმინალიზაცია, როგორცაა სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების უკანონო გამოყენება.

- სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა შემდგომი სრულყოფის მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ქრთამის აღების (მუხ. 338) შემადგენლობის დიფერენციაციის საკითხის გადახედვას. კერძოდ, აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემულ შემადგენლობაში აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ქრთამი, როგორც მოსყიდვა და ქრთამი, როგორც ჯილდო. მოქმედ კანონმდებლობაში ამგვარ განსხვავებათა არსებობა, ვფიქრობ ხელს შეუწყობს სისხლის სამართლებრივი საშუალებებით კორუფციასთან ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას და მამასადამე, აღნიშნულ ღონისძიებათა ეფექტურობის ზრდას.

**§.3. კორუფციულ დანაშაულთა
სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობა ევროპის ქვეყნების
კანონმდებლობათა მიხედვით
(შედარებითი სამართლებრივი ანალიზი)**

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობათა ანალიზი კორუფციულ დანაშაულთა პასუხისმგებლობის შესახებ, რიგი შენიშვნების კონსტატაციას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური ქვეყნების კანონმდებლობები (გამონაკლისის გარეშე) სხვადასხვა სახის კორუფციულ ქმედებათა მარეგულირებელ ნორმებს შეიცავენ. აქედან, ზოგიერთი ქვეყნის (ინგლისი, იტალია და სხვა) კანონმდებლობა აღნიშნული სახის დანაშაულებრივ შემადგენლობებს „კორუფციულს“ უწოდებს, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ესპანეთი, საფრანგეთი, საქართველო, რუსეთი და ა.შ ტერმინი, „კორუფცია“ არ გამოიყენება. კორუფციულ დანაშაულთა შესაბამის ფორმულირებათა მრავალფეროვნება, გამარტივების თვალსაზრისით შესაძლებელია დაყვანილ იქნას ორ კლასიკურ შემადგენლობათა კონსტრუქციულ „ვარიაციამდე“: 1) სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ანგარებითი ან სხვა პირადი მიზნით, 2) მექრთამეობა (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და შუამავლობა ამგვარ ქმედებაში).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდის ევროპაში, კანონმდებლობათა დაახლოვების აშკარა ტენდენცია შეინიშნება. რაც თავის მხრივ, მათ შორის პრინციპულ სხვაობათა გაბათილების სურვილითაა განპირობებული. ყოველივე ზემოაღნიშნულის ნათელი

დადასტურებაა 1999 წლის 27 იანვარს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული კონვენცია – „კორუფციაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. აღნიშნული კონვენციის პრეამბულის თანახმად: ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ამ კონვენციის შემუშავებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს „მტკიცედ სწამთ, რომ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა საჭიროებს ფართო, სწრაფ და კარგად ფუნქციონირებად საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივ საკითხებში...“ ამასთან, კონვენცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და სხვა მონაწილე მხარეებს ავალდებულებს, ეროვნულ კანონმდებლობებში ასახონ ის საერთო ევროპული ნორმები, რომლებიც კორუფციულ დანაშაულთა პასუხისმგებლობის საკითხებს შეეხებიან. კონვენციის მიღებისას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თხოვნით მიმართა მხარეებს – მოეხდინათ ვალდებულებათა მაქსიმალური უნიფიცირება, შესაძლო შენიშვნების მინიმუმამდე დაყვანის გზით რაც ბუნებრივია, შიდა სამართალში მხარეთა თავისუფალი მოქმედებისა და ამპლიფიკაციის საზღვრების შეზღუდვას იწვევს.

საკანონმდებლო ფორმულირებათა სახესხვაობანი. ზემოაღნიშნულ სახესხვაობებს სისხლის სამართლის შემადგენლობათა ფორმულირებისას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს კანონმდებლობის მიერ ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა კაზუალური და აბსტრაქტული მეთოდები. ერთ შემთხვევაში კანონმდებელი ცდილობს, სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში კონკრეტულ სიტუაციათა ზღვრული ოდენობის აღმოჩენას, ხოლო სხვა შემთხვევაში გვაროვნული ხასიათის ნიშანთა განზოგადების ხერხს მიმართავს. ამ მეთოდთაგან თითოეულს ახასიათებს, როგორც

დადებით ისე უარყოფითი მხარეები. კაზუალური მეთოდის დადებით მხარეზე მიანიშნებს შესაბამის ფორმულირებათა უკიდურესი კონკრეტულობა, რაც მათ კონკრეტულ-საგნობრივ სიტუაციებთან აკავშირებთ, როგორც აღნიშნულ ფორმულირებათა გამოყენების საფუძველთან. (იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მოცემულ შემთხვევაში) თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ღირსება ზოგ შემთხვევაში ნაკლოვანებაში შეიძლება ტრანსფორმირდეს, რამდენადაც დანაშაულებრივი ქცევის ვარიანტთა კონკრეტიკამ, შესაძლოა გარკვეულ ხარვეზებამდეც კი მიგვიყვანოს. კერძოდ, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცული არ აღმოჩნდეს შესაბამისი ინტერესი.

აბსტრაქტული მეთოდი, კაზუალურისაგან განსხვავებით, ნორმის შემფარდებელ სუბიექტს (სასამართლოს) შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად გაითვალისწინოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და ამასთან, ცხოვრებისეული ყოფის ცვალებადობის მოთხოვნები, სწორედ ამაში მდგომარეობს აღნიშნული მეთოდის ღირსებაც; იგი ხელს უწყობს კანონმდებლობის ცხოვრების დინამიზმთან შეხამებასა და თითქმის ხარვეზის გარეშე წარმოაჩენს სისხლის სამართალს.

აღნიშნული მეთოდი კაზუალურისაგან განსხვავებით, გარკვეულ სირთულეებსაც წარმოშობს პრაქტიკაში დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისით. მაშასადამე, საკმაოდ რთულია, ვიმსჯელოთ ერთი ან მეორე მეთოდის უპირატესობაზე. მთავარია მათი შეთავაზება იმდენად გონივრულად მოხდეს, რომ ხარვეზთა შესაძლო შემთხვევები მინიმუმადე იქნას დაყვანილი.

თანამდებობის ბოროტად გამოყენების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ყველაზე აბსტრაქტული კონსტრუირების მაგალითს წარმოადგენს პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლი: „ვინც საჯარო ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით იღებს ქონებრივ ან პირად სარგებელს, აძლევს დაპირებას და სურს ამგვარი გამორჩენა, ექვემდებარება სასჯელს...” პასუხისმგებლობა ამგვარ ქმედებაზე საგრძნობლად მკაცრდება, თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, იმავდროულად რაიმე სპეციალურ საკანონმდებლო მითითებას არღვევს. იმ შემთხვევაში, თუ პირი საჯარო ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით იღებს მნიშვნელოვანი ღირებულების ქონებრივ სარგებელს ან ამგვარ დაპირებას — უფრო მკაცრი სასჯელი გაითვალისწინება. (მუხ. 228.5.).

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსში, სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს ნორმა, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს თანამდებობის პირის უმოქმედობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის: „თანამდებობის პირი, რომელიც აჭარბებს სამსახურეობრივ უფლებამოსილებას ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს — მოქმედებს რა, საჯარო ან კერძო ინტერესების საზიანოდ... ქონებრივი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით — ექვემდებარება სასჯელს...” (მუხ. 231.2.). ამავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებაში ან ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებში საქმეზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ შუამავლობაზე, რომელიც ხორციელდება ქონებრივი სარგებლის ან ამგვარი დაპირების მიღების მიზნით, —

დაწესებულია განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ კორუფციულ ქმედებათა ამსახველი ზემოაღნიშნული ნორმები თითქმის ამ სახის ქმედებათა ყველა შესაძლო შემთხვევებს მოიცავენ, ისე, რომ არ ახდენენ გამიჯვნას თანამდებობის ბოროტად გამოყენების ზოგად შემადგელობასა და მის სპეციალურ ნაირსახეობას – ქრთამის აღებას შორის.

აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსი, ითვალისწინებს, რა იმ გარემოებას, რომ კორუფციულ დანაშაულში ყოველთვის ფიგურირებს ორი მხარე – „მომსყიდველი“ და „მოსყიდული“ – აწესებს პასუხისმგებლობას, საჯარო ფუნქციის შემსრულებელ პირთათვის ქონებრივი ან პირადი სარგებლის შეთავაზებისა და შეპირებისათვის. (მუხ. 229)

უფრო ტიპიურია კანონმდებლობები, რომლებიც კორუფციულ დანაშაულთა გამიჯვნას ახდენენ საკუთრივ სამოხელეო (თანამდებობრივ) დანაშაულებად და ქრთამის აღებად. ასე მაგალითად, შვედეთის სსკ-ის მეოცე თავის პირველი განყოფილება, სასჯელს აწესებს იმ პირებზე, რომლებიც წინასწარი განზრახვით იყენებენ საჯარო უფლებამოსილებას, ამით აყენებენ რა ზიანს საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან, კანონმდებელი სპეციალურ მინიშნებაში დასძენს, რომ ამგვარი ქმედებების სიმძიმე, თვით თანამდებობის ბოროტად გამოყენების სერიოზულობის ხარისხთანაა დაკავშირებული.

შვედეთის სსკ-ის მე-20 თავის მეორე განყოფილება კი პასუხისმგებლობას აწესებს თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებისთვის. შესაბამისი ნორმის თანახმად მოხელე, რომელიც იღებს, აძლევს დაპირებას, ითხოვს

ქრთამს ან კანონით აკრძალულ სხვა რაიმე ჯილდოს — ისჯება, როგორც ქრთამის ამღები. ამასთან, ირკვევა რომ აღნიშნული შემადგენლობა, არ იტვირთება ისეთი დეტალებით, როგორცაა ქრთამის აღება გარკვეული მოქმედების შესრულების შემდეგ თუ შესრულებამდე, მოქმედებითა თუ უმოქმედობით.

ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღების რამოდენიმე ნაირსახეობას გამოჰყოფს. რიგ სახელმწიფოთა კანონმდებლობებში, უპირატესად თანამდებობის ბოროტად გამოყენების ამსახველი ნორმებია დიფერენცირებული, ხოლო სხვა ქვეყნების შიდა სამართალში კი ქრთამის აღებასთან დაკავშირებული აკრძალვები სჭარბობენ. ასე მაგალითად, შვეიცარიის სსკ-ში თანამდებობის ბოროტად გამოყენების ამსახველი სამი ნორმაა განთავსებული. 312-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას — ხელისუფლების რომელიმე ორგანოს წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ, მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით ზიანის მიყენებაში. გაცილებით სპეციფიკური დებულებებია ჩამოყალიბებული იმავე კოდექსის 313-ე და 314-ე მუხლებში. კერძოდ, 313-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს თანამდებობის პირის მიერ, ანგარების მიზნით, უკანონო გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებით, როდესაც თანხა არ წარმოადგენს მის საკუთრებას ან აღმატება კანონიერ ფსონს.

314-ე მუხლი ეხება საქმის არაკეთილსინდისიერად წარმოებას. აღნიშნული შემადგენლობა ითვალისწინებს, ხელისუფლების ორგანოების წევრთა და სხვა თანამდებობის პირთა ისეთ ქმედებას, რაც მიმართულია საჯარო ინტერესების წინააღმდეგ, პირადი ან სხვა პირისათვის

უკანონო სარგებლის მიღების მიზნით.

315-ე და 316-ე მუხლები ყურადღებას ამახვილებენ ქრთამის აღების ორ ნაირსახეობაზე, კერძოდ სსკ-ის 315-ე მუხლი ახდენს ე.წ. პასიური მოსყიდვის შემადგენლობის კონსტრუირებას, რაც გამოიხატება შემდეგში: ხელისუფლების რომელიმე ორგანოს წარმომადგენელი, ან სხვა თანამდებობის პირი, ასევე ის პირები, რომლებიც მართლმსაჯულებას ახორციელებენ; სამედიცინო მოსამართლეები, ოფიციალური ექსპერტები, თარჯიმნები – პასუხისგებაში მიეცემიან ქმედებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება მათ სამსახურებრივ ვალდებულებას, კერძოდ წინასწარ მოითხოვენ, იღებენ ან აიძულებენ საჩუქრის ან რაიმე სარგებლის დაპირებას, რაზეც მათ არ გააჩნიათ კანონიერი უფლება. ამასთან პასუხისმგებლობა მკაცრდება, თუ თანამდებობის პირი სამსახურებრივ ვალდებულებას არღვევს – მოსყიდვის შემდგომ.

ქრთამის აღების ერთგვარ ნაირსახეობაზე მიუნიშნებს 316-ე მუხლი, რომელიც ვრცელდება 315-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოქმედებენ კომპეტენციის ფარგლებში, არ არღვევენ სამსახურებრივ ვალდებულებებს, მაგრამ ამასთან – წინასწარ მოითხოვენ, იღებენ ან აიძულებენ საჩუქრის ან სხვა რაიმე სარგებლის დაპირებას, რაზეც მათ არ გააჩნიათ კანონიერი უფლება.

ამრიგად, აღნიშნულ კანონმდებლობაში ქრთამის აღების ორ სპეციალურ შემადგენლობად განთავსება განპირობებულია იმით, რომ ერთ შემთხვევაში ქრთამის აღებას თან ახლავს თანამდებობის პირის სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც არღვევს მის სამსახურებრივ ვალდებულებას, რაც ბუნებრივია მო-

მეტეზულ საშიშროებას შეიცავს, ხოლო მეორის მხრივ თანამდებობის პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევა (ქრთამის აღება) დამატებით არ წარმოშობს სხვა დანაშაულებრივ შემადგენლობას (იგულისხმება კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ქმედება).

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ქრთამის აღებად თანამდებობის პირთა მხოლოდ ისეთ ქმედებას მიიჩნევს, რაც მათ სამსახურებრივ ვალდებულებას ეწინააღმდეგება. ამ მხრივ ეს ნორმები ემსგავსება საქართველოს სსკ. 221-ე მუხლს, სადაც კომერციული მოსყიდვისათვის აუცილებელია იგი მიმართული იყოს ხელმძღვანელი პირის მიერ „თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით“ რაიმე ქმედების განხორციელებისაკენ. რაც შეეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ქრთამის ან სხვა რაიმე გასამრჯელოს მიღებას, იგი სხვა სპეციალურ მითითებებშია ტრანსფორმირებული. ასე მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მექრთამეობაში იგულისხმება თანამდებობის პირის ან სხვა საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ქრთამის მოთხოვნა, მიღება, პირობის დათქმა, მასზედ, რომ შეასრულებს ან შეასრულა გარკვეული ქმედება, რითაც დაარღვია ან დაარღვევს თავის სამსახურებრივ ვალდებულებას. იგივე ქმედება, ჩადენილი მოსამართლის, სამედიცინო მოსამართლის მიერ უმკაცრესად ისჯება.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი მექრთამეობისაგან ცალკე გამოიყოფს – სარგებლის მიღებას. აღნიშნული ნორმის თანახმად, პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ თანამდებობის პირებს, ან სხვა საჯარო ფუნქციით აღჭურვილ სუბიექტებს, რომლებიც იღებენ

დაპირებას რაიმე სარგებელზე, მოითხოვენ ან იღებენ მას ჯილდოს სახით, მასზედ რომ განახორციელეს ან უნდა განახორციელონ შესაბამისი ქმედება. იგივე ქმედებისათვის პასუხისმგებლობამკაცრდება, თუ მას სწადიან მოსამართლეები და სამედიცინო მოსამართლენი.

უკანონო სარგებლის მიღებას მექრთამეობისაგან მიჯნავს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც. კერძოდ, 432.11 მუხლის თანახმად, მექრთამეობაში იგულისხმება, ამავე ნორმით განსაზღვრულ სუბიექტთა ისეთი ქმედება, რომელიც გამოიხატება ძღვენის, საჩუქრის მიღებასა და გამოძალვაში, მასზედ რომ შეასრულოს ან თავი შეიკავოს, სამსახურეობრივი ფუნქციით გათვალისწინებული ქმედებისაგან. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი მექრთამეობას განაკუთვნებს ასევე, თანამდებობის პირთა ისეთი ანგარებითი ხასიათის ქმედებას, რომელიც ხორციელდება თანამდებობრივი ავტორიტეტის ხარჯზე, მასზედ რომ მიიღონ მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი გადაწყვეტილებით სხვა პირებისაგან თუ სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან რაიმე ჯილდო ან სხვა ფასეულობა.

რაც შეეხება უკანონო სარგებლის მიღების შემადგენლობას, იგი განსაზღვრავს სუბიექტთა მხრიდან ისეთ ქმედებას, როდესაც ისინი მოიპოვებენ, იღებენ ან ინარჩუნებენ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საწარმოთა საქმიანობაში ან რაიმე ოპერაციაში მონაწილეობის უფლებას, მაშინ, როდესაც მათ იმავდროულად ევალებათ განახორციელონ კონტროლი ან უხელმძღვანელონ ამ საწარმოთა ლიკვიდაციისა თუ გადასახადების ამოღების პროცესს.

მექრთამეობის ამსახველ ნორმათა საკმაოდ ფართე

სპექტრს გეთავაზობს ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი. აღნიშნული კანონმდებლობის 419-ე მუხლის თანახმად, მექრთამეობად ჩაითვლება თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ისეთი ქმედება, რომელიც გამოიხატება ძღვენის მეშვეობით, პირობის დათქმაში, მასზედ, რომ იგი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, განახორციელებს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, მექრთამეობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა მცირდება, თუ 419-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, დამატებით არ წარმოშობს სხვა დანაშაულებრივ შემაღვენლობას. 421-ე მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ თანამდებობის პირებს, რომელთა მიერ გამოძალული, მიღებული ან შეპირებული ძღვენი, საჩუქარი ან სხვა რაიმე სარგებლის მიღება მიზნად ისახავდა ამ უკანასკნელთა მხრიდან ისეთ ქმედებაზე უარის თქმას, რაც მათ თანამდებობრივი გავლენის ძალით უნდა შეესრულებინათ. 422-ე მუხლის თანახმად კი პასუხისგებაში მიეცემიან, 419-ე და 421-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებისათვის; ნაფიცი მსაჯულები, სამედიცინო მოსამართლეები, ექსპერტები და ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ საჯარო ფუნქციის განხორციელებაში. ესპანეთის ს.ს.კ-ის 425-ე მუხლი პასუხისმგებლობას ავრცელებს იმ თანამდებობის პირებსა თუ სახელმწიფო მოსამსახურეებზე, რომლებიც შეეცდებიან მიიღონ ძღვენი, საჩუქარი ან უკვე მიიღეს რაიმე სარგებელი ან დაპირება მასზედ, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ ან თავი შეიკავონ რაიმე ქმედებისაგან ან თუ მიიღეს რაიმე ჯილდო უკვე შესრულებული ქმედებისთვის. ამავე კოდექსის 426-ე მუხლი არსებითად ამცირებს სას-

ჯელს, თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის ან სხვა რაიმე სარგებლის მიღებისათვის, თუ ეს უკანასკნელი, შეთავაზებულია მისი საქმიანობისადმი პატივისცემის ან ისეთი ქმედებისათვის, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს. 423-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს ქრთამის მიცემისთვის. (იგულისხმება, ძღვენი, საჩუქარი, დაპირება და სხვა). 424-ე მუხლი საგრძნობლად ამცირებს სასჯელს იგივე ქმედებისათვის, თუ ბრალდებულად აღიარებული პირის სასარგებლოდ ქრთამს გადასცემს მეუღლე ან სხვა მასთან ახლო კავშირში მყოფი პირი (აღნიშნული მუხლი სრულად ჩამოთვლის შესაბამის პირთა წრეს).

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თანამდებობის პირთა მიერ სამსახურეობრივი ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებას, მექრთამეობის შემადგენლობაში არ განათავსებს და ცალკე ფორმულირების სახით გვთავაზობს მას. ასე მაგალითად 428-ე მუხლი ადგენს: თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც სარგებლობს რა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობით, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით ზეგავლენას ახდენს მასთან პირად ან იერარქიულ კავშირში მყოფ თანამდებობის პირზე — ექვემდებარება სასჯელს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით საფრთხეს წარმოშობს კერძო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან სახელმწიფო მოხელეთა მოსყიდვის ფაქტები. ამგვარი სახის კორუფციული გამოვლინებები საკმაოდ მრავალფეროვანია და დამახასიათებელია, როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, (ევროპის, ამერიკის) ასევე საბაზრო ეკონომიკის, ჯერ კიდევ, ჩამოყალიბების

პროცესში მყოფი სახელმწიფოებისთვის (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სახელმწიფოთა სამართალშემოქმედებით გამოცდილებებს, რომელიც შიდა სამართალში, მსგავს პრობლემათა გადაჭრას, სპეციალურ შემადგენლობათა განთავსების მეშვეობით ახორციელებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ესპანეთის, საფრანგეთის, რუსეთის სისხლის სამართლებრივი პოზიციები. მაგალითად, ესპანეთის სსკ-ის 441-ე მუხლის თანახმად: პასუხისმგებლობას ექვემდებარება სახელმწიფო მოსამსახურე ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს კანონით ან წესდებით აკრძალულ პროფესიულ საქმიანობას, რაც გამოიხატება კერძო პირებისათვის ან კერძო ორგანიზაციებისათვის მათ მიერ ერთჯერადად ან მულტივალ რჩევის სახით დახმარების გაწევაში, მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები, სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მონაწილეობდნენ ან/და მონაწილეობა უნდა მიეღოთ ისეთ საკითხთა გადაჭრასთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ისინი შუამდგომლობდნენ, ინფორმაციას აწვდიდნენ, იმ დაწესებულებებსა და ორგანოებს, სადაც ისინი დასანიშნად წარიგზავნენ.

ესპანეთის სსკ-ის 442-ე მუხლი კორუფციის ისეთ სპეციალურ შემადგენლობაზე მიუთითებს, რომლის თანახმადაც, პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ თანამდებობის პირებსა და სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც, მათთვის ან სხვა პირთა ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, იმ საიდუმლო ინფორმაციის გამოყენებას მიმართავენ, რაც მათთვის ცნობილი გახდა

პროფესიული თუ სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

როგორც აღნიშნეთ, მსგავსი სახის სპეციალურ აკრძალვებს შეიცავს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც. აღნიშნული კანონმდებლობის 432.12 მუხლი პასუხისმგებლობას წარმოშობს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილება, ასრულებენ სახელმწიფო მექანიზმში შემავალი რომელიმე ორგანოს დავალებას, აღჭურვილნი არიან საზოგადოებრივი საარჩევნო მანდატით და რომლებიც უშუალოდ ან ირიბად, იძენენ, იღებენ ან ინარჩუნებენ რაიმე წილობრივი მონაწილეობის უფლებას საწარმოში და სხვადასხვა ოპერაციებში, ამავდროულად თუ მათ აკისრიათ ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ უხელმძღვანელონ ან განახორციელონ ზედამხედველობა შესაბამის საწარმოებზე ან სხვადასხვა ოპერაციებზე. აღნიშნული ნორმა ვრცელდება ასევე მერების, მისი მოადგილეების, მერის უფლებამოსილებით დელეგირებულ მუნიციპალიტეტის მრჩეველებზე – კომუნებთან დადებულ გარიგებებზე, რაც გამოიხატება: კომუნების უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემაში, მომსახურების გაწევაში, კომუნების საკუთრებაში არსებული მცირე მიწის ნაკვეთების შექენაში, მასზე მშენებლობის წარმოების ხელშეკრულებათა გაფორმებაში. კრიმინალს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზემოთხსენებულ პირთა მიერ, საკუთარი პროფესიული საქმიანობის ორგანიზებისა და განვითარების მიზნით, კომუნის კუთვნილი ქონების იმაზე ნაკლებ ფასად შექენაში, რაც სახელმწიფო ქონების სამსახურის მიერ ან მუნიციპალური საბჭოს მიერ დაწესებულ ღურებულებას არ შეესაბამება.

432.13 მუხლის თანახმად კი, პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ის საჯარო თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოსამსახურე ან წარმომადგენელი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლი კერძო საწარმოთა საქმიანობაზე, გამოთქვას მოსაზრება წარმოებულ ოპერაციებთან მიმართებაში, მაგრამ გარკვეული მიზნით მოიპოვებს უფლებას ან თანხმდება მასზედ, რომ საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს კაპიტალში წილის ჩადება თუ კონსულტაციის გაწევა. აქვე კანონმდებელი განმარტავს, რომ კერძო საწარმოს უტოლდება ნებისმიერი სახელმწიფო საწარმო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კონკურენციის სექტორში. აღნიშნული დებულება ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლებზე, ნაციონალიზირებულ საწარმოებზე, შერეული ეკონომიკის კომპანიებზე, თუ სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოებს, უშუალოდ ან ირიბად, მასში 50%-ზე მეტი კაპიტალი გააჩნიათ. ამასთან, თუ კომპანიის კაპიტალში მონაწილეობისას, აქციები კოტირებულია ბირჟაზე, ან თუ იგი მიღებული აქვს მემკვიდრეობის უფლებით – დანაშაულის შემადგენლობა არ წარმოიშვება.

საფრანგეთის სსკ-ის 432.14 მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს თანამდებობის პირის ანგარებითი ხასიათის ქმედებაზე, რომელიც ხელს უშლის კანდიდატთა მომსახურების თანასწორუფლებიან პირობებში ჩაყენებას, სახელმწიფო ორგანიზაციათა მომსახურების სფეროში ან სასაქონლო ბაზარზე. ცდილობს რა, მისთვის ან სხვა პირისათვის დაუსაბუთებელი უპირატესობის უზრუნველყოფას; რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო ან სხვა ორგანოს მიერ მიღებულ დადგენილებას.

რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ფორმალურად მიჯნავს ერთმანეთისაგან, სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს, (თავი 30) — კომერციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან (თავი 23) იმ თვალსაზრისით, რომ ეს უკანასკნელი ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება და ამდენად, ნაკლებ საშიშროების შემცველ ქმედებებს აერთიანებს. ამგვარი დასკვნის საფუძველს, მოცემულ თავებში (თავი 30 და 23) განთავსებულ ნორმათა სანქციების შედარებითი ანალიზი იძლევა.

იმ კორუფციულ დანაშაულთა რიცხვს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული განეკუთვნება რფს-ს სსკ-ით გათვალისწინებული შემდეგი ნორმები: თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 285); სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 289); ქრთამის აღება (მუხ. 290); ქრთამის მიცემა (მუხ. 231); სამსახურეობრივი სიყალბე (მუხ. 292); ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია (მუხ. 304); მოსყიდვა ან იძულება ჩვენების მიცემის ან მასზე უარის თქმის, ასევე არასწორი თარგმნისთვის (მუხ. 309 ნაწ 1); საარჩევნო უფლების განხორციელებაში ან საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხ. 141 ნაწ 2.); რაც შეეხება, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას (286 მუხ-ლი), კორუფციულ ქმედებად შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მოქმედება ანგარე-

ბით ან სხვა პირადი ინტერესების არსებობას უკავშირდება. ფედერალური სახაზინო საწარმოთა ხელმძღვანელების მოსყიდვა, (რომელთა ვალების გამო, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, თითქმის ყველა შემთხვევაში, პასუხს სახელმწიფო აგებს), ასევე, კერძო ნოტარიუსთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება — ფორმალურად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესთა უშუალო დაცვის ფარგლებს მიღმა აღმოჩნდნენ და ილუზიურად აღიქმებიან, როგორც ნაკლებად სახიფათონი.

ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია, ასევე მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა, რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს განეკუთვნება, თუმცა, უეჭველია, ისინი კორუფციული ბუნებისანი არიან.

სახელმწიფო და სხვა მოხელეთა პასუხისმგებლობის ასიმეტრიულობა, არ შეიძლება, ერთმნიშვნელოვნად, „კორუფციულ ბზარად“ იქნას აღქმული, ვინაიდან, რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოიძებნება საკმაო რაოდენობის ზოგადი ნორმა, რომლებიც, კონკრეტულ აკრძალვათა არარსებობისას, პასუხისმგებლობის შეფარდების შესაძლებლობას იძლევიან.

რაც შეეხება იმ კორუფციულ დანაშაულებს, რომლებიც ხელს უშლიან კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციათა ნორმალურ ფუნქციონირებას ანუ იმ ორგანოებს, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში, მათ რიცხვს განეკუთვნება შემდეგი სახის დანაშაულები, როგორიცაა:

პროფესიული სპორტული შეჯიბრებების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილეთა და ორგანიზატორთა მოსყიდვა (მუხ. 184); კერძო ნოტარიუსებისა და აუდიტორების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 202); კომერციული მოსყიდვა (მუხ. 204); კერძო დაცვისა და დეტექტიური სამსახურების მოსამსახურეთა მიერ უფლებამოსილების გადამეტება (მუხ. 203).

თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელმა საკმაოდ ზუსტად „გამოიცნო“ ყველა დანაშაულის კორუფციული ბუნება, რომელთა ჩადენაც სამსახურებრივ ან სხვა საჯარო სტატუსის პირადი ინტერესების ექსპლუატაციას უკავშირდება, მაშინ, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში, კორუფციულ დანაშაულთა რაოდენობა (ზემოაღნიშნულთა გარდა) 30-ს მიაღწევს.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისაგან მიჯნავს ქრთამის გამოძალვასა და უშუალოდ კორუფციას. გამოძალვის ქვეშ (მუხ. 137) იგულისხმება შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო მოხელე ან სხვა ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, აიძულებს, წააქეზებს, რათა მისცეს ან დაპირდეს რაიმე ფულადი გასამრჯელო, რომელიც მას არ ეკუთვნის.

კორუფცია, როგორც სამოხელეო დანაშაული, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილია ოთხი ვარიანტის სახით; 1) კორუფცია დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან (მუხ. 138); 2) კორუფცია დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობასთან (მუხ. 139); 3) კორუფცია დაკავშირებული სასამართლოს არამართლ-

ზომიერი გადაწყვეტილებების მიღებასთან (მუხ. 319-3); 4) კორუფცია არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მუხ. 320).

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული კორუფცია გაგებულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის სახით, რაიმე ჯილდოს ან სხვა სარგებლის მიღება ან დაპირება, მასზედ, რომ მან შეასრულა ან შეასრულებს გარკვეულ ქმედებას, სამსახურებრივ ვალდებულებათა ფარგლებში. ამასთან, პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად მცირდება, თუ თანამდებობის პირის მიერ გასამრჯელოს მიღება წინასწარ არ იყო შეთანხმებული და მან ეს ჯილდო უკვე განხორციელებული ქმედებისათვის მიიღო.

რაც შეეხება სამსახურებრივ ვალდებულებების შესრულებლობასთან დაკავშირებულ კორუფციას, კანონმდებელი მასში გულისხმობს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ, სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავებას, რაც შეიძლება საქმის შეგნებულად გაჭიანურებაში გამოიხატოს.

უფრო მკაცრი სასჯელი გაითვალისწინება სასამართლოს მიერ, სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივ საქმეებზე არამართლზომიერი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, თუ ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა, მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული კორუფცია და მათ გამომხატველ ფორმულირებათა ცალკე გამოყოფის სფეციფიკურობა, იმით აიხსნება, რომ 318-ე და 319-ე მუხლებით გათვალისწინებულ იგივე ქმედებისგან განსხვავებით, შედარებით მცირე

სასჯელს აწესებს.

კორუფციული დანაშაულთა ერთ-ერთ თავისებურებას — მხარეთა შორის შეთანხმება, ორმხრივი გარიგება წარმოადგენს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ თანამდებობის პირთა კორუფციულ ქმედებათა ამსახველი მრავალფეროვანი დეფინიციებისაგან განსხვავებით (რომლებიც საკმაო რაოდენობით მოიძებნა თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში), შედარებით მარტივადაა წარმოდგენილი მომსყიდველ მხარეთა ანალოგიური ხასიათის ქმედებების ამსახველი კონსტრუქციები, რაც საბოლოო ჯამში, ქრთამის მიცემის ან თანამდებობის პირთა მოსყიდვის სხვადასხვა ნაირსახეობამდე დაიყვანება.

ასე მაგალითად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მოსყიდვის შემადგენლობათა შემდეგ ნაირსახეობას გეთავაზობს: 423-ე მუხლის თანახმად, ის ვინც ძღვენით, საჩუქრით ან მიცემული დაპირებით, მოისყიდის ან შეეცდება მოისყიდოს თანამდებობის პირი ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურე — პასუხისმგებლობას ექვემდებარება. შედარებით მსუბუქი სასჯელია გაითვალისწინებული, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ქმედება, თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მხრიდან გამოძალვის შედეგად ხორციელდება. ამასთან, სასჯელი კიდევ უფრო მცირდება (შემოიფარგლება ჯარიმით) თუ ქრთამი ბრალდებული პირის სასარგებლოდ გადაიციმა მეუღლის ან ქორწინების მსგავს ურთიერთობაში მყოფი სხვა პირის მიერ, ასევე აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავების ან სხვა პირთაგან, რომლებიც ბრალდებულთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (მუხ. 424). 427-ე მუხლის თანახმად კი, პასუ-

ხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ გამოძალვას აკმაყოფილებს შემთხვევით და ამის შესახებ განაცხადებს შესაბამის ორგანოში ქმედებიდან არა უგვიანეს ათი დღისა.

საფრანგეთისა და პოლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლები, თანამდებობის პირთა მოსყიდვასთან დაკავშირებულ პრობლემათა მოწესრიგებას მხოლოდ ერთი ნორმის მეშვეობით ცდილობენ. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში, აღნიშნული სახის პასუხისმგებლობის საგულდაგულო რეგლამენტირება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ფუნქციის კაზუალური ფორმულირებით აიხსნება. ასე მაგალითად, 433-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ქრთამის მიცემისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომელიც სთავაზობენ ან აძლევენ დაპირებას რაიმე უპირატესობის მიცემაზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ სთავაზობენ ძღვენს, საჩუქარს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის იმ პირებს, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო აპარატის ორგანოს დავალებას ან აღჭურვილნი არიან საზოგადოებრივი საარჩევნო მანდატით, მასზედ, რომ განახორციელონ ან თავი შეიკავონ სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებულ რაიმე ქმედებაზე ან/და როდესაც ზემოაღნიშნული სუბიექტები ბოროტად იყენებენ რეალურ თუ მოჩვენებით გავლენას, რათა მიიღონ სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან რაიმე ჯილდო, თანამდებობა ან მისთვის სასურველი გადაწყვეტილება. 433-ე მუხლის 1 ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ქრთამის მიცემის ისეთ შემადგენლობაზე, როგორიცაა თანამდებობის პირის მიერ ქრთამის გამოძალვა.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ორი დამოუკიდებელი ნორმის სახით გეთავაზობს თანამდებობის პირთა მოსყიდვის შემადგენლობას. კერძოდ, 333-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს უკანონო სარგებლის შეთავაზებისთვის. ხოლო ამავე კოდექსის 334-ე მუხლი კი – მოსყიდვისათვის. ერთ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობას წარმოშობს პირის ისეთი ქმედება, რაც გამოიხატება ჯილდოს სახით რაიმე დაპირების, უპირატესობის შეთავაზებაში – თანამდებობის პირისთვის ან საჯარო ფუნქციით აღჭურვილ სხვა პირისათვის, ასევე ბუნდესვერის ჯარისკაცისათვის, მასზედ, რომ განახორციელოს მათთვის მინდობილი რაიმე სამსახურებრივი ქმედება. პასუხისმგებლობა იზრდება, თუ ამგვარ შეთავაზებას, დაპირებას ადგილი აქვს მოსამართლეების და სამედიცინო მოსამართლეების მიმართ.

რაც შეეხება 334-ე მუხლით გათვალისწინებულ მოსყიდვის შემადგენლობას, იგი პასუხისმგებლობას ავრცელებს იმ პირებზე, რომლებიც 333-ე მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს – სთავაზობენ, აძლევენ დაპირებას ჯილდოს სახით რაიმე უპირატესობის მიცემაზე, რათა განახორციელონ ქმედება, რომლითაც დაარღვიეს ან დაარღვევენ მათზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, სარგებლის შეთავაზების მსგავსად, სასჯელი საგრძნობლად მცირდება თუ ადგილი აქვს მოსამართლის ან სამედიცინო მოსამართლის მოსყიდვის ფაქტს.

ამრიგად, წარმოდგენილ ფორმულირებათა ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ; რომ ისინი თანამდებობის პირთა ან მათთან გათანაბრებულ პირთა მოსყიდვის ორ ნაირსახეობას წარმოადგენენ. ერთ

შემთხვევაში (მუხ.333) ნორმის დისპოზიცია არ ითვალისწინებს თანამდებობის პირთა მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა წრის დარღვევას, ხოლო მეორე შემთხვევაში (მუხ. 334) სწორედ ამგვარ სამართალდარღვევასთან გვაქვს საქმე.

ევროსაბჭოს მიერ 1999 წლის 27 იანვარს მიღებული – „კორუფციაზე სისხლის სამართლის“ კონვენცია ცამეტი სახის კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობას აყალიბებს. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ აკრძალვათა იურიდიულ ბუნებას, მათი საკმარაოდენობის მიუხედავად, ამგვარი მრავალფეროვნება მოჩვენებითია. სინამდვილეში მათი უმეტესობა (ყოველ შემთხვევაში 10 ნორმა მაინც, 2-11 მუხლის ჩათვლით) სავსებით შესაძლებელია, დაყვანილ იქნას მექრთამეობა-მოსყიდვის ისეთ ტრადიციულ გამოვლინებათა კონკრეტისა ციამდე, როგორცაა ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა.

კონვენციის მე-2 მუხლი მიუნიშნებს, რომ „ყველა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლისსამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება ნებისმიერი პირის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი რომელიმე სახელმწიფო მოხელისათვის, ამ სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის ინტერესებისაკენ მიმართული, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში ან ამ უპირატესობის დაპირებასა თუ შეთავაზებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ“.

სავსებით ნათელია, რომ აქტიური მოსყიდვა, იგივე თანამდებობის პირის მოსყიდვის, ტრადიციული ქრთამის მიცემის ტოლფასია (აღნიშნულის შესახებ მოწმობს, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ევროპის ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი) და რომ ქრთამის მიცემასა და აქტიურ მოსყიდვას შორის მხოლოდ ტერმინოლოგიური სხვაობაა და მეტი არაფერი.

კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფო მოხელეთა პასიური მექრთამეობის ქვეშ გულისხმობს, სახელმწიფო მოხელის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავისთვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემის მოთხოვნას ან ამ უპირატესობის მიღებას ან ასეთი უპირატესობის შეთავაზებასა თუ დაპირების მიღებას მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურეობრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ. აღნიშნული კონვენციის ნორმის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს პასიური მოსყიდვისათვის.

რაც შეეხება ყველა სხვა დანარჩენ კონვენციის ნორმებს, რომლებიც მოსყიდვის შინაარსს ატარებენ და რომლებსაც ითვალისწინებს კონვენცია მე-4-დან მე-11 მუხლის ჩათვლით, სხვა არაფერია, თუ არა აქტიური და პასიური მოსყიდვის ნორმათა კონკრეტიზაცია, რომელიც უშუალოდ მოსყიდვის სუბიექტთა მიხედვით ხორციელდება. კერძოდ, კონვენციის შესაბამისი მუხლების თანახმად მოსყიდვის სუბიექტებს წარმოადგენენ: ქვეყნის ასამბლეათა წევრები (მუხ. 4), უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეები (მუხ. 5), უცხო ქვეყნის

ასამბლეათა წევრები, (მუხ. 6), რაც შეეხება მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს, მათი განმახორციელებელი სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ ან მათივე კომპეტენციიდან გამომდინარე მართავენ კერძო სექტორის ერთეულებს. კონვენციიდან გამომდინარე მოსყიდვის სუბიექტებს წარმოადგენენ აგრეთვე: საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეები (მუხ. 9), საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეის წევრები (მუხ. 10), საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეები და მოხელეები (მუხ. 10).

კონვენციის მე-12 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შუამავლობას უარყოფითი გავლენის მოხდენაში – პრინციპში, შეიძლება აქტიური და პასიური მოსყიდვის შემადგენლობათა კონკრეტიზაციის ერთგვარ ნაირსახეობად ჩაითვალოს. აღნიშნულთან შესაბამისობაში ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად აღიარებისთვის, რომელიც გამოიხატება განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში, ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებაში ან შეთავაზებაში მისთვის ვინც ასაბუთებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია მოახდინოს უარყოფითი გავლენა მე-2, მე-4, მე-5, მე-6, და მე-9 - მე-11 მუხლებში აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, იმის მიუხედავად თუ ვის ემსახურება ამგვარი უპირატესობა თვით ამ პირს, თუ ვინმე სხვას. ასევე უპირატესობის მოთხოვნა, მიღება ან თანხმობა შეთავაზებასა თუ დაპირებაზე, მიუხედავად იმისა, ეს გავლენა განხორციელდა თუ არა, ან ამგვარ გავლენას შეიძლება თუ არა მოჰყვეს წინასწარ განზრახული შედეგები.

აღნიშნული კონვენციური ნორმა, თავისი შინაარსით საკმაოდ ჩამოჰგავს ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 428-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომლის შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც თავის სამსახურებრივ ან პირად გავლენას ვინმესთვის რაიმე სარგებლის მოპოვების მიზნით იყენებს.

განსხვავებული იურიდიული ბუნებით ხასიათდება კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლები, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ პასიურ და აქტიურ მოსყიდვასთან დაკავშირებით ორ დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედებაზე. კონვენციის მე-13 მუხლი ეხება კორუფციის დანაშაულით მოპოვებული ფულის გათეთრებას. ამასთან, ევროპის საბჭო ამგვარი ნორმის ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინების შემთხვევაში, მხარეებს ავალდებულებს აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ევროსაბჭოს მიერ 1990 წელს მიღებულ კონვენციასთან „დანაშაულებრივი შემოსავლების გარეცხვის, გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“.

კონვენციის მე-14 მუხლში (საბუღალტრო საქმიანობისას ჩადენილი დანაშაული) საუბარია, ისეთ განზრახ ქმედებაზე (მოქმედებაზე, უმოქმედობაზე) რომელიც გამოიხატება: ა) მცდარი და არასრული ინფორმაციის შემცველი ფაქტურის ან სხვა ნებისმიერი საბუღალტრო საბუთის ან რეგისტრის შექმნასა და გამოყენებაში. ბ) გადასახადების რეგისტრის შედგენისას უკანონო უმოქმედებაში. კონვენცია, ამგვარი სახის ქმედებათა მიმართ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გარეშე გააკეთონ განცხადებები ან გამოთქვან გარკვეული შენიშვნები.

საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი ტრადიციებიდან გამომდინარე, ზემოხსენებული კონვენციის მე-15 მუხლი აყალიბებს თანამონაწილეობასთან დაკავშირებით სპეციალურ განმარტებას, რომლის თანახმად, თანამონაწილეობის სახეებად მიჩნეულია, წაქეზება და დახმარება დანაშაულის ჩადენაში.

საკმაო ორიგინალობითა და სიახლით გამოირჩევა კონვენციის მე-18 მუხლი, რომელშიც საუბარია, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. აღნიშნული ნორმის საფუძველზე: ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის ამ კონვენციით გათვალისწინებული აქტიური მექრთამეობის, სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიზნით გამოყენების, ფულის გათეთრების შემთხვევაში, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიული პირისათვის რაიმე სარგებლის მიღებას. ამგვარი ქმედება ხორციელდება იმ ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც წამყვანი თანამდებობა უჭირავს იურიდიული პირის შიგნით შემდეგზე დაყრდნობით:

- იურიდიული პირის წარმოდგენის უფლება;

იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლება;

- იურიდიული პირის შიგნით კონტროლის განხორციელების უფლება;

- თუ ზემოთხსენებული ფიზიკური პირი, კორუფციულ დანაშაულში გვეკლინება, როგორც თანამონაწილე (წამქეზებელი, დამხმარე).

კონვენცია, სპეციალურ მითითებას აკეთებს იმის თაობაზე, რომ თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს იურიდიული პირის

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის არნიშნული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს, კონტროლის სისუსტის ან ზედამხედველობის არარსებობის პირობებში, შესაძლებლობა ეძლევათ განახორციელონ სისხლისსამართლებრივი ქმედებები იურიდიული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის სახელით.

კონვენციაში ასევე აღნიშნულია, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ უნდა გამორიცხავდეს სისხლისსამართლებრივ წარმოებას იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არიან კორუფციული ხასიათის დანაშაულების თანამონაწილეები, წამქეზებლები ან განმეორებით ჩამდენები.

იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ინსტიტუტია (ინგლისი, ა.შ.შ.), რომელიც საკმაოდ ფართო ილად იჭრება კონტინენტური ევროპის სისხლისსამართლებრივ სივრცეში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია, რომელიც შესაბამისი ინსტიტუტის ეროვნულ კანონმდებლობებში გათვალისწინების საკითხს შეეხება, მხოლოდ რამოდენიმე ევროპის ქვეყანაშია რეალიზებული (მათ შორის ინგლისში, საფრანგეთში, საქართველოში და აშ.). იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც სათავეს ორ ურთიერთ დაპირისპირებულ კლასიკურ პრინციპში ჰპოვებს, ერთის მხრივ, კონტინენტური ევროპის ქვეყნების სისხლის სამართალში აღიარებულ ერთპიროვნული პასუხისმგებლობის პრინციპსა და მეორეს მხრივ, ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ პრი-

ნციპებს შორის, ვფიქრობთ, მოჩვენებებითია. იმ ქვეყნების სამართალშემოქმედებითა გამოცდილებამ, რომლებმაც შეძლეს გადაეღობათ ამგვარი წინააღმდეგობა (მაგ. საფრანგეთის 1992 წლის ს.ს.კ-ი), დაბეჯითებით დაადასტურა, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სავსებით შესაძლებელია, ერთპიროვნული პასუხისმგებლობის პრინციპთან ერთად თანაარსებობდეს და შეავსოს იგი.

იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ ევროპის ქვეყნებში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არ ქცეულა მათი კანონმდებლობების განუყრელ ატრიბუტად, კონვენციის მე-19 მუხლი, აკეთებს დათქმას იმის შესახებ, რომ კორუფციულ დანაშაულთა მიმართებაში ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის, ფექტური, თანაზომადი და სათანადო სისხლისსამართლებრივი და სხვა სახის სამართლებრივი, მათ შორის ფინანსური ხასიათის სანქციათა შემოღება. მაშასადამე, სახელდობრ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების ნაწილში, კონვენციის მითითება რეკომენდაციული ხასიათისაა.

სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობათა შემდგომი განვითარება კორუფციული დანაშაულის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კუთხით, ევროპის საბჭოში შემავალ თითოეული ქვეყნის კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ ნორმათა იმპლემენტაციის გზით უნდა წარიმართოს, ეს არის საკმაოდ შრომატევადი და მოცულობითი სამუშაო და არა უბრალო მექანიკური პროცესი, რომელმაც იმავედროულად ანგარიში უნდა გაუწიოს საკუთარ (ნაციონალურ) სამართალშემოქმედებით ტრადიციებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სისხლის

სამართლის კანონმდებლობის სტრუქტურის სპეციფიკასა და უშუალოდ, სამოხელეო დანაშაულის კონსტრუირების საკანონმდებლო ტექნიკის თავისებურებას, კონვენციით შემოთავაზებულ ნორმათა იმპლემენტაციის პროცესი საკმაოდ ოპტიმალურად შეიძლება წარმართულიყო, თუ არა მთელი რიგი იმ ხარვეზებისა, რომელიც აღნიშნული პროცესის მსვლელობისას იქნა დაშვებული.

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შემოღებული იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისა და ზეგავლენით ვაჭრობისათვის, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. მეორეს მხრივ, არსებობს და საკმაოდ გავრცელებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ორგანოების გამყიდველობის შემთხვევები. ასე მაგალითად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ცენტრალური ორგანოების მოისყიდვის ფაქტს, რათა მიიღონ დამატებითი ან უკანონო დაფინანსება. ამასთან, კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოსყიდვის სუბიექტები ხშირად არიან არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ვროპული კონვენცია მიიჩნევს, რომ ყოველმა მხარემ უნდა განახორციელოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიება, რომელიც საჭიროა ქვეყნის შიდა სამართალში აქტიური და პასიური მოსყიდვის დანაშაულად ცნობისათვის. იმ შემთხვევებში, როცა მათში მონაწილეობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელე.

მხედველობაშია მისაღებია ის გარემოებაც, რომ მეტად საშიშია სხვა სახელმწიფოს სუბიექტების მიერ

ჩვენი სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მოსყიდვა. უკანასკნელ წლებში საერთაშორისო მასშტაბით სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ამ პრობლემას. ამასთან რეკომენდირებული საწინააღმდეგო ღონისძიებათა სპექტრი სულ უფრო და უფრო ფართოვდება. 1997 წლის 23 მაისს ამავე ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა გადასინჯული რეკომენდაციები საერთაშორისო საქმიან ოპერაციებში კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. ამ ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს რეკომენდაცია მიეცათ გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები სისხლის სამართლის კანონმდებლობის და მისი გამოყენების, საგადასახადო კანონმდებლობის, კომპანიებში და საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის, კონტრაქტების და ა.შ. მიმართულებით.

1997 წლის 21 ნოემბერს ამ ორგანიზაციის წევრ - სახელმწიფოების უფლებამოსილი წარმომადგენლების კონფერენციამ მიიღო კონვენცია საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების ჩატარების დროს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა თანამდებობის პირთა მოსყიდვასთან ბრძოლის შესახებ. კონვენციის პირველი მუხლი დასათაურდა შემდეგი სახელწოდებით - „საზღვარგარეთის სახელმწიფოების თანამდებობის პირთა მოსყიდვა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული“. მეორე მუხლში „იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა“ — ლაპარაკია ყველა აუცილებელი ღონისძიებების მიღებაზე იმისათვის, რომ საკუთარი სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრულიყო იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მოსყიდვისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწორედ მომსყიდველ მხარეს.

ევროპულ კონვენციაში ანალოგიური დებულებები

არსებობს საზღვარგარეთის სახელმწიფოების კოლექტიური ორგანოების წევრების, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა, საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეის წევრთა და თვით საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. ამგვარ დებულებებს შეუძლიათ დაბადონ არც თუ ისე ცოტა საკითხები, მათ შორის ისეთები, რომლებიც შეეხება საერთაშორისო სამართალს, უწინარეს ყოვლისა – იმუნიტეტს.

უცხო ქვეყნების თანამდებობის პირების და საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების მოსყიდვის კრიმინალიზაციის შესახებ რეკომენდაციას შეიცავს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის 31 ოქტომბრის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წლების მანძილზე ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მხოლოდ დაემატა შენიშვნა: ამ თავის (სამოხელეო დანაშაულის) 332-ე-336-ე, 338-ე-339-ე, 341-ე-342-ე მუხლებით დადგენილი სამოხელეო დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა თანამდებობის პირის (მათ შორის შესაბამისი კოლეგიალური ორგანოს წევრების) მიერ ჩადენილ დანაშაულს. 19.12.2008წ №827 ბრძანების საფუძველზე 2009 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებას იწყებს საქართველოს სსკ-ს 332-ე მუხლის შენიშვნაში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად სამოხელეო დანაშაულის თავის მიზ-

ნებისათვის დანაშაულის სუბიექტები არიან: საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მუხლის შენიშვნით ასეთი სერიოზული სახელმწიფო თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა, ფაქტიურად კანონიერების პრინციპის უხეში დარღვევაა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით და არა შენიშვნებით.

რაც შეეხება, კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, (კერძო სექტორში — პასიურ და აქტიურ მექრთამეობას) მასთან შესაბამისობაში მოდის საქართველოს ს.ს.კ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 221-ე (კომერციული მოსყიდვა) მუხლები. აღნიშნული შემადგენლობები, მსგავსად ზემოთქმულისა, ვფიქრობ, საჭიროებენ სუბიექტთა წრის გაფართოებას, ესენია: უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეები, ასამბლეათა წევრები, საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეის წევრები.

კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა — დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრება, ვფიქრობთ, საქართველოს შიდა სამართალში, არ მოითხოვს რაიმე ცვლილებისა და დამატებების შეტანას, ვინაიდან საქართველოს ს.ს.კ-ის

194-ე მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)) გათვალისწინებული ქმედება სრულად მოიცავს უკანონო გზით მოპოვებული ფულისა თუ სხვა ქონების ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობას.

ფულის გათეთრების თავიდან აცილების ღონისძიების სისტემას სპეციალურ ყურადღებას უთმობს გაეროს კონვენციაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ კონვენციის დებულებას უკანონო გამდიდრების კრიმინალიზაციის შესახებ. გაეროს კონვენციის მე-20 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: თავისი კონსტიტუციის და სამართლებრივი სისტემის პრინციპების დაცვის პირობით თითოეული მონაწილე სახელმწიფო განიხილავს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების მიღების შესაძლებლობას, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლებრივად დასჯადად იქნას ცნობილი ქმედება, ჩადენილი განზრახ, უკანონო გამდიდრება, ე.ი. საჯარო თანამდებობის პირის აქტივების მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც აღემატება მის კანონიერ შემოსავლებს და რაც მას შეუძლია გონივრულად დაასაბუთოს.

ეს დებულება გამომდინარეობს თითოეული მოქალაქის გადასახადის გადამხდელის მოვალეობიდან ანგარიში ჩააბაროს სახელმწიფოს თავისი შემოსავლების შესახებ და დაასახელოს მისი წყაროები, როგორც ეს აღიარებულია მსოფლიო საზოგადოების მიერ და რაც არ ნიშნავს სისხლის სამართალწარმოებაში უდანაშაულობის პრეზუმციის უარყოფას.

გასაზიარებელია ევრო კონვენციის მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ კორუფციული დანაშაულების სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით, ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ამ დანაშაულების მი-

მართ ჯეროვანი, ეფექტური სანქციები და ზომები, აგრეთვე სასჯელები თავისუფლების აღკვეთის სახით და შემდგომში ექსტრადაციის განხორციელებით, თუ დანაშაული ჩადენილია ფიზიკური პირების მიერ.

უზრუნველყოფილი უნდა იქნას იურიდიულ პირების (როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის) პასუხისმგებლობა, ჯეროვანი, ეფექტური და გადამჭრელი სისხლის და არასისხლისსამართლებრივი სანქციები, ფულადი სანქციების ჩათვლით.

დასჯითი პრაქტიკის გატარებისას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს არა იმდენად გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებას, არამედ ფულად ჯარიმებს და სხვა ქონებრივ სანქციებს, რამდენადაც კორუფციული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უფრო მაღალია მათი ეფექტურობა. აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს პრაქტიკაში გავრცელებული საპროცესო გარიგების ინსტიტუტი. გადასახდელი თანხების ოდენობა რამდენიმეჯერ უნდა აღემატებოდეს დანაშაულით მიღებული უკანონო შემოსავლების თანხებს.

საქართველოს სსკ-ში გაუმართლებლად მიმაჩნია ის გარემოებაც, რომ დაუსაბუთებლად არის განსხვავებული ქრთამის მიცემის და ქრთამის აღების, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოებები, ისე სასჯელის ზომები. ქრთამის მიცემის მაკვალიფიცირებელ გარემოებებს შორის არ არის ქრთამის მიცემა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით.

არ გაითვალისწინება მოსყიდვის სუბიექტის ხასიათი, მოსყიდვის ხერხი (შანტაჟით, ძალადობით ან მის გარეშე). შესაბამისად საშიში ორგანიზებული ინიციატივური არაერთჯერადი მოსყიდვის ღროსაც კი ქრთამის მიმცემს შეიძლება მიესაჯოს მაქსიმალური

სასჯელი თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო ქრთამის ამლებს თავისუფლების აღკვეთა 11-დან თხუთმეტ წლამდე. რასაკვირველია, მექრთამეები (ქრთამის ამლებები) არ იმსახურებენ შეცოდებას, მაგრამ აქ პრობლემა სხვა კუთხით იჩენს თავს: ასეთი თანამდებობის პირები მექრთამეები ქრთამის მიმცემთა მნიშვნელოვანი და წამახალისებელი ძალისხმევის შედეგად ხდებიან, ისინი თავს არ გრძნობენ დაცულად ორგანიზებული დამნაშავეობის ესკალაციის პირობებში. ამიტომ, როგორც მინიმუმი, ამ შემთხვევებში კორუფტერების პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს კორუმპირებულ პირთა პასუხისმგებლობაზე მსუბუქი. არაჯეროვნად ხდება სამართლებრივი ბერკეტების ყველა სახის გამოყენება კორუფციის ფაქტების გამოსავლინებლად, მათ შორის, არა მარტო ქრთამის მიმცემის, არამედ ქრთამის ამლების და შუამავლის აღიარებისაც.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის საგნიდან გამომდინარე პრობლემურ საკითხთა შესწავლის პროცესში, ვფიქრობთ სრულად იქნა რეალიზებული ნაშრომის კვლევის მიზნები და ამოცანები. დადგინდა, რომ კორუფციამ, საქართველოში, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა, რომლის მრავალრიცხოვან მიზეზთა შორის პრიორიტეტულად უნდა დასახელდეს: კანონმდებლობის არასრულყოფილება, მთელ რიგ სახელმწიფო სტრუქტურებში მოხელეთა დაბალი ხელფასები, მორალურ ღირებულებათა დეგრადაცია და სხვა მრავალი. ამასთან, აღნიშნული პრობლემის პირველად მიზეზად, კვლავ სახელმწიფოს უუნარობა რჩება. სწორედ მის პოლიტიკურ ნებასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული ქვეყანის ეკონომიკურ, სოციალურ და სუფიერ სფეროში შექმნილი ვითარების გამოსწორება, მისი პარამეტრების შემცირება. სახელმწიფოს სისუსტესთან ერთად, პრობლემის არსი, საზოგადოების მიმართ მის გაუცხოებაშიც გამოიხატება. რაც უფრო „სახალხო“ სახელმწიფო პოლიტიკა, მით უფრო ორიენტირებულია იგი (საქმით და არა სიტყვიერად), მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად.

კორუფციასთან ბრძოლა, პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურებისა და მოხელეთა მიმართ პატივისცემისა და ნდობის აღდგენით უნდა დაიწყოს, რაც თავის მხრივ მოითხოვს; ა). კორუფციულ სამართალდარღვევებთან მიმართებაში მიღებული ყველა გადაწყვეტილების საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობას. ბ). კორუფციონერთა მიმართ ადეკვატური დასჯითი ღონის-

ძიებების გატარებას.

ანტიკორუფციული საქმიანობის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობის საკითხს, მოქალაქეთა აღზრდას კორუფციისადმი მოუთმენლობის სულისკვეთებით და ანტიკორუფციული ქცევის ახალ ჩვევათა გამოუმუშავებას.

წარმოებული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს დასკვნის სახით წარმოვადგინოთ გარკვეული წინადადებები, რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებიც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, როგორც თეორიული, ისე სამართალწარმოების პრაქტიკის თვალსაზრისით:

- კორუფციის ცნება (ვიწრო გაგებით) არ არის ტოლფასი იმისა, რასაც ლიტერატურაში „მექრთამეობის“ ქვეშ გულისხმობენ. იგი მექრთამეობასთან მიმართებაში განხილულ უნდა იქნას, როგორც მისი ახალი თვისება;

- დღემდე საქართველოში არ არსებობს მოქმედი ნორმატიული აქტი, რომელიც განმარტავდა თუ რომელი დანაშაულებრივი ქმედებები უნდა განვაკუთვნოთ საკუთრივ კორუფციას;

- კორუფციის ნიშნებია: საჯარო (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა სახელმწიფო ხელისუფლებრივი ფუნქციის უშალო განხორციელებისას) და კერძო სექტორში (სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განხორციელებისას) სამსახურების ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენება;

- კორუფციასთან მიმართებაში გამოეყოფთ მისი განვითარების სამ ძირითად ეტაპს: პირველი ეტაპი

– XX საუკუნის 60–იან წლებამდე. მეორე ეტაპი – XX საუკუნის 60–იანი წლების მეორე ნახევრიდან 80–იან წლებამდე. მესამე ეტაპი – XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღემდე.

- ზოგადად დანაშაულობის (მათ შორის კორუფციის ორგანიზებული ფორმების) მიზეზთა დანაწევრება და მათი განკერძოებულობის სირთულე, განპირობებულია მოვლენათა ისტორიული ცვალებადობით, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა დროის პერიოდში თვისობრივად არაერთგვაროვან ქმედებათა კორუფციულ დანაშაულად აღიარება;

- კორუფციულ დანაშაულთა შორის ყველაზე საშიშ გამოვლინებას სახელმწიფო მოხელეთა მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების დანიაკება წარმოადგენს;

- კორუფციის მიზეზებსა და მის ხელშემწყობ ფაქტორთა რიცხვში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის მართლშეგნების დონეს. იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ინდივიდი ამა თუ იმ სოციალური მოვლენის მიმართ გარკვეული პოზიტიური, ნეგატიური თუ ნეიტრალური მუხტის მატარებელია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათზე ბუნებითი და პოზიტიური სამართალი მეტნაკიები ხარისხით ახდენს ზეგავლენას;

- კორუფციის დეტერმინანტებს წარმოადგენენ შემდეგი ფაქტორები: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული ფაქტორები;

- კორუფციულ სამართალდარღვევათა სახეებია:

- 1) სამოქალაქო–სამართლებრივი,
- 2) ადმინისტრაციული გადაცდომა,
- 3) დანაშაული;

- კორუფციულ დასნებოვნების მთელ რიგ ნიშან-

თა მრავალფეროვნებაში გამოიყოფა სოციალურ-კრი-
მინოლოგიურ ინდიკატორთა შემდეგი ორი ჯგუფი:
ნეიტრალური და განსაკუთრებული ინდიკატორები;

- კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობების
კონსტრუირების პრაქტიკა „ტექნოლოგიურობისა“ და
ეფექტური სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნებს
უნდა პასუხობდეს;

- სისხლის სამართალი თავისი დაცვის ქვეშ აერ-
თიანებს ხელყოფის ფორმების თვალსაზრისით მომე-
ტებული სოციალური საშიშროების შემცველ სასი-
ცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს. მაგალითად, რო-
გორიცაა, სახელმწიფო აპარატის ავტორიტეტი ქრთამის
აღების (მუხ. 338-ე.); ქრთამის მიცემის (მუხ. 339-
ე.); სამსახურებრივი სიყალბის (მუხ. 341-ე.) და სხვა.
მაგრამ რაც შეეხება სოციალური თვალსაზრისით სხვა
ნაკლებ საშიშროების შემცველ ქმედებებს, როგორცაა
მაგალითად, კონტრაქტის დადება ტენდერის გარეშე,
რომელიც პროტექციონალიზმსა და მომხვეჭელობაში
გამოიხატება, ზნეობრივი ან სხვა სამართლის დარგების
ნორმებითაა დაცული;

- ნებისმიერი კორუფციული ხასიათის დანაშაული,
სამსახურებრივი სტატუსის ექსპლუატაციასთანაა დაკა-
ვშირებული. (სტატუსური რენტა);

- კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობების
ობიექტური მხარის ნიშნების დადგენა, შესაძლებელს
ხდის ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, როგორც ცალკეული
დანაშაულებრივი ქმედებები, ამასთან, ზღვარი გავა-
ვლოთ კორუფციულ დანაშაულსა და სხვა სამართალ-
დარღვევებს შორის (ადმინისტრაციული, დისციპლინური,
სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტები);

- კორუფციულ დანაშაულთა სუბიექტური მხა-

რე გამოიხატება განზრახვაში და უმეტეს წილად სის-
ხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება
უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების და არა შედეგის
დადგომას;

- სისხლისსამართლებრივი საშუალებები, მისი
შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, (იგუ-
ლისხმება ის რეალობა, რომ უშუალოდ ვერ ზემოქმედებენ
დანაშაულობასა და მის მიზეზებზე) თავს ვერ ართმევენ
კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის ამოცანებს;

- ერთიანი საკანონმდებლო აქტის არსებობა, რო-
მელშიც რეგლამენტირებულია კორუფციასთან ბრძოლის
ყველა საკითხი, სრულიადაც არ წარმოადგენს ამგვარი
ბრძოლის წარმატების გარანტს. პოზიტიურ სოციალურ-
ეკონომიკურ ურთიერთობათა რეპროდუქციების უზ-
რუნველყოფაში ფუნქციონალური როლი, თვით ამ ურ-
თიერთობათა „ხარისხს“ ენიჭება;

- კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა
ბაზირებულ უნდა იქნას შემდეგ მიმართულებებზე: 1).
ღონისძიებებზე, რომლებიც ართულებენ დანაშაულის
ჩადენის პირობებს; 2). ღონისძიებებზე, რომლებიც ზრდი-
ან დანაშაულის ჩადენის რისკებს; 3). ღონისძიებებზე,
რომლებიც ამცირებენ დანაშაულის შედეგად სარგებლის
მიღების შესაძლებლობებს;

- კორუფციულ დანაშაულთა ამსახველი ნორმე-
ბის ნაკლოვანება გამოიხატება: პირველი — მათ არა-
საკმარის „ტექნოლოგიურობაში“. მეორე — შემად-
გენლობათა (ნორმათა) შინაარსის ბუნდოვანობაში.
მესამე — საერთაშორისო რეკომენდაციებისა და მი-
თითებების ეროვნულ კანონმდებლობაში გაუაზრებ-
ლად გადმოტანაში. მეოთხე — კორუფციული დანაშა-
ულისათვის გათვალისწინებულ სანქციათა მომეტებულ

სიმკაცრეში და შემაღვენლობათა შორის სასჯელის ზომების არათანაბრად გადანაწილებაში;

• საკანონმდებლო მექანიზმში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარკვეულ გარანტიის როლს შეასრულებდა ისეთ ქმედებათა კრიმინალიზაცია, როგორიცაა კონტრაქტებისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება სახელმწიფო ინტერესის წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედების დისპოზიცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წინასწარი შეცნობით არამომგებიანი კონტრაქტის დადება ან ამავე პირობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია,—

ისჯება

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

გ) სახელმწიფო—პოლიტიკური თანამდებობის

მქონე პირის მიერ;

ისჯება

• აუცილებელ ღონისძიებად გვესახება ისეთი ქმედების კრიმინალიზაცია, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უკანონო განკარგვა, აღნიშნული ქმედების დისპოზიცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უკანონო გა-

მოყენება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია , –
ისჯება

• სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა შემდგომი სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ გადაიხედოს ქრთამის აღების (მუხ. 338-ე) შემადგენლობის დიფერენციის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია, გამოიყოს ქრთამი–მოსყიდვა და ქრთამი – ჯილდო. ამ სახის განსხვავებათა შემოღება მოქმედ კანონმდებლობაში, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სისხლისსამართლებრივ ზემოქმედების ღონისძიებათა ეფექტურებას.

სარჩევი

შესავალი..... 3

თ ა ვ ი ა ი რ ვ ე ლ ი

კორუფციის სოციალურ - ეკონომიკური და
კრიმინოლოგიური დახასიათება.

&.1 კორუფციის ინსტიტუციონალური ცნება.....8

& 2 კორუფციის ფენომენის ბუნების.

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)40

&.3. კორუფციულ დანაშაულთა კრიმინოლოგიური
ანალიზი და სისტემატიკა.....52

&.4. კორუფციულ დანაშაულთა წარმოქმნელი
ძირითადი ფაქტორები.....73

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

კორუფციულ დანაშაულების წინააღმდეგ
ვიმართული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები

&.1. კორუფციის სისხლისსამართლებრივი ასაშტები.....101

&.2. კორუფციასთან ბრძოლის სისხლის-
სამართლებრივი და ორგანიზაციული
ხასიათის ღონისძიებათა სრულყოფა.....140

&.3. კორუფციულ დანაშაულთა სისხლის-
სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვეროის
ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით
(შედარებითი სამართლებრივი ანალიზი).....165

დასკვნა200

ჯუსრა მაცაბერიძე

**კორუფციასთან ბრძოლის
კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი
ლონისძიებები
(პირველი გამოცემა)**

**ბამონტემლობა-ბაკმი
საქართველო, თბილისი 2009 წ.
E-mail bakmipublishing@posta.ge
E-mail bakmipublishing@gmail.com
www.bakmi.ge**